სპორტი

№262 (12 332)

6 ნოემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ეყოლება ეროვნულ ჩემპიონატს რვა ღონიერი კლუბი?



ფეხბურთის ფედერაციას ყველაფერი გათვლილი ჰქონია

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლოა, პლატინი ახალკაცს შეხვდეს

ინტერვიუ გოგი ქავთარაძესთან 3

საქართველო სტუმრად ყაზართან?

ვის ვეთამაშებით 17 ნოემბერს 4



შიონბერგი ბოპმიოლერის წინააღმდეგ 4



ჭაბუკებმა რუსეთი დაამარცხეს 4

სიკვდილი ან გამარჯვება

ბენიტესს ლივერპულის სჯერა

ჯგუფური ეტაპი გადამწყვეტ ფაზაში. IV ტურის წინ 6

როცა მსაჯი კატალონიელია

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

ბოდიში, ლუიშ!

რატომ გაიმეტა ნედვედმა ფიგუ?

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

ყაზბეგი

www.kazbegi.com

გასხენი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

საქართველოს XVIII ჯგუფური ეტაპი. V ტური

დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

ინტრიგა ჭიათურასლა შემორჩა

ვიტ ჯორჯიამ დინამო თასზეც დაამარცხა

დავით ყიფიანის თასის ჯგუფური რაუნდის ბოლოსწინა ტურში თითქმის ყველაფერი გაირკვა. ერთადერთი რეალური ინტრიგა მხოლოდ ჭიათურულ მატჩს შერჩა, სადაც მეოთხედფინალის საგზური „მაღაროელისა“ და „ვიტ ჯორჯიის“ ჭიდილში გაირკვევა.

A ჯგუფი

მესხეთი–ამერი 1:2

5 ნოემბერი. ახალციხე.
მ. იაძე. 600 მაყურებელი

0:1 დეკანოსიძე (26), 1:1 მ. ღონღაძე (60), 1:2 ბოლქვაძე (65)

მესხეთი: ძამუნაშვილი, ვ. აკოფიანი (74. ინასარიძე), ჟვანია, კობესაშვილი, ლეკიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ძამსაშვილი, თურმანიძე, გვირჯიშვილი, აფრიამაშვილი (46. მ. ღონღაძე), გ. სუდაძე (46. ჰ. აკოფიანი)

ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, ჯელაძე (50. შალამბერიძე), მესხი, დობროვოლსკი, ბოლქვაძე (79. კობაური), დეკანოსიძე (88. ა. ალავიძე), რ. გოცირიძე

გაფრთხილება: ბოლქვაძე (78)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

თასის მფლობელებმა ამოცანა გუშინ გადაჭრეს და ბოლო ტური სრულ ფორმალობად აქციეს. „ამერის“ კვალდაკვალ, როგორც მოსალოდნელი იყო, მეოთხედფინალში „სპარტაკმაც“ დამაჯერებლად შეაბიჯა.

სპარტაკი–ტორპედო 4:0

5 ნოემბერი. გორი.
თ. ბურჯანაძე. 50 მაყურებელი

1:0 ჩირიკაშვილი (29), 2:0 ხაჭიპერაძე (42), 3:0 თექთუმანიძე (85), 4:0 ძარია (87)

სპარტაკი: ქვილითაია, ბახტურიძე, ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი, ჩირიკაშვილი (82. თექთუმანიძე), კეტაშვილი (77. თარხნიშვილი), ძარია, გოგოხია (70. დარბაიძე), ჯანელიძე

ტორპედო: ოდიშარია, გაბუნია, ვაჩიბერაძე, ჭანკვეტაძე, გვარჯალაძე (46. მეტონიძე), ნუცუბიძე, კილაძე, კირკიტაძე, გოდერიძე, დანელია (67. ქიმუცაძე), მდივნიშვილი (67. ჯოხაძე)

გაფრთხილება: ვაჩიბერაძე (14), მდივნიშვილი (52), გოდერიძე (54)

არბიტრი: ვ. გუმბერიძე

ზედიზედ ორი დღე გორში მასპინძელთა სასარგებლოდ ერთი და იგივე ანგარიში 4:0 დაფიქსირდა და ქართლის გუნდებმა ქვეყნის თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მეოთხედფინალის საგზურები გაიფორმეს. „დილისგან“ განსხვავებით, „სპარტაკს“ შედარებით გაუჭირდა. „ტორპედო“ ფეხბურთელთათვის ბრძოლის ჟინის დასანუნებლად ენა არავის მოუბრუნდებოდა ამ დღეს. პერსპექტიული ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა ცხინვალელებმა კი, ჩანს, შეთამაშებასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარებასთან ერთად გორში ადაპტაციის პრობლემაც მოიხსნეს. მათ საქართველოს თასის გათამაშების ჯგუფურ რაუნდში სამივე საშინაო მატჩი მოიგეს, თანაც მშრალი ანგარიშით. „სპარტაკის“ მცველები თითქმის ყველა შეხვედრაში ერთობ საიმედოდ თამაშობენ და არა მხოლოდ თავისი ამპლუისათვის აუცილებელი საქმეს ართმევენ თავს კარგად. მაგალითად „ტორპედოს“ ცენტრალურმა მცველმა **ბესიკ ხაჭიპერაძემაც** გაუტანა, ვინაც **ჩირიკაშვილის** დარტყმულის შემდეგ **დავით ოდიშარიას** მიერ ცუდად მოგერიებულ ბურთთან ყველაზე ადრე გაჩნდა. ირაკლი ჩირიკაშვილმა მანამდე შორეულივე დარტყმით გატანაც შეძლო და შეხვედრის დასრულებამდე კიდევ ერთხელ ამავე გზით კარის აღებასთან ახლოს იყო. პირველ ტაიმში ქუთათურებს მეტი აღარ გაუშვიათ. მანამდეც გვარიანი ჟინით მებრძოლნი კი შესვენებისას, ალბათ, **დავით ჯანაშიამ** ერთობ შეაფუცხუნა და მოედანზე დაბრუნებულები ისეთი მონდომებით მიაწვნენ ცხინვალელთა საჯარიმოს მისადგომებს, რომ „სპარტაკის“ დაცვის კარგი თამაში რომ არა, ვინძლო გატანაც მოეხერხებინათ. მცირე ხანს მოედნის ცენტრის და ტერიტორიული უპირატესობის დათმობაც მოუნიათ **ჟორჟიკაშვილის** შეგირდებს. უწინდელი უპირატესობა დროული შეცვლების შემდეგ დაიბრუნეს ცხინვალელებმა. ნდობა ამ მხრივ განსაკუთრებით **თორნიკე თარხნიშვილმა** გაამართლა, რომელმაც არეული შუა ხაზი დაალაგა და „ტორპედო“ იძულებული გახდა შეტევათა მარნუხები მოეშვა. შეხვედრის მიწურულს „სპარტაკმა“ შტურმი მოაწყო, რითაც ორჯერ კიდევ დაამწუხრა ქუთაისელები. უნდა აღინიშნოს მესამე გოლის ავტორის, 17 წლის ტანმორჩილი **გიორგი თექთურმანიძის** კარგი თამაში, რომელსაც **კობა ჟორჟიკაშვილი** დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ამერი	5	4	0	1	16-4	12
2. სპარტაკი	5	4	0	1	9-2	12
3. მესხეთი	5	2	0	3	6-7	6
4. ტორპედო	5	0	0	5	1-19	0

27 ნოემბერი
ამერი-სპარტაკი
ტორპედო-მესხეთი

B ჯგუფი

ვიტ ჯორჯია–დინამო 3:2

5 ნოემბერი. მცხეთა.
არმაზი. 30 მაყურებელი

0:1 ოდიკაძე (12), 1:1 კლიმიაშვილი (33), 1:2 ვანაძე (45), 2:2 ღუჭაშვილი (63), 3:2 რაზმაძე (73. პენ)

ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე, პირველი, ადამაძე, კაიშური, ჯაფარიძე (40. კასრაძე), ბეჭვაია, გ. დათუნაიშვილი (59. მაისაშვილი), რაზმაძე, კლიმიაშვილი, მელქაძე, ბერიაშვილი (46. ღუჭაშვილი)

დინამო: ლორია, მინდორაშვილი, თომაშვილი, გ. კაშია, გველესიანი, ოდიკაძე (53. კაკუბავა), ვ. ბოლქვაძე, ქავთარაძე (67. შერაზადაშვილი), ნ. ჯიჯკარიანი, ვანაძე, სიხარულიძე (66. გუგავა)

გაფრთხილება: თომაშვილი (26)

არბიტრი: მ. ურუშაძე

მცხეთის სტადიონი მაყურებელთა სიმრავლით არასდროს გამოირჩეოდა, გუშინ კი „არმაზზე“ მხოლოდ ოცდაათიოდე კაცმა მოიყარა თავი. მატჩი ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორიც მოსალოდნელი იყო, მოედანზე მასპინძლები დომინირებდნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

„დინამოს“ ბანაკში სანერვიულო არაფერი ჰქონდათ და სამწვრთნელო შტაბმა დუბლშემადგენლობის წევრებს მისცა თავის გამოჩენის შანსი. **დუშან უჰრინი** შეხვედრას ლოჟიდან უცქერდა, გუნდს კი მისი ასისტენტი **კახა კაჭარავა** ხელმძღვანელობდა. „დინამოს“ შემადგენლობაში მხოლოდ რამდენიმე გამოცდილმა ფეხბურთელმა ითამაშა, მათ შორის, ექსვეტერინარმა **ოლეგ გველესიანმა**, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო წელინადი გაუცდა და მოედანზე ახლაღა დაუბრუნდა. საუკეთესო ძალები არც **ნესტორ მუმლაძეს** გამოუყენებია, მაგრამ „ვიტ ჯორჯიის“ შემადგენლობა შედარებით საბრძოლო იყო.

მთელი მატჩი ჯორჯიელთა საგრძნობი უპირატესობით წარიმართა, თუმცა მასპინძლებს ნერვიულობა მაინც გადახდათ. პირველ ტაიმში სტუმრებმა მომენტებისგან მაქსიმუმი გამოწურეს და მეტოქეს მაქსიმალური მობილიზება აიძულეს.

მეორე ტაიმში ვიტელებმა იმდენი ხელსაყრელი შანსი გაუშვეს ხელიდან, ერთ თამაშს კი არა, მთელ სეზონს ეყოფოდა. სამ-სამი უნაღდესი მომენტი ჰქონდათ **მელქაძესა** და **ბეჭვაიას**, მაგრამ ხან სიზუსტე ღალატობდათ, ხანაც **ლორია** მოქმედებდა დამაჯერებლად. **ღუჭაშვილსაც** ბევრი წუნი ჰქონდა, მაგრამ მეორე ნახევრის შუაწელში მაინც მიაღწია სანადელს და აშკარა გახდა, რომ მესამე გოლიც დროის ამბავი იყო. თამაშიდან ვერა, მაგრამ ნესტორ მუმლაძის ბიჭებმა მიზანს თერთმეტმეტრიანით მიაღწიეს. დინამოელებმა საკუთარ საჯარიმოში **კლიმიაშვილი** დასცეს და **რაზმაძემ** პენალტი უნაკლოდ, ცხრიანში დაარტყა.

ცოტა უცნაურია, მაგრამ ვეტერინარები ამის შემდეგ დაცხრნენ და მოწინააღმდეგის განადგურება აღარ უცდიათ. „დინამოს“ კი მეორე 45 წუთში აბსოლუტურად არაფერი გამოსდიოდა და თამაშის გადარჩენის იოტისოდენა შანსიც არ ჰქონია.

ამის პარალელურად, „მაღაროელმა“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და მეოთხედფინალში გასასვლელად შინ „ვიტ ჯორჯიასთან“ ფრეც ეყოფა.

ლოკომოტივი–მაღაროელი 0:1

5 ნოემბერი. თბილისი.
მიხეილ მესხი. 50 მაყურებელი

0:1 ხაჭიპელაძე (66)

ლოკომოტივი: გვარამაძე, ა. კობიაშვილი, ჩაგელიშვილი, კვახაძე, ხოხონიშვილი (70. ტიკურიშვილი), ლაღაძე (46. ჩაგელიშვილი), ფოფხაძე, ბერიძე, ალავერდაშვილი, სამხარაძე, მიქაძე

მაღაროელი: დოღაძე, მგელაძე, ბრეგვაძე, შუკაკიძე, ეგაძე, გამცემლიძე, ილურიძე, ზაბახიძე, ტყებუჩავა, სეფერთელაძე, ხაჭიპელაძე

გაფრთხილება: ალავერდაშვილი (51), სეფერთელაძე (63), ჩაგელიშვილი (64)

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

არბიტრი: ბ. ბრეგვაძე

„მაღაროელმა“ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფიდან გასვლისთვის საკმაოდ კარგი წინაპირობაც შეიქმნა.

პირველ ტაიმში მაღაროელები თბილისელებს ბურთის ფლობაში ჯობდნენ და შესაბამისად სტუმრებს გატანის უფრო მეტი შანსი ჰქონდათ, ვიდრე მასპინძლებს. თბილისელები ფლანგებიდან ცდილობდნენ შეტევის განხორციელებას, მაგრამ უშედეგოდ, ნახევარდაცვა თავდასხმას მონყვეტილი იყო. სტუმრებმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს მასპინძელთა კართან, მაგრამ **გვარამაძე** ყოჩაღობდა უმეტესწილ, ხანდახან კი თავად ჭიათურელები სცოდავდნენ შეტევის დაგვირგვინებისას. აღსანიშნავია ლოკომოტიველთა ბავშური შეცდომები, რაც საბოლოო ჯამში ანგარიშზეც აისახა.

მეორე ტაიმი ცხრა წუთის დაწყებული იყო, როდესაც **გამცემლიძის** მარჯვენა ფლანგიდან გაკეთებული პასი **ხაჭიპელაძემ** შეირგო, ბურთს ფეხი დაუხვედრა და ანგარიში გახსნა. მეორე ნახევარში თბილისელები პირველ ტაიმთან შედარებით გააქტიურდნენ, უკეთაც შეუტიეს, მაგრამ ბევრ შეცდომას უშვებდნენ და შეტევა საბოლოოდ კარგავდა ხიფათს.

ავთანდილ ცეცხლაძე

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	5	3	1	1	9-6	10
2. მაღაროელი	5	3	1	1	5-2	10
3. ვიტ ჯორჯია	5	3	0	2	12-6	9
4. ლოკომოტივი	5	0	0	5	1-13	0

27 ნოემბერი
მაღაროელი-ვიტ ჯორჯია
დინამო-ლოკომოტივი

გასხენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVIII

ჯგუფური რაუნდი. V ტური

დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

C ჯგუფი

ბათუმი–მერანი 0:0

5 ნოემბერი. ბათუმი.
ადელი. 100 მაყურებელი

ბათუმი: თოთლაძე, კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე, მარკარიანი, ბეჟანიძე (60. დემურაძე), კ. მახარაძე, დარჩიძე, ოქრუაშვილი, ბაციკაძე (80. ფარტენაძე), ტულუში

მერანი: თევდორაძე, კალაძე, გიგაური, კობიაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, ბურჯანაძე (78. ქოქიაშვილი), ყურთუბია (80. იაგო დეისაძე), ტყეშელაშვილი, გოჩაშვილი, იაკობ დეისაძე (46. ავალიანი)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

„მერანს" ბათუმში რომ მოეგო, ურთიერთშეხვედრებში მიღწეული დადებითი შედეგის წყალობით, „ოლიმპის" გადასწრების შესანიშნავი შანსი მიეცემოდა. მოგება უნდოდა „ბათუმსაც". ვინაიდან ფრე „ბორჯომისა" და „ოლიმპის" წისქვილზე ასხამდა წყალს. როგორც ბათუმელ, ასევე თბილისელ ქომაგთა სამწუხაროდ, სწორედ ასე მოხდა. მიუხედავად რამდენიმე მომენტისა, გოლის გატანა ვერც ერთმა ვერ მოახერხა.

ბათუმელები მოედანზე მოტივირებულები გამოვიდნენ, რაც მათი თამაშის სტილში აშკარად ჩანდა. მართალია, ზღვისპირელებს ტექნიკურ-ტაქტიკური წონი ჰქონდათ, მაგრამ ჟინი და შემართება, რაც აქამდე აკლდათ, „მერანის" წინააღმდეგ არ დაუკლიათ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდმა თამაში საკმაოდ სწრაფ და აგრესიულ ტემპში დაიწყო, მეკარეებს თამაშში ჩართვა მხოლოდ ორ-ორჯერ მოუწიათ, ისიც, უწყინარ მომენტებში. პირველი ტაიმიც ისე გასრულდა, რომ სახეირო ვერაფერი ვიხილეთ.

მატჩის მეორე ნახევარი ორი წუთის დაწყებული იყო, როდესაც **კახა მახარაძემ დარჩიძის** მოძრაობა შენიშნა და მარჯვენა ფლანგზე კარგი პასი მიაწოდა. ისიც კარგად შეიჭრა საჯარიმოში და წინ გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. თუ როგორ შეძლო **თევდორაძემ** ბურთის მოგერიება, ეს მხოლოდ თავად უწყის. დამატებაზე, მართალია, **ტულუშმა** დაასწრო ყველას, მაგრამ საკმაოდ არაზუსტი დარტყმა გამოუვიდა. საპასუხო იერიშისას კი მარცხენა ფლანგიდან სახიფათოდ შეუტია **გოჩაშვილმა** და მახვილი კუთხიდან დაარტყა კიდეც, თუმცა **თოთლაძე** მონოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. 52-ე წუთზე უკვე **ოქრუაშვილი** შეეცადა გოლის გატანას, მაგრამ მისი დარტყმა მეკარემ ფეხით მოიგერია. სულ ეს იყო და ეს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მომენტს, რომელიც დიდად ვერაფრით გამოირჩეოდა და ამიტომ, მათზე ყურადღებას არ გავამახვილებთ.

„ბათუმს" ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი და ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ არ დაუკარგავს

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან

ბორჯომი–ოლიმპი 2:1

5 ნოემბერი. ბორჯომი.
ჯ. ზეინალიშვილი. 200 მაყურებელი
არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

„მერანს" ბათუმში რომ მოეგო, ურთიერთშეხვედრებში მიღწეული დადებითი შედეგის წყალობით, „ოლიმპის" გადასწრების შესანიშნავი შანსი მიეცემოდა. ბორჯომში განცდილი მარცხის მიუხედავად, რუსთაველებს ახლა გაცილებით უკეთესი სამეოთხედფინალო პერსპექტივა აქვთ. „ბორჯომს" თავი, ფაქტობრივად, ქუდში აქვს.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბორჯომი	4	3	0	1	6-4	9
2. ოლიმპი	5	2	1	2	5-5	7
3. მერანი	5	1	2	2	2-2	5
4. ბათუმი	4	1	1	2	1-3	4

27 ნოემბერი
ოლიმპი-ბათუმი
მერანი-ბორჯომი

D ჯგუფი

დილა–კახეთი 4:0

4 ნოემბერი. გორი.
თ. ბურჯანაძე. 100 მაყურებელი

1:0 ნ. ნოზაძე (16. პენ.), 2:0 დიქსონ ჩუკვე (44), 3:0 სამადაშვილი (45. პენ.), 4:0 ნ. ნოზაძე (89)

არბიტრი: ლ. სილაგავა

მგლები–ზესტაფონი 2:0

5 ნოემბერი. ზუგდიდი.
გ. თუთბერიძე. 500 მაყურებელი

1:0 მაჭავარიანი (6), 2:0 ჭედია (77)

მგლები: **ჭითანავა, ჯოჯუა, მაჭავარიანი, გაბედავა, კაკაბაძე, ქირია, ვართაგავა** (84. ხუხია), **კუტალია, ხუბუა** (46. წურწუმია), **კრასოვსკი, ჭედია** (84. ჭკადუა)

ზესტაფონი: **რ. კვასხვაძე, ხუმარაშვილი, ბერუაშვილი, ვ. ქორიძე, შარანგია, ხიდეშელი** (51. ფიფია), **დაუშვილი, ბენაშვილი, ბიტოო** (71. გ. ნუგ. ჭელიძე), **გ. ჩხეტიანი, გორგიაშვილი**

გაფრთხილება: ხიდეშელი (41), დაუშვილი (79)

არბიტრი: ო. ხეცაძე

„მგლებს" „ზესტაფონი" 3:0 უნდა დაემარცხებინა, ფეროელებთან ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა რომ მოეპოვებინა (ზესტაფონში **მახარაძის** გუნდმა 6:3 მოიგო). ზუგდიდელები ამ მიზანთან ახლოს იყვნენ, მაგრამ „ზესტაფონის" ჭაბუკები ბოლომდე ვერ გატეხეს და ბოლო ტურს ამ ჯგუფშიც დაეკარგა მნიშვნელობა.

მასპინძლებმა მატჩი მონდომებით დაიწყეს და პირველივე მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევა გოლით დააგვირგვინეს. მე-6 წუთზე ზესტაფონელებმა საკუთარი საჯარიმოდან ბურთის გამოტანა ვერ მოახერხეს, არეულობით შეტევაში ჩართულმა **მაჭავარიანმა** ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ყველაზე მეტს სტუმართა გაბონელი ფორვარდი **ეტიენ ბიტოო** აქტიურობდა, მაგრამ ზუგდიდელები კარგად იცავდნენ თავს და მისმა ძალისხმევამ შედეგი ვერ გამოიღო.

მეორე ტაიმი გაცილებით დინამიური და უკეთესი სანახავი გამოდგა. შეცვლაზე შესულმა **ფიფიამ** ზესტაფონელთა შეტევები გაამწვავა. სტუმრები საგრძნობლად გააქტიურდნენ, ერთმანეთის მიყოლებით კარგი მომენტები შეექმნათ **გაგა ჩხეტიანს**, ეტიენ ბიტოოსა და **ალექსი ბენაშვილს**, მაგრამ მონოდების სიმაღლეზე იყო მეკარე **ჭითანავა**. ზუგდიდელები მეტოქეს ტემპში აყვნენ და ზესტაფონელთა შეტევებს სწრაფი და გააზრებული კონტრშეტევებით უპასუხეს. **კვასხვაძეს** ჯერ **ჯოჯუასა** და **კრასოვსკის** დარტყმების, მერე კი **კაკაბაძის** მიერ ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმოს მოგერიება მოუხდა. 77-ე წუთზე მასპინძელთა სწრაფმა კონტრშეტევამ შედეგი გამოიღო - მარცხენა ფლანგიდან კრასოვსკიმ **ჭედიას** ჩაუწოდა ბურთი, რომელმაც მეკარე მოძრაობაზე დაიჭირა და თავით დალაშქრა ზესტაფონელთა კარი.

დავით კოხრეიძე
ზუგდიდიდან

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	5	3	1	1	13-6	10
2. დილა	5	3	2	0	10-3	11
3. მგლები	5	2	1	2	9-9	7
4. კახეთი	5	0	0	5	2-16	0

27 ნოემბერი
ზესტაფონი-დილა
კახეთი-მგლები

როგორ ეყოლება ეროვნულ ჩემპიონატს რვა ლონიერი კლუბი?

გოგი ქავთარაძე: ყველაფერი გათვლილია შესაძლოა, დღეს ახალკაცი პლატინის შეხვდეს

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური დაპირისპირება სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრშიცაა - სტაბილურობის გარეშე სპორტი ვერ განვითარდება, თანაც ახლა სახელმწიფო სერიოზულად აპირებს ფეხბურთის დახმარებას და თუ ასეთი შანსი ხელიდან გაგვიფრინდა, ამით მოგებული ვერავინ დარჩება.

საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიმართულებები უკვე გამოქვეყნდა, დასახელდა ის თანხებიც, რითაც სახელმწიფო შეეწევა ქართულ ფეხბურთს, თუმცა რამდენიმე საკითხი უფრო მეტ კონკრეტიკას მოითხოვდა და ამაზე სასაუბროდ გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს მივმართეთ.



- დღეს საღამოს სპორტული ფედერაციის წარმომადგენლებს და ვეტერან სპორტსმენებს შეხვედრა გვქონდა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან. შეხვედრაზე დაახლოებით ას კაცამდე მოვიყარეთ თავი. საუბარი იყო სპორტის განვითარებაზე და დღევანდელ სიტუაციაზე.

- ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი რატომ არ ესწრებოდა ამ შეხვედრას?

- ის და ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა შვეიცარიაში, უეფაში არიან სამუშაო ვიზიტით. შესაძლოა, ხვალ ახალკაცი უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის შეხვდეს. საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამას მონიტორინგს უეფა გაუწევს. სწორედ უეფამ გვირჩია თანამშრომლობა ბრიტანულ კომპანია FMMI-სთან ამ პროგრამისთვის.

- როდის ამოქმედდება საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამა? როდის დაიწყება 8 სტადიონის მშენებლობა-რეკონსტრუქცია?

- სტადიონების მშენებლობა 2008 წლის გაზაფხულიდან დაიწყება. საინჟინრო პროექტები ჯერ დამტკიცებული არ არის. FMMI რამდენიმე საპროექტო კომპანიას გვირჩევს და მათგან კონკურსის წესით ავირჩევთ სასურველ პროექტს. სტადიონების მშენებლობა 2009 წელს უნდა დასრულდეს. ბათუმში სტადიონის მშენებლობა ფაქტობრივად ნულიდან უნდა დაიწყოს და ალბათ 2010 წლამდე გაგრძელდება.

- ამ პროექტით ფეხბურთის ფედერაცია 2008-10 წლებში სახელმწიფოსგან 11 მილიონ დოლარს მიიღებს. უკვე გარკვეული გაქვთ ის პრიორიტეტები, რომლებსაც მოხმარდება ეს თანხა?

- ამ თანხას ფედერაცია ეტაპობრივად მიიღებს. ჩვენი მთავარი პრიორიტეტები ეროვნული ნაკრები და ბავშვთა ფეხბურთია. ფედერაციის შემოსავლები გასავალზე ნაკლებია და ეს თანხა ჩვენი ბიუჯეტის დასაფარავად დაიხარჯება. ფედერაციას ფაქტობრივად მოგვარებული ექნება ინფრასტრუქტურული საკითხები - თანხა დაიხარჯება საგურამოს ბაზის მშენებლობის დასასრულებლად, სამუშაოები უნდა გაგრძელდეს ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზეც".

- ეს პროგრამა ეროვნული ჩემპიონატის დახმარებასაც ითვალისწინებს - ათი წლის განმავლობაში წელიწადში 500 000 ლარი უნდა გამოიყოს - კონკრეტულად რაზე დაიხარჯება ეს თანხა?

- ამით საპრიზო ფონდი დაწესდება და 500 000 ყოველწლიურად განაწილდება ეროვნული ჩემპიონატის გუნდებზე შედეგის მიხედვით. თუ კონკრეტულად როგორ გადანაწილდება ეს თანხა, ამას პროფლიგის გამგეობა დაადგენს.

- ეს 500 000 უკვე მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდში ჩაჯდება?

- არა, მომდევნო ეროვნული ჩემპიონატიდან. ამ ჩემპიონატში კი საპრიზო ფონდი 200 000 ლარი იქნება, რომელსაც კომპანია „კოლხიდა" გამოყოფს ტელეტრანსლაციების უფლების გაყიდვიდან. სხვათა შორის, „კოლხიდა" ყოველწლიურად ზრდის საპრიზო ფონდს.

- პროგრამაში ისიც წერია, ეროვნულ ჩემპიონატს რვა ფინანსურად წელგამართული გუნდი შეემატებაო. რა მექანიზმით მოხდება ეს?

- აშენებული სტადიონები გადაეცემა კლუბებს - ან გრძელვადიანი იჯარით, ან მართვის უფლებით. კონკურსის წესით გასხვისდება ის რვა კლუბი, რომელიც ახლა სახელმწიფო ბიუჯეტზეა.

- ვინ ჩაატარებს ასეთ კონკურსს?

- ეს ფეხბურთის ფედერაციის კომპეტენცია ვერ იქნება - ტენდერებს შესაბამისი სტრუქტურები, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები ჩაატარებენ.

- გასაგებია, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ არ გამოჩნდეს ამ კლუბების შეძენის მსურველები? ახლა საქართველოში საფეხბურთო გუნდის ყოლა ხომ წამგებიანია...

- არ არსებობს, რომ მსურველები არ გამოჩნდნენ, მსურველები უკვე არიან, თანაც ბევრნი. ამ პროგრამაში ყველაფერი გათვლილია.

- იქნებ, დაგვიკონკრეტოთ...

- ტენდერები ჩატარდება ბიზნესის სხვადასხვა სფეროში, არა ფეხბურთში, მაგრამ კონკურსში გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება პარალელურად იყოლიოს საფეხბურთო კლუბი.

- როდის გაიმართება ასეთი ტენდერები?

- წლის ბოლოს და გაირკვევა ამ რვა გუნდის ახალი მფლობელი. ეს კლუბები იმის მიხედვით შეირჩევა, სადაც სტადიონები აშენდება - ბათუმი, ბორჯომი, ქუთაისი, ფოთი, ლანჩხუთი... არ არის აუცილებელი, რომ ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ ბიზნესი მაინცდამაინც იმ ქალაქში აწარმოოს, რომელი ქალაქის საფეხბურთო კლუბის მეპატრონეც გახდება.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გაზსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

სტუმრად ყაზართან?

გუშინ, ფიფას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რომ საქართველო ამხანაგურ მატჩში 17 ნოემბერს სენეგალს ეთამაშება. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ფიფას ოფიციალურ საიტზევე სენეგალისადმი მიძღვნილ განყოფილებაში მოვიძიეთ, რომ 17 ნოემბერს სენეგალი მალის სტუმრად ეთამაშება.

- ფიფას ვებგვერდზე ისიც ეწერა 12 სექტემბერს (2007 წლის) არგენტინასთან თბილისში ამხანაგურ თამაშს ჩავატარებთო, - ასეთია იყო ფედერაციის თანამშრომელთა პირველი რეაქცია გუშინ გავრცელებულ ცნობაზე.

რეალურად კი 17 ნოემბრის ამხანაგური თამაშის ორგანიზებისთვის მოლაპარაკებები გრძელდება ბოსნიასთან, ყატართან და იორდანიასთან. ამ ეტაპისათვის ყველაზე უფრო გამოკვეთილი ყატართან ამხანაგური მატჩის სტუმრად გამართვაა. თუმცა მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა და არც ისაა გამორიცხული, რომ სპარინგ-პარტნიორი შეიცვალოს.

დავით ცაბაძე

შიონბერგმა ტოპმიოლერი გააკრიტიკა



დღეს „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელობა **კლაუს ტოპმიოლერს** შეხვდება და სავარაუდო თანამშრომლობაზე გაესაუბრება. როგორც უკვე გამცნეთ, „ლაუტერნს“ ტოპმიოლერმა საპატიო სპორტული მრჩევლის რანგში თანამშრომლობა შესთავაზა. ამ შეხვედრის შემდეგ უკვე კლუბის სამეთვალყურეო საბჭო შეიკრიბება და ტოპმიოლერთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

გერმანულმა მასმედიამ გუშინ ტრიბუნას კლუბის სპორტულ დირექტორ, დანიელ **მიქაელ შიონბერგს** დაუთმო.

„კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია და გასაკვირია როგორ რჩება დრო ჩემს გასაკრიტიკებლად. ვფიქრობ, მას ამისთვის დრო არ უნდა რჩებოდეს. მას თუ ჩვენი გუნდისთვის სიკეთე უნდა, კონსტრუქციული გ ზა უნდას აირჩიოს. ტოპმიოლერი კრიტიკით გუნდში სიმშვიდეს არღვევს და ფეხბურთელებს თავდაჯერებულობას აკარგვინებს. მე რომ მის ადგილზე ვიყო, ასე ნამდვილად არ მოვიქცეოდი. ეს არაა ჩემი სტილი. სამსახურის დაკარგვის შიში არ მაქვს. რადგან აქ ვმუშაობ, ესე იგი კლუბის ხელმძღვანელობა მენდობა კიდეც“, - თავდაჯერებული და კრიტიკულია შიონბერგი „შპორტ1-თან“ საუბარში.

ამ თემაზე აღსანიშნავია კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელის **ერვინ გიობელის** კომენტარი: *„კლაუს ტოპმიოლერი ასე არ უნდა მოქცეულიყო. თუ მას ჩვენი გუნდის დახმარება სურს, მაშინ პრესასთან საუბარში კი არ უნდა გაგვაკრიტიკოს, არამედ თავისი გულის სათქმელი ჩვენთან, პირად საუბარში გვითხრას“.*

ამ მასალის გაცნობის შემდეგ ძნელია თქვა, რომ „კაიზერსლაუტერნთან“ კლაუს ტოპმიოლერის თანამშრომლობის საკითხი დღეს დადებითად გადაწყდება. თუმცა ვინ იცის, იქნებ გარიგება შედგეს კიდეც.

დავით ცაბაძე

რისკიანი მუჯირი

სამარის „კრილია სოვეტოვის“ კაპიტანმა **დავით მუჯირმა** აღიარა, რომ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ბოლო ტურში მოგებისთვის კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს სოლიდურ პრემიებს შეპირდა.

„კონკრეტულ ციფრს არ დავასახელებ, მაგრამ „ლოკომოტივთან“ მოგებისთვის ისეთ პრემიას შეგვპირდა, რომელიც დანარჩენ მატჩებში აღებულ თანხებს ორჯერ აღემატებოდა. როგორც ვიცი, მოსკოველებსაც ჰქონდათ ანალოგიური შანსი, მათაც ორმაგ თანხას დაპირდნენ. ასე რომ, თამაში ნაღდი იყო. თუმცა ფული არ იყო ჩვენი მთავარი მოტივაცია.“

მუჯირმა ისიც არ დამალა, რომ მოსკოველების წინააღმდეგ დიდ რისკზე წავიდა, როდესაც თამაშს დათანხმდა.

„ერთი კვირა არ მივარჯიშია. ტრავმა მქონდა. ასე რომ, მოედანზე გასვლა ძალიან სარისკო იყო. ყველაფერს ტკივილის ხარჯზე ვაკეთებდი. ცსკა-სთან მატჩის შემდეგ კუნთის მცირე გაწყვეტა აღმომაჩნდა. ახლა, ოთხი-ხუთი დღე, ალბათ, სიარულსაც ვერ შევძლებ. თუმცა ამასაც ავიტან, რადგან „კრილიამ“ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მოიგო“- განუცხადა მუჯირმა „სპორტ-ექსპრესს“.

მერაბ მამულაშვილი



ჰერბერტ ცანკერი

საქართველო-რუსეთი 2:1

5 ნოემბერი. თბილისი.
ამერი. 200 მაყურებელი.

1:0 ანანიძე (22), 1:1 ნუროვი (29), 2:1 შეყილაძე (67. პენალტით)

საქართველო: ნადირაძე, ამაშუკელი, მირცხულავა, ფუტკარაძე, ქვარცხავა, ჩელებაძე (64. ქვარაია), მამულაძე (67. ხარლამოვი), ძალამიძე (85. ვაშაკიძე), ანანიძე, ჯიშკარიანი (46. გაბაშვილი), შეყილაძე (89. გულუა).

რუსეთი: პლოხიხი, ერემეევი, ჭეჟია, რიაბოვი (კაპ.), ნიკიტინი, კირეევი (67. შალაევი), ემელიანოვი, ნიკიტინსკი (75. სინელობოვი), ნუროვი, ივანიკოვი, ობუხოვი (46. ხოდირევი).

გაფრთხილება: ერემეევი (27), რიაბოვი (39), მირცხულავა (68)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

U16. ამხანაგური მატჩი

პირველი მოვიგეთ

ადრე მიღწეული შეთანხმებისამებრ რუსეთის ჭაბუკთა ნაკრები გვეწვია ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. გუშინ პირველი ასეთი მატჩი გაიმართა. შეხვედრა, რომელიც გლდანში „ამერის“ სტადიონზე ჩატარდა, დაძაბული და საინტერესო გამოდგა. გამარჯვებაში დიდი წვლილი, კიევის „დინამოს“ ჭაბუკთა გუნდში მოასპარეზე **ჯანო ანანიძემ** შეიტანა. პირველი გოლი მან თავად გაიტანა, მატჩის მინურულს კი პენალტი მოიპოვა, რომელიც გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა. შეხვედრას ქართველი მსაჯები ემსახურებოდნენ, თანამსაჯის რანგში კი კიდევ ერთხელ ვიხილეთ **ლალი გახოკია**.

შეხვედრა ქართველების უპირატესობით დაიწყო, მაგრამ ეს ანგარიშში მხოლოდ ტაიმის შუაწელს აღინიშნა. 22-ე წუთზე სტუმართა საჯარიმოში არეულობით ანანიძემ ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მიღებულმა გოლმა რუსები გააააქტიურა და მათ 7 წუთში აღადგინეს წონასწორობა - 29-ე წუთზე ქართველი მცველები შეცდნენ, **გიორგი ნუროვი** მეკარე **ნადირაძესთან** პირისპირ დარჩა და შანსი გამოიყენა.

მეორე ნახევარიც საინტერესოდ წარიმართა. მატჩი ამხანაგური იყო და მწვრთნელებიც შეთანხმდნენ შეცვლების რაოდენობა ლიმიტირებული არ ყოფილიყო. სახიფათო მომენტები ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ ქართველებმა იმარჯვეს და 67-ე წუთზე კიდევ ერთხელ დალაშქრეს რუსთა კარი. სტუმართა საჯარიმოში შეჭრილი ანანიძე **რიაბოვმა** წესების დარღვევით შეაჩერა. თერთმეტმეტრიანი **ირაკლი შეყილაძემ** ზუსტად შეასრულა და საბოლოო ანგარიში, 2:1 დააფიქსირა.

„ჩემი ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი ვარ და, რაღა თქმა უნდა, შედეგიც მახარებს. ჩვენ უკვე დავიწყეთ ევროპის 2009 წლის ჩემპიონატისთვის მზადება. იმ გუნდს ვაშენებთ, რომელიც გაისად შემოდგომაზე ჩაერთვება შესარჩევ ციკლში. ეს გუნდი კიდევ უფრო დაიხვეწება. ამ ასაკში რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს და ვიმედოვნებ, რომ შესარჩევი ციკლისთვის სათანადოდ მოვემზადებით“, - აღნიშნა მატჩის შემდეგ ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელმა **ჰერბერტ ცანკერმა**.

საქართველოსა და რუსეთის ჭაბუკთა ნაკრებებს შორის მეორე ამხანაგური მატჩი ხვალ, 7 ნოემბერს, 14 საათზე „მერანის“ სტადიონზე“ გაიმართება.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ ბაჩანა ცხადაძესთან

სანამ ფეხბურთს ვთამაშობ, ნაკრებში თამაშის იმედი მექნება

ბაჩანა ცხადაძე „ამერში“ წლევანდელი სეზონის დაწყებამდე მივიდა. ახალ გუნდში რამოდენიმე თამაში ითამაშა და არაერთი გოლის გატანაც მოახერხა. პერსპექტიული ფეხბურთელი უკმაყოფილოა და ვერ ხვდება მიზეზს იმისას, თუ რატომ არ ეძლევა ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის შანსი.

ბაჩანა ცხადაძე

- ამერში ყველანაირად კარგი ატმოსფერა, ყველანაირი პირობაა, რომ ფეხბურთელმა თავისი მაქსიმუმი გამოავლინოს.

- შენ მოგეცა მაქსიმუმის გამოვლინების შანსი, მაგრამ შემადგენლობაში მაინც ვერ ხვდები...

- ალბათ არის რაღაც მიზეზი საამისოდ. პირველ რიგში დიდი კონკურენცია და მაღალი დონის თავდამსხმელები - ტატანაშვილი, გოცირიძე და რა თქმა უნდა დავითაშვილი, რომელიც „ამერის“ ლიდერია

- ჯანსაღი კონკურენცია კარგია, მაგრამ ფეხბურთელისთვის მთავარი პრაქტიკაა, გუნდის შეცვლას ხომ არ აპირებ?

- პრაქტიკა მთავარია, მაგრამ სანამ კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებს, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ამ გუნდში ვითამაშო.

- შენი აზრით, უცხოეთში, შედარებით დაბალ ლიგაში თამაშით უფრო გაქვს ნაკრებში მოხვედრის შანსი თუ, „ამერიდან“?

- ახლა ისეთი ტენდენციაა, ნაკრებში თითქოს ამას უკვე აღარ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას და ეროვნული ჩემპიონატიდან საკმაოდ ბევრ ფეხბურთელს იძახებენ. ჩემს შემთხვევაში ვერ გეტყვი, ნაკრებში გამოძახების სად უფრო მეტი შანსი მექნება.

- თუ „ამერში“ არ გათამაშეს, ნაკრებში მოხვედრა ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება...

- მართალია, მაგრამ როცა ეს ციკლი იწყებოდა ახალგაზრდულ ნაკრებში ბევრი ფეხბურთელი მიიწვიეს სხვადასხვა გუნდიდან და საუკეთესოები იქიდან ამოარჩიეს. სამწუხაროდ მე არ მომცემია შანსი, რომ ნაკრებში მევარჯიშა, არადა ამ დროს ბევრს ჰქონდა ეს შანსი, უფრო ზუსტად კი თითქმის ყველას, ვინც რამეს თამაშობს საქართველოში.

- მაინც როგორ ფიქრობ რატომ არ გამოგიძახეს, ერთი შანსი მაინც რატომ არ მოგცეს?

- არ ვიცი, მართლა არ ვიცი, ისიც არ ვიცი, ჩემზე საერთოდ აქვს თუ არა ინფორმაცია მწვრთნელს. ჩემი ოცნებაა ნაკრებში თამაში და ამის იმედი ყოველთვის მექნება, სანამ ფეხბურთს ვითამაშებ.

ავთანდილ ცეცხლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

ლატვია მორჩა, ლიტვაც სრულდება

ბელარუსში ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართა. **ალექსანდრე შუბლაძის** „დნეპრი" უკვე გაჩემპიონებულ ბატე-ს მასპინძლობდა. ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია, სტუმრებმა კი 2:1 იმარჯვეს. „დნეპრი" 23 ქულით 14-გუნდიან ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილზეა. მოგილეველებს დაქვეითება არ ემუქრებათ. ბრესტის „დინამო" „ნაფტანს" ეწვია და 0:0 დაუზავდა. **გია თოდუა** სასტარტო შემადგენლობაში იყო, ქართველი ფორვარდი 70-ე წუთზე შეცვალეს. **რომან გოგინაშვილი** 78-ე წუთზე შევიდა მოედანზე. საგოლე მომენტი „დინამოს" ორივე ქართველს ჰქონდა, თოდუას - რამდენიმეც, თუმცა ჩვენმა ლეგიონერებმა გატანა ვერ მოახერხეს. „დინამო" 25 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა.

ლატვიაში ჩემპიონატი დასრულდა, თუმცა მთავარი საკითხი, ჩემპიონის ვინაობა რამდენიმე დღით ადრე დაიბეგა **ზურაბ მენთეშაშვილის** „ვენტსპილსმა". ბოლო ტურში „ვენტსპილსი" სტუმრად „დაუგავას" დაუზავდა - 0:0. ამ თამაშში უმთავრესად ახალგაზრდებს ენდნენ, ასე რომ გუნდისთვის ზურაბ მენთეშაშვილს არ უთამაშია. გუნდისთვის სეზონი არ დასრულებულა - 8 ნოემბერს კლუბი ბალტიის თასის ფინალის პირველ მატჩში ლიეპაიის „მეტალურგსს" შეხვდება. ჩემპიონატი მენთეშაშვილის გუნდმა 60 ქულით დაასრულა, „მეტალურგსმა" - 58-ით.

„სკონტომ" შინ 2:0 დაამარცხა **თამაზ პერტიას** „დინაბურგი". **დავით გამეზარდაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **ზაალ ელიავამ** ტრავმის გამო სეზონის ბოლო მატჩიც გამოტოვა. ასევე შეუცვლელად ითამაშა სტუმართა ნახევარმცველმა **ლევან კორღალიძემ, ბექარ გიორგაძე** და **როლანდ სვანიძე** კვლავ სათადარიგოები იყვნენ. მოგების მიუხედავად „სკონტომ" სეზონი ჩააგდო, მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. პერტიას სამწვრთნელო კარიერაც არცთუ წარმატებულად დაინყო, „დინაბურგმა" ჩემპიონატი ბოლოსწინა, მეშვიდე ადგილზე დაასრულა.

ლიტვაში ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართა, ჩემპიონმა „კაუნასმა" სტუმრად 3:1 მოუგო „ეკრანასს". არ უთამაშია **გივი კვარაცხელიას, ნუკრი მანჩხავა** 90 წუთი მოედანზე იყო, ხოლო **აკაკი ხუბუტია** - სათადარიგო. „კაუნასი" 80 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. „ვეტრამ" ბოლოადგილოსანი „ინტერასი" 3:0 დაამარცხა. მასპინძელთა ბოლო გოლი 84-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა **ვახტანგ კვარაცხელიამ** გაიტანა. „ვეტრა" 61 ქულით მეოთხეა და ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძვის.

კვიპროსში პირველად გალიდერდა ქართველი მწვრთნელის, **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი". ფამაგუსტელებმა შინ 4:0 გაანადგურეს „არისი" და „ომონიას" ორი ქულით გაასწრეს. **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსი" სტუმრად 1:2 დამარცხდა აპოპ-თან. ლევანმა 90 წუთი ითამაშა ნახევარდაცვაში. **ლევან მაღრაძის** „აპოლონმა" 3:2 იმარჯვა „ოლიმპიაკოსზე". ქართველმა ნახევარმცველმა მხოლოდ ბოლო წუთი ითამაშა. „აპოლონი" 13 ქულით მესამე ადგილზეა.

მოლდოვაში „დაჩიას" ფორვარდმა **ჯაბა დვალმა** „ოლიმპიას" ორი გოლი გაუტანა - 33-ე წუთზე გახსნა ანგარიში, ხოლო მე-80-ზე მასპინძელთა რბევას წერტილი დაუსვა (4:1). „ზიმბრუმ" „დინამო" ბენდერის უმასპინძლა - 0:0. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **მამუკა ლომიძემ**. ლიდერმა „შერიფმა" 3:0 გაანადგურა „სტიაუა". გუნდის კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი ითამაშა. „შერიფი" 42 ქულით ლიდერია, „ზიმბრუ" 33 ქულით მესამეა, „დაჩია" 32 ქულით - მეოთხე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თარგამაძის წარმატებული დებიუტი

პარასკევს „ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდმა გერმანიის „იუნიორ პოკალის" (იუნიორთა თასის) მეორე ეტაპზე „ჰალეშენდს" 4:1 მოუგო. ეს შეხვედრა ჩვენთვის აღსანიშნავი იმით არის, რომ „ფრაიბურგში" საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველის **დავი თარგამაძის** დებიუტი შედგა.

მან შეხვედრის 25-ე წუთზე მეორე გოლი გაიტანა და მთელი მატჩი შეუცვლელად მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ჩაატარა.

„ფრაიბურგის" ოფიციალური გვერდი იუწყება, რომ თარგამაძემ ლამაზი კომბინაცია მოხდენილი დარტყმით დაგვირგვინა.

ამ გამარჯვებით „ფრაიბურგი" გერმანიის იუნიორთა თასის მეოთხედფინალში გავიდა, სადაც დორტმუნდის „ბორუსიის" 19-წლამდელებს 25 ნოემბერს შეხვდება.

დათო თარგამაძე დებიუტით გახარებული იყო და კომენტარი ჩამოვართვით: *„ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო და ბუნებრივია, ყველა განსაკუთრებული ინტერესით მიყურებდა. მიხარია, მწვრთნელის იმედები რომ გავამართლე. აქ ბევრმა მითხრა, პირველივე მატჩში ჩანს, ფეხბურთელი იღბლიანია თუ არაო. ამითაც კარგია, თავი რომ გამოვიჩინე. საქმის კარგად დაწყება სასიხარულოა."*

გუშინ კი გერმანიის 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში „ფრაიბურგი" „ჰოფენჰაიმს" ეთამაშა. საერთოდ, „ფრაიბურგი" ტალანტების აღზრდით გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულია. დიდებისგან განსხვავებით, ის ბუნდესლიგაშია და წარმატებითაც ასპარეზობს. 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში უკვე 8 ტური ჩატარდა და „ფრაიბურგი" 15 ქულით ლიდერია.

„ჰოფენჰაიმთან" დათომ ასევე 90 წუთი ითამაშა. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა და რადგან მეორეადგილოსანმა „კაიზერსლაუტერნმაც" ვერ მოიგო, „ფრაიბურგმა" პირველობა შეინარჩუნა.

მერაბ მამულაშვილი

ზავაროვმა, დემეტრაძეის აღარ არისო

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში კიევის „არსენალი" „ხარკოვთან" დამარცხდა (0:2). მატჩის შემდეგ „მეთოფეთა" მწვრთნელმა **ალექსანდრ ზავაროვმა** დაიჩივლა, თავდამსხმელთა დაბალ შედეგიანობაზე ისაუბრა და **გიორგი დემეტრაძეზეც** ორიოდე სიტყვა თქვა:

„უკვე ხუთი მატჩია, ბურთი ვერ გაგვიტანია. გუნდი მობილიზაციას ვერ ახერხებს. ფეხბურთელებთან ინდივიდუალურად დალაპარაკება და მათი ციდან მიწაზე დაშვება მსურს. რაც შეეხება გიორგი დემეტრაძეს, როგორც ვხედავ, მისი საუკეთესო წლები წარსულს ჩაბარდა. რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ 0:2-ზე მან ისეთი მომენტი ვერ გამოიყენა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოეყენებინა."

მერაბ მამულაშვილი

ჰეთ-თრიქი სამ ქვეყანაში

ლიტვის ჩემპიონატი დასრულდა. „კაუნასი" ისევ ჩემპიონი გახდა. ოქროს მედლები **გია კვარაცხელიამ, ნუკრი მანჩხავამ** და **აკაკი ხუბუტიამ** მოიპოვეს.

გია კვარაცხელიამ ქართველ ფეხბურთელებში ერთგვარი რეკორდი მოხსნა. ის უკვე მესამე ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობველი გახდა.

„სამი ქვეყნის ჩემპიონი გავხდი. სამჯერ საქართველოში, ერთხელ ლატვიაში და ორჯერ ლიტვაში. ერთგვარი ჰეთ-თრიქი შეასრულე. თუმცა არამარტო ჩემპიონატში. სამივე ქვეყანაში თასის და სუპერთასის მფლობელიც გავხდი. ეს ერთგვარი სამმაგი ჰეთ-თრიქი გამოვიდა, არა?", - აღნიშნა მან „ლელოსთან" საუბარში

რომელი ქვეყანა იქნება მეოთხე გია კვარაცხელიას კარიერაში, ამაზე ჯერ ვერაფერს ამბობს: „მართალია, „კაუნასთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს, მაგრამ წასვლაზე ვფიქრობ. ვნახოთ, ჩანაფიქრიდან რა გამოვა. საამისოდ, სასურველია მოსკოვში თანამეგობრობის ტურნირზე გამოსვლა. იქნებ, „კაუნასმა" თასის აღება ახლა მაინც მოახერხოს.

ყველა ფეხბურთელი ფიქრობს უკეთეს გუნდში თამაშზე, ძალების უკეთეს ჩემპიონატში მოსინჯვაზე. ლიტვაში დარჩენაზე არც ვფიქრობ. მეც დიდი იმედი მაქვს, რომ კარიერას ლიტვაზე გაცილებით მაგარ ლიგაში ჩავამთავრებ. საამისოდ ბევრს ვშრომობ. რომანოვს კიდევ ერთხელ ვესაუბრე ჩვენს სამომავლო ურთიერთობაზე. მისი პოზიცია უცვლელია, თუკი რეალური და საინტერესო წინადადება გამოჩნდება, ხელს არ შემიშლის. მთავარია, თანამეგობრობის თასზე პეტერბურგში კარგად ვითამაშო. როგორც ვიცი, იქ საგანგებოდ ჩემზე დასაკვირვებლად სელექციონერები ჩამოდიან. თუმცა არ მინყინოთ, ჯერ დაინტერესებული გუნდების სახელებს ვერ დავასახელებ."

კვარაცხელია ქართველი თანაგუნდელების, **ნუკრი მანჩხავას** და **აკაკი ხუბუტიას** შესახებაც გვესაუბრა: *„ნუკრის კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უმთავრდება. ის ლიტვის ჩემპიონატისთვის აშკარად გადაიზარდა და ისიც ჩემსავით „კაუნასიდან" წასვლაზე ფიქრობს. როგორც ვიცი, მას უკეთეს გუნდში გაყიდვას უპირებენ და რაც მთავარია, ის საამისოდ მზადაა. შრომა მას არ ეზარება და დარწმუნებული ვარ, თავის სიტყვას იტყვის.*

რაც შეეხება აკაკი ხუბუტიას, ის ჩვენთან მეორე წრეში დააბრუნეს. ცუდი ბიჭი ნაღდად არაა, მაგრამ მან „კაუნასის" ძირითადში ადგილის გასამყარებლად ბევრი უნდა იმუშაოს."

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის სიფრცელი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-666 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გუნებლად



სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ნუგზარ და თამაზ ბოკერიებს ძმის და ბიძის

გურამ ბოკერიას

გარდაცვალების გამო.
გამოსვენება წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან (მარცხენა სანაპირო), 6.XI, 14 სთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის წინ

ბენიტესი: მე მჯერა ჩემი გუნდის!

ოლიმპიაკოსი რეალს ემუქრება, კუმანი რუსენბორგით იწყებს...

A ჯგუფი
ლივერპული-ბეშიქთაში

წინა სეზონის ფინალისტი სერიოზული საფრთხის წინაშეა: "ლივერპულმა" ზედიზედ ორი მარცხი განიცადა, ჯგუფში ბოლო ადგილზეა და მერვედფინალს მიღმა დარჩენა ემუქრება. ამრიგად, "ბეშიქთაშთან" მერსისაიდელებმა აუცილებლად უნდა მოიგონ, თუკი პლეიოფში თამაში სურთ, მაგრამ აქ ისიც აღსანიშნავია, რომ თურქებსაც არაფერი აქვთ დასაკარგი. ის, რომ "ენფილდიდან" 3 ქულის წაღება შეუძლებელი არ არის, მეორე ტურში მარსელის "ოლიმპიკმა" დაამტკიცა, დაამარცხა რა "ლივერპული" სტუმრად (1:0).

რაფა ბენიტესს გუნდის ნომერ პირველი გოლეადორი **ფერნანდო ტორესი** კი გამოუჯანმრთელდა, მაგრამ დიდი შანსია, რომ ესპანელმა დღეს მაინც ვერ ითამაშოს. ტორესმა "არსენალთან" მიღებული ტრავმა, რომლის შემდეგაც ექიმები მას სამკვირიან იძულებით პაუზას უწინასწარმეტყველებდნენ, მოიშუშა და ვარჯიში განაახლა, მაგრამ "ლივერპულის" სამედიცინო შტაბი მიიჩნევს, რომ "ბეშიქთაშთან" მისი თამაში დიდი რისკია. შესაბამისად, საქმე იქითკენ მიდის, რომ დღეს თურქულ გუნდს **ბაბელისა** და **კუიტის** დუეტი შეუტევს.

საკადრო პრობლემა აქვს "ბეშიქთაშსაც" - 26 წლის მცველმა **გიოქჰან ზანმა** გასულ უქმეებზე "ფენერბაჰჩესთან" (1:2) შეხვედრაში მუხლის ტრავმა მიიღო და ერთთვიანი შვებულება გამოიწერა. შესაბამისად, ზანი თანაგუნდელებს ვერ დაეხმარება. მის გარდა, "ბეშიქთაშს" ვერც **როდრიგო ტელო** და **მარსიო ნობრე** დაეხმარებიან.

"დღეისთვის მხოლოდ ერთ კონკრეტულ მატჩზე ვფიქრობ და ეს არის შეხვედრა "ბეშიქთაშთან". არ მინდა იმაზე ვიფიქრო, თუ რა მოხდება იმ შემთხვევაში, ეს მატჩი რომ ვერ მოვიგოთ. ჯერ არაფერი დაგვიკარგავს და მოდით, ანალიზის უნარსაც ნუ დავკარგავთ. სანამ გავარდნილები არ ვართ, განგაშის ზარებს ნუ შემოვკრავთ, რადგან ჯერ ყველაფერი წინაა. პირადად მე ჩემი გუნდის 100 პროცენტით მჯერა და დარწმუნებული ვარ, რომ მერვედფინალში ვითამაშებთ. სწორედ ასეთი განწყობით უნდა გავიდეს მოედანზე ჩემი თითოეული შეგირდი და ეს ასეც იქნება," - განაცხადა ბენიტესმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.



რონალდ კუმანი

სავარაუდო შემადგენლობები:

ლივერპული: რეინა, კარაგერი, ფინნი, ჰიპია, რიისე, სისოკო, მასკერანო, ჯერარდი, ბენაიუნი, კუიტი, ბაბელი.

ბეშიქთაში: არიქანი, იბრაჰიმი, თორამანი, ქურთულუში, თანდოგანი, ილმაზი, ქორაი ავჩი, იოზქანი, ე. სისე, დელგადო, ბობო.

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია).

პორტუ-მარსელი

"მარსელისა" და "პორტუს" წინა დაპირისპირება ფრედ 1:1 დასრულდა. იმ შეხვედრაში პორტუგალიური კლუბი მარცხისგან **ლუჩო გონსალესის** გოლმა (პენალტით) იხსნა, რითაც არგენტინელმა ჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრძოლას ინტრიგა მშეუნარჩუნა. "პორტუ" დღეს მასპინძელია და მოგების შემთხვევაში შესანიშნავი შანსი უჩნდება, რომ ბოლო ხუთ წელინადში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მეოთხედ გავიდეს. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში მარცხი ჯერ არცერთს არ უწვნევია - "მარსელი" ლიდერია, რადგან ორი მოგება და ერთი ფრე აქვს, "პორტუ" კი მეორე ადგილზეა (2 ფრე, 1 მოგება).

პორტუგალიელთათვის უდიდესი დანაკლისია ლუჩო გონსალესის არყოფნა, რომელმაც გასულ უქმეებზე, "ბელენესუშთან" სერიოზული ტრავმა მიიღო. არგენტინელი მოთელვისას დაშავდა, თუმცა ხსენებულ შეხვედრაში მოედანზე მაინც შევიდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო და 11 წუთში მოედნიდან საკაცით გასატანი გახდა. სამაგიეროდ, **ჟესუალდო ფერეირას** ლაზარეთიდან **ჟოზე ბოსინგვა** უბრუნდება.

"ჩვენ 3 თამაშში 7 ქულას მოვუყარეთ თავი," - აცხადებს "მარსელის" ნახევარმცველი **ბუდევინ ზენდენი**, - *"შესაბამისად, მერვედფინალში გასვლის შესანიშნავი შანსი გვაქვს და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ეს თამაში ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თანაც, ჩვენს მეტოქეს მაყურებლების მხარდაჭერა ექნება და ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რაოდენ ერთგული ქომაგები ჰყავს "პორტუს", რომელიც საკუთარ კედლებში ყოველთვის ძალიან ძლიერია. ვფიქრობ, "დრაგაოზე" დიდი მატჩი შედგება."*

სავარაუდო შემადგენლობები:

პორტუ: ელტონი, ბრუნო ალვეში, მ. ჩეხი, ფუჩილე, სტეპანოვი (ან ბოსინგვა), ასუნსაო, რაულ მეირელეში, სეტტიუი, ქუარეშმა, ელდერ პოშტიგა, ლისანდრო ლოპესი.

მარსელი: მანდანდა, ტაივო, ფიუე, ბონარი, ზუბარი, ზიანი, შეირუ, ზენდენი (ან კანა), ნასრი, ჯ. სისე, ნიანგი.

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია).

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მარსელი	3	2	1	0	4-1	7
2. პორტუ	3	1	2	0	3-2	5
3. ბეშიქთაში	3	1	0	2	2-4	3
4. ლივერპული	3	0	1	2	2-4	1

B ჯგუფი
ვალენსია-რუსენბორგი

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე სამი ტურია გასული და ძალიან საინტერესო ფაქტია ის, რომ გუნდების ერთმა მეოთხედმა მწვრთნელები გამოიცვალეს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ყველაზე მეტად სწორედ B ჯგუფი გამოირჩა, სადაც ოთხი გუნდიდან სამმა დამრიგებელი შეცვალა და ამ ჯგუფის ერთადერთი გუნდი, სადაც სამწვრთნელო გადაადგილება ჯერ არ მოხდარა, "შალკეა". თუმცა არც ამ გუნდის თავკაც **მირკო სლომკას** აქვს საქმე კარგად. პირველად **ჟოზე მოურინიოს** მოუხდა ბარგის ჩალაგება - პორტუგალიელი პირველივე ტურის შემდეგ (მოულოდნელი ფრე "რუსენბორგთან") დაითხოვეს. ნორვეგიულმა კლუბმა ორი კვირის წინათ, ყველასთვის მოულოდნელად "ვალენსია" დაამარცხა და იმაში, რომ **კიკე სანჩეს ფლორესს** პოსტი დაატოვებინეს, გასაკვირი არაფერია, სამაგიეროდ, გასაკვირი იყო "რუსენბორგის" მწვრთნელის **კნუტ ტერუმის** გადადგომა. თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ "რუსენბორგს" ნორვეგიის ჩემპიონატში საქმეები ძალიან ცუდად წაუვიდა, ტერუმის წასვლაშიც ვიპოვით ლოგიკას.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ დღეს "ვალენსია" და "რუსენბორგი" ერთმანეთს ახალი მწვრთნელებით დაუპირისპირდებიან - "ღამურების" თავკაცად, როგორც იცით, **რონალდ კუმანი** დაინიშნა, "რუსენბორგი" კი **ტრონდ ჰენრიკსენმა** ჩაიბარა. "ვალენსია" ვალდებულია, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქროს. ნორვეგიელები კი ძალიან მშვიდად არიან - ამ გუნდს ასეთ წარმატებებს არავინ უწინასწარმეტყველებდა და მიუხედავად იმისა, რომ "რუსენბორგი" სამი ტურის შემდეგ ჯგუფში მეორე ადგილზეა, არ უკვე ჰენრიკსენის შეგირდები მეცხრე ცაზე არ დაფრინავენ. ისინი "მესტალიაზეც" ბრძოლას გეგმავენ - ბრძოლას მინიმუმ ქულისთვის. აღსანიშნავია, რომ ესპანურ კლუბს დღეს მცველი **ალექსისი** არ ეყოლება - ეს უკანასკნელი ტრავმირებულია და ლაზარეთში 4 თვეს გაატარებს. მის გარდა, კუმანი ვერც **კარლოს მარჩენას**, **რუბენ ბარახას**, **სანტიაგო კანისარესსა** და **ედუს** დაიხმარს.

სავარაუდო შემადგენლობები:

ვალენსია: ჰილდებრანდი, მიგელი, კანერა, ელგრეა, მორეტი, ალბელდა, ვისენტე, ხოაკინი, ფერნანდესი, დავიდ სილვა, მორენტესი.

რუსენბორგი: ჰირშფელდი, კოპინენი, სტეოორი, ნორდვიკი, სკიელბრედი, ტეტეი, საპარა, ივერსენი, ტრაორე, ი. კონე, სტორფლორი.

მსაჯი: ალონ იეფეტი (ისრაელი).

შალკე-ჩელსი

"შალკე" ძალიან მძიმე მდგომარეობაშია - გარდა იმისა, რომ გუნდში ბოლოდროინდელი წარუმატებლობების გამო ქაოსი და გაურკვევლობაა, **მირკო სკომკას** საკადრო პრობლემებიც თავზესაყრელად აქვს. მაგალითად, ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიას პარასკევს **კევინ კურანიც** დაემატა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ხუმარებს" ერთადერთი მაღალი დონის ცენტრფორვარდი გამოაკლდათ. კურანი თანაგუნდელებს ვერ დაეხმარება, მაგრამ შალკელებს სიტყვებით აგულიანებს - თუკი "კოტბუსმა" ჩვენ მოგვიგო, ჩვენ რატომ ვერ უნდა დავამარცხოთ "ჩელსიო". კევინის თქმით, დღეს S04-მა ზუსტად ისე უნდა იბრძოლოს, როგორც პარასკევს "კოტბუსმა" იბრძოლა "შალკესთან".

იმ თამაშის შემდეგ სლომკამ თქვა, ვინც დღეს ცუდად იასპარეზა, "ჩელსისთან" არ ვათამაშებო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი დღეს **პეტერ ლოვენკრანდსს** და **ჯერალდ ასამოას** აღარ ენდობა (თუმცა ამ უკანასკნელს ისედაც ტრავმა აწუხებს). იმის გამო, რომ **ჰალილ ალთინთოფიც** ლაზარეთშია, "შალკეს" ერთგვარი პრობლემა აქვს, რადგან თავდასხმაში მხოლოდ კურანის შემვცელი **სიორენ ლარსენი** რჩება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ გელზენკირხენელები მხოლოდ ერთი ფორვარდით ითამაშებენ? ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ სლომკა მეორე თავდამსხმელის პოზიციაზე **ივან რაკიტიჩს** გაამწესებს. კითხვის ნიშნის ქვეშაა **ფაბიან ერნსტის** თამაშიც და რაკი **ლევან კობიაშვილიც** ტრავმირებულია, გუნდს მისი შემცვლელი ფაქტობრივად არ ჰყავს. ასე რომ, სლომკამ რაღაც უნდა მოიფიქროს. რაც შეეხება "ჩელსის" - **ავრამ გრანტის** შეგირდები გელზენკირხენში დამშვიდებულები ჩავიდნენ. "რუსენბორგთან" მოულოდნელი ფრის შემდეგ "არისტოკრატებმა" ორივე თამაში მოიგეს და სანერვიულო არაფერი აქვთ. გაირკვა, რომ **პაულო ფერეირა** მოედანს მხოლოდ თვენახევრის შემდეგ დაუბრუნდება, რაც ლონდონელთათვის არასახარბიელო ინფორმაციაა. თუმცა გრანტი ამბობს, მართალია, ფერეირას არყოფნა დიდი დანაკლისია, მაგრამ ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, . რომლებიც მას ღირსეულად შეცვლიანო.

სავარაუდო შემადგენლობები:

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ფ. ერნსტი, ჯონსი, ბაირამოვიჩი, გროსმიულერი, რაკიტიჩი, ლარსენი.

ჩელსი: პ. ჩეხი, ბელეტი, რ. კარვალიო, ალექსი, ბრიჯი, რაიტ-ფილიპსი, ესიენი, ლემპარდი, ჯ. კოული, მალუდა, დროგბა.

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია).

	თ.	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჩელსი	3	2	1	0	5-2	7
2. რუსენბორგი	3	1	1	1	3-3	4
3. ვალენსია	3	1	0	2	2-4	3
4. შალკე	3	1	0	2	2-3	3

C ჯგუფი
ლაციო-ვერდერი

"ლაციომ" სერია A-ში, 11 ტურში მხოლოდ 10 ქულას მოუყარა თავი და ახლა მე-15 ადგილზეა, რაც რომაული კლუბისთვის კატასტროფის ტოლფასია. ერთი სიტყვით, გამართლდა ის, რისაც პესიმისტურად განწყობილ ფანებს ყველაზე მეტად ეშინოდათ: ლაციალე, რომელსაც არ აქვს გრძელი სათადარიგოთა სკამი, ორმაგ დატვირთვას (იტალიის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა) ვერ უძლებს. "ფიორენტინასთან" განცდილი მარცხის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა **დელიო როსიმ** შეგირდები დატუქსა და განაცხადა, ჩვენი საქმეები ძალიან ცუდად მიდის და ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო. მცველ **სანჩეს კრიბარის** სჯერა, რომ მისი თანაგუნდელები ძალებს მოიკრებენ და კრიზისიდან "ვერდერის" დამარცხებით გამოვლენ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ თუ "ლაციოს" ჯგუფუდან გასვლაზე აქვს პრეტენზია, დღეს აუცილებლად 3 ქულა უნდა აიღოს. სხვათა შორის, "ფიორენტინასთან" წაგების გამო განრისხებული იყო ვეტერანი მეკარე **მარკო ბალოტაც**. 43 წლის (!) გოლკიპერი აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ მისმა გუნდმა ზედიზედ სამი თამაში წააგო.

მართალია, "ვერდერმა" ბუნდესლიგაში თავისი თამაში მოიგო და პოზიციები გაიმყარა, მაგრამ "მუსიკოსთა" მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი** მშვიდად მაინც ვერ იქნება, რადგან უამრავი თავსატეხი აქვს. **ტორსტენ ფრინგსის** ტრავმას ისიც დაემატა, რომ დაშავდა **ბუბაკარ სანოგო** და ეს უკანასკნელი დაახლოებით ოთხ თვეს დაისვენებს. შაფს სხვა გზა არა აქვს, თავდასხმაში **უგო ალმეიდასთან** ერთად **მარკუს როზენბერგი** უნდა გაამწესოს. სათადარიგოთა სკამზე კი ახალგაზრდა **კევინ შინდლერი** იქნება. სამაგიეროდ, "ვერდერის" განაცხადს ბრაზილიელი **კარლოს ალბერტო** დაუბრუნდა და მასთან ერთად, გუნდს რომში გამოჯანმრთელებული **დანიელ იენსენიც** გაჰყვა.



რაფა ბენიტესი

სავარაუდო შემადგენლობები:

ლაციო: ბალოტა, სკალონი, სტენდარდო, კრიბარი, ძაური, ფირმანი, მუდინგანი, კრისტიან ლედესმა, მუტარელი, როკი, პანდევი.

ვერდერი: ვიზე, კ. ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ბაუმანი, ლ. ანდრეასენი, ბოროვსკი, დიეგო, როზენბერგი, უგო ალმეიდა.

მსაჯი: ივან ბებეკი (ხორვატია).

ოლიმპიაკოსი-რეალი

არც "ვერდერს" არც "ლაციოს" - ამ ჯგუფიდან, "რეალთან" ერთად, მერვედფინალში გასვლის საუკეთესო შანსი "ოლიმპიაკოსს" აქვს, რომელმაც "სანტიაგო ბერნაბეუზე" მადრიდულ გრანდს უდიდესი ომი გაუმართა და საბოლოოდ 2:4 დამარცხდა. მაგრამ "ოლიმპიაკოსს" რომ დიდი პოტენციალი აქვს, ეს მხოლოდ იმ შეხვედრაში არ გამოჩენილა - მანამდე ბერძნებმა "ლაციოსთან" ფრე ითამაშეს და "ვერდერი" სტუმრად დაამარცხეს. არცაა გასაკვირი, ხმამაღლა რომ ამბობენ, "რეალთან" მხოლოდ მოგებისთვის ვიბრძოლებთო. ამ შეხვედრაში ბერძნებს არგენტინელი ნახევარმცველი **კრისტიან რაულ ლედესმა** არ ეყოლებათ, რომელიც ტრავმირებულია.

სავარაუდო შემადგენლობები:

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ჟულიო სეზარი, ჟევლაკოვი, რაულ ბრავო, პაცაგოლუ, ჯორჯევიჩი, სტოლტიდისი, გალეტი, კონსტანტინუ, ლუა ლუა, კოვაჩევიჩი.

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, მეტცელდერი, კანავარო, მარსელო, მ. დიარა, გუტი, გახო, რაული, რობინიო, ვან ნისტელროი.

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი).

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რეალი	3	2	1	0	8-5	7
2. ოლიმპიაკოსი	3	1	1	1	6-6	4
3. ვერდერი	3	1	0	2	4-6	3
4. ლაციო	3	0	2	1	4-5	2

D ჯგუფი
სელტიკი-ბენფიკა

ამ თამაშში გამარჯვებული გუნდი მერვედფინალში გასვლის შანსს შეინარჩუნებს, დამარცხებულს კი ფაქტობრივად ხელის ჩაქნევა მოუწევს. ფრე არცერთ გუნდს არ აძლევს ხელს და ამიტომაცაა, ორივე ბანაკში მხოლოდ მოგებაზე რომ საუბრობენ. განსაკუთრებით მონდომებული პორტუგალიელები არიან.

"სელტიკი ფიზიკურად ძალიან ძლიერი გუნდია და ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ კომპონენტში მეტოქეს არაფერი დავუთმოთ. ძალიან მძიმე მატჩი გველის, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ფრეზეც თანახმა ვიქნებით - ბენფიკა გლასგოში მხოლოდ და მხოლოდ სამი ქულისთვის ჩამოვიდა," - განაცხადა ლისაბონელთა მწვრთნელმა **ხოსე ანტონიო კამაჩომ** მატჩისწინა პრესკონფერენციაზე. თანაც, პორტუგალიურ გრანდს თავდამსხმელი **ნუნუ გომეში** გამოუჯანმრთელდა.

სავარაუდო შემადგენლობები:

სელტიკი: ბორუცი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, კენედი, იაროშიკი, მაკგიდი, ჰარტლი, ბრაუნი, ვენეგაორო ოფ ჰესელინკი, მაკდონალდი.

ბენფიკა: კუიმი, ლეო, ლუიზაო, კაცურანისი, ლუიშ ფელიპე, ნუნუ ასისი, რუი კოშტა, პერეირა, ბინია, კ. როდრიგესი, ნუნუ გომეში.

მსაჯი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი).

შახტარი-მილანი

"შახტარი" და "მილანი" ლიდერები არიან და დღეს ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერობისთვის იბრძოლებენ. წინა შეხვედრაში "მილანმა" დონეცკური კლუბი პირწმინდად დაჩაგრა და 4:1 გაანადგურა. "შახტარის" თავკაცი **მირჩა ლუჩესკუ** იმედოვნებს, რომ ამჯერად "როსონერი" ისე ვეღარ დაჯაბნის მის გუნდს, როგორც ორის კვირის წინათ "სან სიროზე" დაჯაბნა. ლუჩესკუ არ მალავს, რომ დღევანდელ შეხვედრაში ის და მისი შეგირდები ფრეზეც ყაბულს არიან. აღსანიშნავია, რომ "მილანს" **რონალდო** გამოუჯანმრთელდა და **კარლო ანჩელოტიმ** ბრაზილიელი თავდამსხმელი განაცხადში შეიყვანა. მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილს ჯერ ალბათ მაინც ვერ ანდობს.

სავარაუდო შემადგენლობები:

შახტარი: პაიატოვი, კუჩერი, შევჩუკი, სრნა, ჩიგრინსკი, ლევანდოვსკი, ფერნანდინიო, ჟადსონი, ილსინიო, ბრანდაო, ლუკარელი.

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, კალაძე, ფავალი, ამბროზინი, ბროკი, პირლო, კაკა, ზეედორფი, ჯილარდინო.

მსაჯი: პიტერ ვინკი (ჰოლანდია).

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მილანი	3	2	0	1	7-4	6
2. შახტარი	3	2	0	1	4-4	6
3. ბენფიკა	3	1	0	2	2-3	3
4. სელტიკი	3	1	0	2	2-4	3

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

სლომკას მხოლოდ ლოცვა თუ უშველის...

პრეზიდენტმა შნუზენბერგმა მირკოს ჩელსისთან და ჰამბურგთან წაგების ნება დართო...

"კოტბუსთან" წაგების შემდეგ (შეგახსენებთ, რომ ეს "ენერგისთვის" მიმდინარე სეზონში მოპოვებული პირველი გამარჯვება იყო), "შალკეში" ქაოსმა და ტრადიციულმა გაურკვევლობამ დაისადგურა. ანუ, ზუსტად ისე, როგორც ყოველთვის, როცა გელზენკირხენულ კლუბს კრიზისი აქვს ხოლმე. და რაც დრო გადის, მით უფრო რეალური ხდება ის, რომ ამ ყველაფერს გუნდის მთავარი მწვრთნელი მირკო სლომკა შეეწიროს.

სლომკამ, ჯერ კიდევ საფინალო სასტვენის შემდეგ, გასახდელში მოანყო მცირე სკანდალი და შეგირდებს ლექცია წაუკითხა, მეორე დღეს კი, ფეხბურთელებს გუნდის მენეჯერ **ანდრეას მიულერთან** ერთად საათნახევრის განმავლობაში ტუქსავდა. *"ჯერ კიდევ სამივე ფრონტზე ვიბრძვით და უშანსოდ არცერთ მათგანზე არ ვართ, მაგრამ ფაქტია, რომ ბუნდესლიგაში მინიმუმ 6 ქულა გვაკლია იმისთვის, რომ თავი იმ პოზიციაში დავიგულოთ, რაც სეზონის წინ დავგეგმეთ. შესაბამისად, თავი ვალდებულად მივიჩნიე, რომ გუნდისთვის ამ ყველაფრის შესახებ შემეხსენებინა,"* - განაცხადა სლომკამ.

სლომკას შესახებ დისკუსია დიდი ხნის დაწყებულია, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელებმა, ყველასთვის მოულოდნელად, აზრი შეიცვალეს. ორიოდ კვირის წინათ, "შალკეს" პრეზიდენტმა **იოზეფ შნუზენბერგმა** თქვა, უნდა ვიფიქროთ თუ არა მწვრთნელის შეცვლა-ზე, ამას მომდევნო თამაშები გვიჩვენებსო. პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგ "შალკემ" ჯერ "ჩელსისთან" წააგო, მერე "ვერდერთან" ფრე (1:1) ითამაშა, რასაც გერმანიის თასზე მოპოვებული ძვირადღირებული გამარჯვება მოჰყვა (2:0 "ჰანოვერთან", დამადებით დროში), გასულ პარასკევს კი "შალკე"კოტბუსში დამარცხდა (0:1). ჰო, "შალკეს" ლონდონში მოგებას არავინ სთხოვდა და "ვერდერთან" ფრეც მეტნაკლებად საპატიოა. გამოდის, რომ ერთადერთი სერიოზული იმედგაცრუება "კოტბუსთან" წაგება იყო, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, თუ როგორი ფეხბურთი აჩვენეს "ხუმარებმა" ზემოთ ხსენებულ მატჩებში, ეს ყველაფერი საკმარისი იყო იმისთვის, რომ სლომკას სკამი კიდევ უფრო მორყეულიყო და მოირყა კიდეც, ოღონდ, როგორც ჩანს, არა პრეზიდენტისთვის.

აი, რას ამბობს შნუზენბერგი დღეს: *"არა, ჩვენ მწვრთნელის გაგდებას არ ვაპირებთ! სლომკას არც იმ შემთხვევაში დავითხოვთ, თუ გუნდი "ჩელსისთანაც" წააგებს და "ჰამბურგთანაც"*. ეს იმას ნიშნავს, რომ მირკომ გუნდის ბოსისგან ორივე ძალიან მნიშვნელოვანი თამაშის წაგების უფლება მიიღო. არადა, სლომკამ "კოტბუსის" მატჩის შემდეგ თვითონვე თქვა, კრიტიკას მეც ვიმსახურებ და გუნდიცო. შნუზენბერგი: *"მირკოს შესაძლებლობებში დღესაც 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ ის კიდევ დიდხანს იქნება "შალკეს" მთავარი მწვრთნელი."*

რაც მთავარია, მოთამაშეებმა უკვე იციან, რომ კოტბუსში გუნდის კრიზისმა პიკს მიაღწია. *"ჩვენ ყველანი კაცები ვართ და ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც მამაკაცს შეშვენის - "ჩელსისთანაც" და "ჰამბურგთანაც" გუნდმა უნდა დაამტკიცოს, რომ ბრძოლისუნარიანია!"* - აცხადებს **კევინ კურანი**. ოღონდ, გელზენკირხენელ ფეხბურთელებს დღესაც მომავალ შაბათსაც, ამ ყველაფრის დამტკიცება კევინის გარეშე მოუნევთ, რადგან 25 წლის თავდამსხმელმა "კოტბუსთან" ტრავმა მიიღო და თანაგუნდელებს ვერც "ჩელსისთან" და ვერც HSV-სთან ვერ დაეხმარება.

მოკლედ, დღეს **ლევან კობიაშვილის** გუნდს, რომელიც დიდი ხნის ტრავმირებულია, აქვს იმის შანსი, რომ გარდატეხა მოახდინოს. თუ არა და "შალკეს" კრიზისი კიდევ უფრო გამძაფრდება. აგერ უკვე რამდენიმე მატჩია, რაც გერმანელი მიმომხილველები "შალკეს" სიცოცხლის ნიშანწყალსაც ველარ ატყობენ, ელემენტარულ ტაქტიკასაც ვერ ხედავენ და აქედან გამომდინარე ამბობენ, სლომკას მხოლოდ ლოცვა თუ უშველისო. პარასკევს მირკო თავის შეგირდებს დაემუქრა, დღეს ბევრმა თქვენგანმა მოისპო იმის შანსი,



მირკო სლომკას სიმწრის სიცილი

ნედვედისა და ფიგუს საბედისწერო შეტაკება

იუვენტუსი-ინტერი. გამოხმაურება

რანიერი უკვე დარწმუნდა...

მანჩინიმ, მოგებას ჩვენ ვიმსახურებდითო...

"იუვენტუსისა" და "ინტერის" საკვირაო მატჩს აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. მაგალითად, მილანური გრანდის ვარსკვლავები **ესტებან კამბიასო** და **ხავიერ ძანეტი** აცხადებენ, რომ "ინტერი" მოგებას იმსახურებდა. ამავე აზრზეა მათი მწვრთნელი **რობერტო მანჩინიც**, რაც ჩვეულებრივი ამბავია. აი, **ალექს დელ პიერო** კი ფიქრობს, რომ ფრე სამართლიანი შედეგი იყო. საინტერესოა **კლაუდიო რანიერის** შეფასება:

"ჩვენ ვეთამაშეთ გუნდს, რომელიც ამ მომენტში ჩვენზე მაღლა დგას. ამაზე არ ვკამათობთ. თუმცა უკვე დავრწმუნდი, რომ მზად ვართ, სკუდეტოსთვის ვიბრძოლოთ. აგერ, დაგვიბრუნდა კამორანეზი და ახლა ჩვენ გუნდში უკვე მეტი ჰარმონიაა. თავიდანვე ვთქვით, რომ "იუვენტუსი" სერია A-ს ახალ სეზონს თავის ხიბლს შემატებდა, და ჯერ-ჯერობით, ასეცაა, ასევე იქნება ჩემპიონატის ბოლომდე. ვფიქრობ, "ინტერთან" მატჩის დროს მთელ იტალიაში ძალიან ბევრი გვქომაგობდა".

მერე რანიერი **ხულიო კრუსის** გოლს შეეხო. სხვათა შორის, ამ მატჩში "იუვეს" ერთ-ერთი იარაღი ხელოვნური თამაშგარე სიტუაციების შექმნა იყო. კრუსის გოლის მომენტში ამ მეთოდმა ვერ იმუშავა: *"თამაშგარის ხაფანგი ეს ერთგვარი ტაქტიკური ხრიკია. ძირითადად, ჩვენ ამას კარგად გავართვით თავი და, რა თქმა უნდა, გოლის ეპიზოდში უკეთ უნდა გვეთამაშა. მაგრამ ეს არ არის ადვილი და ამ მხრივ, ჯერ კიდევ დახვეწა გვჭირდება".*

შემდეგ, რანიერიმ კიდევ ერთხელ ისაუბრა **მაურო კამორანეზის** ფაქტორზე: *"მას აქამდე ორი თვე არ ჰქონდა ნათამაშები. შეიძლებოდა, მისი სასტარტოში დაყენებაც, მაგრამ გადავწყვიტე, გამომეყვანა გვიან, როცა "ინტერი" დაღლილი იქნებოდა. გაიხსენეთ, "კალიარისთან" მეორე ტურის მატჩში მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა და გამარჯვებაც მოგვიტანა. ის ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელია".*

რაც შეეხება **ვინჩენცო იაკუინტას**: *"სამწუხაროდ, როცა ის საუკეთესო ფორმაში შედიოდა, მაშინ დაემართა ბრონქიტი. ახლა ის იბრუნებს ძველ კონდიციებს. თავდასხმაში ჯერ ვერ ვართ ისე ორგანიზებულები, როგორც დაცვასა თუ შუა ხაზში".*

რაფაელე პალადინო რანიერიმ მარჯვენა ნახევარმცველად გარდაქმნა. ამ პოზიციაზე ის საკმაოდ კარგად გამოიყურება. თუმცა "იუვეს" მწვრთნელი აცხადებს, რომ პალადინო, როგორც ფორვარდი, მას ჯერ არ დავინყებია: *"ის მოწოდებით მაინც ფორვარდია. თუმცა დღეს კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ თამაშობს ახალ ამპლუაში, საოცრად სწრაფად შეეჩვია მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქციებს. ის ეშმაკურად ეძებდა ბზარებს "ინტერის" დაცვის მარცხენა ფლანგზე, სადაც კივუ თამაშობდა. თქვენ ალბათ დააკვირდით იმასაც, რომ ბურთის დაკარგვისთანავე, როგორ იხევდა "ინტერის" თითქმის ყველა ფეხბურთელი დაცვაში და ამაგრებდა პოზიციებს. ეს ჩვენი ძალის დამსახურება იყო".*

შემდეგ რანიერიმ ყურადღება გაამახვილა ერთ ტაქტიკურ ლაფსუსზე: *"როგორც კი დელ პიერო ბურთს იღებდა, მაშინვე ორი-სამი მცველის გარემოცვაში ხვდებოდა. ასეთ დროს, ჩვენ სწრაფად უნდა გვემოქმედა, რათა "ინტერის" დაცვაში გაჩენილი ბზარებით გვესარგებლა, ანუ, ამით იმის თქმა მსურს, რომ ვერ ვიყენებდით ცალკეულ ადგილებში შექმნილ რიცხობრივ უპირატესობას".*

როგორც ზემოთ ვთქვით, **რობერტო მანჩინი** გამარჯვებას ელოდა და ახლა თვლის, რომ ამ გამარჯვებას "ინტერი" იმსახურებდა კიდეც: *"ჩვენ არ გვინდოდა ფრე, მაგრამ როცა 1:0-ის შემდეგ ნაღდ საგოლე მომენტს ანიავებ, იძულებული ხდები, მართლაც ფრეზე დაყაბულდე. თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ ქულების გაყოფა სამართლიანი შედეგი არ იყო. თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ სამი ქულა გვეკუთვნოდა. ჩვენ კარგ ფორმაში ვართ. უბრალოდ, მეორე გოლი დაგვაკლდა, ვერ გავიტანეთ და შესაბამისად, დავისაჯეთ კიდეც. შემდეგისთვის ეს გაკვეთილი უნდა იყოს".*

იუვენტუსი კამორანეზიმ გადაარჩინა

ხელოვნურ თამაშგარეებზე მანჩინიმაც გაამახვილა ყურადღება: *"პირველ ტაიმში ძალიან ბევრჯერ დაგვიგეს ოფსაიდის მახე, მაგრამ ცხადი იყო, რომ ეს ყოველთვის არ გამოუვიდოდათ. ამიტომაც მწყდება გული და ვწუხვარ, რომ "იუვენტუსის" მცველთა შეცდომებით მხოლოდ ერთხელ ვისარგებლეთ".*

ბოლოს, მანჩინიმ "ინტერის" ტაქტიკაზეც ისაუბრა: *"ვფიქრობ, რომბისებური ნახევარდაცვა უფრო ეფექტურია. ასეთ დროს, ფიგუს მეტი დრო რჩება შეტევისთვის. მაგრამ საქმე ისაა, რომ შუა ხაზში შეზღუდულები ვართ. ვიეირა და სტანკოვიჩი გვაკლია. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც ბურთის ართმევაც ეხერხებათ და შეტევაში გადასვლაც".*

უშველის ნედვედის ბოდიში ფიგუს ტრავმას?

"იუვე"-"ინტერის" მატჩის ერთ-ერთ შედეგად **ლუიშ ფიგუს** მძიმე ტრავმაც იქცა. პორტუგალიელ ვეტერანს კარგა ხნით მოუწევს დასვენება. ლუიშს წვივი აქვს გაბზარული. ის **პაველ ნედვედის** უხეშობის მსხვერპლი შეიქნა, თან იმ სიტუაციაში, როცა ამის არანაირი საჭიროება არ არსებობდა. ამას ჩივის "ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატიც**: *"ეს იყო ზღვარგადასული უხეშობის შედეგი, უშეხობისა, რომლის თავიდან აცილება ნამდვილად შეიძლებოდა".*

"ინტერის" ექიმები ფიგუს დაბრუნების კონკრეტულ თარიღზე ჯერჯერობით ვერაფერს ამბობენ. დღეს ფეხბურთელს ოპერაციას გაუკეთებენ. ნედვედი კი ბოდიშს იხდის: *"ეს მოხდა სრულიად შემთხვევით. არანაირი წინასწარი განზრახვა არ მქონდა, უბრალოდ, ბურთის ართმევას ვცდილობდი. ძალიან ვწუხვარ და ლუიშს ბოდიშს ვუხდი. ნე მას უკვე ყველაფერი ავუხსენი. იმედი მაქვს, მალე დაუბრუნდება მოედანს".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი. ახალი ამბები

რონალდინიო თენ კეიტს შეხვდა

ლონდონური ტრანსფერი კვლავ დღის წესრიგში დგას, არისტოკრატები ანელკაში 15 მილიონს გადაიხდიანო...

"ჩელსის" მეორე მწვრთნელი **ჰენკ თენ კეიტი რონალდინიოს** ესაუბრა. შეხვედრა ერთი კვირის წინათ შედგა. მხარეებმა ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის ლონდონში ტრანსფერის საკითხი განიხილეს. ამ ინფორმაციას ესპანური გამოცემა დიარიო სპორტი ავრცელებს. თენ კეიტი "ბარსელონის" ყოფილი მწვრთნელია. ის **ფრანკ რიიკაარდის** ასისტენტი იყო, ორი წლის წინათ "აიაქსში" გადავიდა. ერთი თვის წინათ კი ამსტერდამელთა მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დაუფიქრებლად გაცვალა "ჩელსიში" მეორე მწვრთნელის პოსტზე. დიარიო სპორტი გვაუწყებს, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი **რომან აბრამოვიჩის** მითითებით მოქმედებდა. რუს ოლიგარქს რონალდინიოს ხელში ჩაგდება სურს. მომავალი კონტრაქტის დეტალებზე არაფერი თქმულა, თუმცა ბრაზილიელს აღუთქვამენ, რომ ის "ბარსელონაზე" უკეთეს ანაზღაურებას მიიღებს. ესპანელი მიმომხილველების ცნობით, რონის ინგლისში გადასვლა სურს. კატალონიელები ამ ინფორმაციაზე კომენტარის გაკეთებას არ ჩქარობენ.

მეორე ინფორმაცია "არისტოკრატების" ბანაკიდან. ლონდონელები თავდასხმის გაძლიერებას აპირებენ. მათ **ნიკოლა ანელკას** დაადგეს თვალი. "სანის" ცნობით, "ჩელსი" მზადაა, ფრანგი ფორვარდის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადოს. "არისტოკრატების" თავკაც **ავრაამ გრანტს** ანელკას შეძენა "პორტსმუთში" ყოფნის დროს სურდა. გრანტი ამ კლუბის სპორტული დირექტორი იყო და ტრანსფერების განხორციელება ევალებოდა. ანელკასა და "ბოლტონს" შორის არსებობს ჯენტლმენური შეთანხმება. თუ იანვრის ტრანსფერებისას ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე კლუბი მიიწვევს და სოლიდურ კომპენსაციასაც გადაიხდის, "ბოლტონი" ტრანსფერს ხელს არ შეუშლის. ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

რონალდინიოს ლონდონური ტრანსფერი ისევ აქტუალურია

სტივ მაკლარენმა დევიდ ბექჰემი, შეიძლება, კლუბშიც დამოძღვროს

ლოს ანჯელესის გალაქსი

მაკლარენი ბექჰემთან?

გალაქსი მწვრთნელის გარეშე დარჩა. ინგლისელთა თავკაცს ლოს ანჯელესში დანიშვნა უწინასწარმეტყველეს...

ფრენკ იალოპი "ლოს ანჯელეს გალაქსის" მწვრთნელი აღარ არის. ის კლუბს საკუთარი განცხადების საფუძველზე გამოეთხოვა. ამერიკული სააგენტოების ცნობით, იალოპი MLS-ის სხვა კლუბში გადადის. მომავალი სეზონიდან ის სან ხოსეს "ერსქვეიქს" გაუძღვება. იალოპს ახალ პოსტზე ამ კვირის ბოლოს დანიშნავენ. მას საკმაოდ მძიმე სეზონი ჰქონდა. ტრავმებით შესუსტებულმა "გალაქსიმ" ჩემპიონატის პლეიოფშიც კი ვერ გააღწია. ლოსანჯელესელებს **დევიდ ბექჰემის** ხმაურიანმა ტრანსფერმაც ვერ უშველა. ან როგორ უშველიდა, როცა გალაქტიკოც დაშავებული იყო და დროის უმეტეს ნაწილს ლაზარეთში ატარებდა. იალოპი სანხოსელი ფანების ფავორიტია. ის "ერსქვეიქში" ადრეც მუშაობდა და კლუბს ორჯერ, 2001 და 2003 წლებში ამერიკის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. გუშინ უმწვრთნელოდ დარჩენილი "გალაქსი" კანადურ ტურნეში გაემგზავრა. ახალი დამრიგებლის პოვნამდე გუნდს სპორტული დირექტორი პოლ ბრავო გაუძღვება.

იალოპის გადადგომას ინგლისური მედიაც გამოეხმაურა. "დეილი მეილმა" მოვლენათა განვითარების საინტერესო სცენარი შემოგვთავაზა. პოპულარული ტაბლოიდი გვამცნობს, ლოს ანჯელესში **სტივ მაკლარენს** მიიწვევენო. ამ უკანასკნელს ინგლისის ნაკრებიდან დათხოვნა ემუქრება. ინგლისი შეიძლება ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩეს. წარუმატებლობის შემთხვევაში, მას ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. "გალაქსი" სწორედ რომ იდეალური ვარიანტი იქნებოდა. ოკეანის გაღმა გამგზავრების შემთხვევაში, მაკლარენი თავს აარიდებდა განაწყენებულ გულშემატკივრებთან უსიამოვნო შეხვედრებს. მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ინტერვიუ ფაბიო კაპელოსთან

არ იმეგობროთ ფეხბურთელებთან

კაპელოს რჩევები დამწყებ მწვრთნელებს. როგორ ისწავლა ზეედორფმა კარში დარტყმა...

აზარტულობა და პრაგმატიზმი, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა ფაბიო კაპელოს, ის თვისებებია, რამაც მას წარმატება მოუტანა როგორც ფეხბურთელს და, განსაკუთრებით, როგორც მწვრთნელს. მან ჩემპიონი გახადა ყველა ის კლუბი ("მილანი", "რეალი", "რომა", "იუვენტუსი"), სადაც კი იმუშავა, და თან, უმეტესობა არაერთგზისაც. ამას გარდა, 1994 წელს, "მილანთან" ერთად, კაპელომ ჩემპიონთა ლიგაც მოიგო. როგორც იცით, ამჟამად ის ტელეკომენტატორად მუშაობს. ამასწინათ, მას უეფას ოფიციალური ვებგვერდი გაესაუბრა...

- რომელმა მწვრთნელმა იმოქმედა ყველაზე მეტად თქვენზე, როგორც ფეხბურთელზე?

- ჯერ კიდევ ყმაწვილობისას მყავდა ერთი ასეთი მწვრთნელი, ჯოვანი ბატისტა ფაბრი. ფაქტობრივად, მან მომცა გეზი დიდ ფეხბურთში. შემიძლია გამოვყო ელენიო ერერაც. მან მასწავლა, თუ როგორ უნდა დამეძლია მეტოქის შიში, როგორ უნდა მერწმუნა საკუთარი ძალების, როგორი შეუპოვარი უნდა ვყოფილიყავი მოედანზე... სწორედ ამან მომიტანა წარმატებები არა მარტო როგორც ფეხბურთელს, ასევე, როგორც მწვრთნელს...

- როდის მიხვდით, რომ მწვრთნელი უნდა გამხდარიყავით?

- ...როგორც კი ფეხბურთის თამაშს შევეშვი. მახსოვს, ხალხი მარწმუნებდა, რომ საამისოდ ყველა საჭირო თვისება მქონდა. დავუჯერე მათ და ბავშვთა ერთ-ერთ გუნდში დავიწყე მუშაობა. სხვათა შორის, ახალი საქმე თავიდანვე მომეწონა. ერთი სოფლელი კაცი ვარ და ბალახზე ყოფნა ახლაც ძალიან მსიამოვნებს (იცინის). ბავშვებთან სიამოვნებით ვმუშაობდი. არ ვაჭარბებ: როგორც მწვრთნელმა და ადამიანმა მათთან ბევრი რამ ვისწავლე.

- თუ შეგიძლიათ, აღწეროთ, რა დავალებებს აძლევდით ფეხბურთელებს ამა თუ იმ ხარვეზის აღმოსაფხვრელად?

- იმისთვის, რომ ფეხბურთელი გაზარდო, მას ჯერ სუსტი წერტილები უნდა მოუნახო. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, მან გაიგოს, რომ ამას მისთვის აკეთებ... ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო. როცა პირველად მივედი"რეალში", ეს იყო ათი წლის წინათ, მაშინ კლარენს ზეედორფი იქ თამაშობდა. ორთვიანი მუშაობის შემდეგ, მას ვკითხე - როგორ ფიქრობ, კარში დარტყმა თუ შეგიძლია-მეთქი? დიახ, და ძალიანაც კარგადო - მიპასუხა. მაშინ მე მას დავუმტკიცე, რომ პრიმიტიულად ურტყამდა. საერთოდ, ფეხბურთელები კარში სხვადასხვაგვარად ურტყამენ, იქნება ეს ტერფის გარე თუ შიდა ნაწილით... კლარენსს პატარა გაკვეთილი ჩავუტარე. ის მტკიცე ხასიათის, დიდი საბრძოლო სულისკვეთების ფეხბურთელია, ამიტომაც არ დაიზარა და ჩემი დავალებები გულმოდგინედ შეასრულა. ახლა ვხედავ, რომ თუკი ამ კომპონენტში ის ერთ-ერთი საუკეთესოა, ეს ჩემი დამსახურებაცაა.

- თავად რომ არ გეთამაშათ ფეხბურთი, ალბათ, შეგირდებს ასეთ დეტალებს ვერ აუხსნიდით...

- დიახ და ამიტომაცაა განსხვავება იმ მწვრთნელებს შორის, რომლებიც თამაშობდნენ ფეხბურთს და რომლებიც ერთხელაც არ გასულან მოედანზე. ეს უკანასკნელნი უფრო მეტად ტაქტიკაში ამეცადინებენ ფეხბურთელებს, რადგან ადვილი არ არის, ვარსკვლავებს შენიშვნები მისცე, ასე დაარტყას თუ ისე...

- სამი რჩევა, რომელსაც დამწყებ მწვრთნელებს მისცემდით...

- ახალგაზრდა მწვრთნელი სერიოზული და მოკრძალებული უნდა იყოს, უნდა ჰქონდეს ძლიერი ხასიათი და პატივისცემით სარგებლობდეს მოთამაშეებს შორის. ის ყოველთვის უნდა საუბრობდეს მათთან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მეგობრობდეს. დამიჯერეთ, ეს გუნდზე ცუდად იმოქმედებს. თუ მწვრთნელი ამა თუ იმ ფეხბურთელთან მეგობრობს, დანარჩენებს უჩნდებათ იმის განცდა, რომ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ მწვრთნელის ფავორიტები და მეგობრები ხვდებიან. ეძებეთ სხვადასხვა სათამაშო სისტემები, ფეხბურთს მრავალფეროვნება უხდება. სხვა შემთხვევაში, შეცდომებს ვერ ასცდებით. ბევრი ფიქრობს, რომ მხოლოდ ერთი სათამაშო მოდელი არსებობს, მე კი მგონია, რომ ის გაცილებით ბევრია. ძიება და ფიქრია საჭირო.

- თქვენი აზრით, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშება წინისგან რით განსხვავდება?

- მე მგონი, ის კიდევ უფრო საინტერესო იქნება, იმისდა მიუხედავად, რომ წლევანდელ გათამაშებაში არ მონაწილეობს "ბაიერნი". დარწმუნებული ვარ, ეს გუნდი ლიგაში ძალიან კარგად ითამაშებდა. ძლიერები არიან "არსენალი", "ლივერპული" და "ჩელსიც", ისევე, როგორც იტალიური გუნდები, და დავუმატოთ ამათ "ბარსელონაც". ვფიქრობ, გამარჯვებული ერთ-ერთი მათგანი იქნება. თუმცა სხვა ესპანურ კლუბებსაც შეუძლიათ თავის გამოჩენა და თასისთვის ბრძოლა.

- ჩემპიონთა ლიგა, ეს არის მარათონი და არა რბოლა მოკლე დისტანციაზე. როგორ იცვლება მატჩებისადმი მიდგომა ცალკე ჯგუფურ ეტაპზე და ცალკე პლეიოფებში?

- ჯგუფური ეტაპი უფრო სამართლიანია. იქ შეცდომათა გამოსწორების შესაძლებლობა გაცილებით მეტია. პლეიოფის დროს ჩვენ ვუბრუნდებით ძველ მოდელს, როცა გამარჯვებულის ბედს მხოლოდ ორი მატჩი წყვეტს და, შესაბამისად, ამ მატჩებისთვის მომზადებაც სპეციფიური მეთოდებით ხდება. აქ წნეხი გაცილებით დიდია და შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს... ჰო, მართლა, არ დაგვავიწყდეს იღბალიც...

ფაბიო კაპელო

პრემიერლიგა. სამწვრთნელო გადაადგილებები

ვიგანი უმწვრთნელოდ

მეოხე დამრიგებელი უსამსახურო დარჩა, რიგში მიდლსბროელი საუთგეიტი დგასო...

"ვიგანმა" მთავარი მწვრთნელი **კრის ჰათჩინგსი** დაითხოვა. 12 ტურში მოპოვებული რვა ქულით ვიგანელებს ბოლოდან მესამე ადგილი უკავიათ. მიმომხილველები მათ გავარდნის კანდიდატებად განიხილავენ. ბასულ უქმეებზე გუნდმა "ჩელსისთან" 0:2 წააგო. ეს ზედიზედ მეექვსე მარცხი გახლდათ. დირექტორებს მოთმინების ფიალა აევსოთ. ჰათჩინგსის მოვალეობა დროებით მეორე მწვრთნელ **ფრენკ ბარლოუს** გადააბარეს. ბარლოუს დებიუტი მომავალ კვირას "ტოტენჰემთან" მატჩში შედგება. ჰათჩინგსი პრემიერლიგის მეოთხე მწვრთნელია, რომელიც უსამსახუროდ დარჩა. უფრო ადრე თანამდებობებიდან დაითხოვეს ჩელსელი **ჟოზე მოურინიო**, ტოტენჰემელი **მარტინ იოლი** და ბოლტონელი **სემი ლი**.

მიმომხილველთა ვარაუდით, მწვრთნელების შეცვლის პროცესი ამით არ დასრულდება. მათი აზრით, რიგში დგას "მიდლსბროს" თავკაცი **გარეთ საუთგეიტი**. მისმა შეგირდებმა ბოლო 12 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. სტადიონზე მაყურებლის რაოდენობა დღითიდღე მცირდება. "ტოტენჰემთან" ბოლო ტურის მატჩს (1:1) მხოლოდ 25 ათასი ადამიანი დაესწრო. ათი ათასი ბილეთი გაუყიდავი დარჩა. შემცირებული მაყურებელი შემცირებულ შემოსავალს ნიშნავს. თუ რივერსაიდელები მდგომარეობას უმოკლეს დროში არ გამოასწორებენ, საუთგეიტი ზემოთ ჩამოთვლილი კოლეგების ბედს გაიზიარებს. ამასობაში, უკვე გაიუღერა მისი სავარაუდო შემცვლელის გვარმა. ესაა "ვიგანის" ყოფილი ბოსი **პოლ ჯუელი**, რომელმაც გასული სეზონის შემდეგ არ მუშაობს. ჯუელს "ბოლტონში" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ უარი თქვა. მას უფრო ამბიციური კლუბის გაძღოლა სურს.

გაზაევი არმიაში რჩება?

ვალერი გაზაევი გაისადაც ცსკაში იმუშავებს. ამ ინფორმაციას რუსული სააგენტოები ავრცელებენ. ეს ის სააგენტოებია, რომლებიც ერთი კვირის წინათ დიდი ამბით გვაუწყებდნენ, ვალერი გეორგევიჩმა მოსკოვის "ლოკომოტივთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა და ახალი სეზონიდან რკინიგზაში იმუშავებსო. რუსი კოლეგები იუწყებიან, რომ ცსკ-ამ ვერცერთ სასურველ მწვრთნელთან შეთანხმება ვერ მოახერხა, მათ შორის, ვერც **კარლოს დუნგასთან**, რომელიც ბრაზილიის ნაკრების ერთგული დარჩა.

კერჟაკოვს ინგლისსა და რუსეთში უხმეს

"სევილიის" თავდამსხმელ **ალექსანდრ კერჟაკოვს** ინგლისში ეპატიჟებიან. "ტოტენჰემის" თავკაცმა **ხუანდე რამოსმა** მას სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. კერჟაკოვის ესპანეთში ტრანსფერიც რამოსის დამსახურებაა. ახლი კი ლონდონში გადასულმა მწვრთნელმა გადაწყვიტა, თავისი ფავორიტი თან იახლოს. კერჟაკოვის აგენტმა **შანდორ ვარგამ** ასეთი კომენტარი გააკეთა, "სევილიაში" სრული ქაოსი სუფევს, არა მგონია, ტრანსფერის გაჩარხვა პრობლემა იყოს. ანდალუსიური კლუბის ხელმძღვანელობა სპეკულაციებს ჯერ არ გამოხმაურებია. კერჟაკოვს, სხვათა შორის, რუსეთში დაბრუნებასაც სთავაზობენ. "ზენიტი" და "დინამო" მას სევილიურზე უკეთეს ანაზღაურებას ჰპირდებიან. რუსი თავდამსხმელი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს.

ველოსა: 12 მილიონი თუ 30?

"მანჩესტერ იუნაიტედი" ადასტურებს, რომ პორტუგალიელი საყრდენი ნახევარმცველის **მიგელ ველოსას** შეძენა სურს. ეს ბიჭი ლისაბონის "სპორტინგის" საკუთრებაა. "ეშმაკები" 12 მილიონ ევროს ამზადებენ. მაგრამ თუ მიზნის მიღწევა სურთ, მეტი ხელგაშლილობა მართებთ. "სპორტინგი" გარიგებაზე თანახმაა. ლისაბონელები თავიანთ ამომავალ ვარსკვლავს 30 მილიონ ევროდ აფასებენ, თანაც ფეხბურთელს მომავალ ზაფხულამდე არ გაყიდიან. ველოსას მადრიდის რეალმაც დაადგა თვალი. მიგელს "იუნაიტედში" გადასვლა სურს. იქ მისი ყოფილი თანაგუნდელები - **კრისტიანო რონალდო** და **ნანი** თამაშობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოულსენი: სიტი თუ რამოსი?

"მანჩესტერ სიტი" "სევილიის" საყრდენი ნახევარმცველით, **კრისტიან პოულსენით** დაინტერესდა. **სვენ გორან ერიქსონი** 27 წლის დანიელს ზაფხულშიც ეპატიჟებოდა. "სიტიმ" ანდალუსიურ კლუბს 10 მილიონი ევრო შესთავაზა. პოულსენს ინგლისში სხვა მსურველიც გამოუჩნდა - "ტოტენჰემი". მოგეხსენებათ, ლონდონელთა დამრიგებელი ის **ხუანდე რამოსია**, რომელმაც პოულსენი "სევილიაში" მიიყვანა. კრისტიანის სანაკრებო აქტივში 50 მატჩია. ესპანელები მას 7 მილიონ გირვანქად აფასებენ.

კიდევ ერთი ცნობა "სიტის" ბანაკიდან. **მიკა რიჩარდსმა** გადაწყვიტა, აღარ გააგრძელოს კონტრაქტი აგენტ **ჯერომ ანდერსონთან**, რომელიც მის საქმეებს უძღვება. ის არც მანჩესტერელებთან გააგრძელებს ხელშეკრულებას, თუკი შუამავალი ანდერსონი იქნება. "სიტი" მზადაა, ფეხბურთელს კვირაში 50 ათას გირვანქა გადაუხადოს. ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებებს ანდერსონი უძღვებოდა. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, რიჩარდსების ოჯახს მისთვის საკომისიოს გადახდა მოუწევს. თანხამ, შეიძლება, მილიონ გირვანქას მიაღწიოს. მაგრამ თუ მიკა მასთან თანამშრომლობას განაგრძეტს და საკუთარ საქმეებს მამას მიანდობს, ფულიც მამის ანგარიშზე ჩაირიცხება.

ვან ნისტელროი კონტრაქტის მოლოდინში

"რეალი" **რუუდ ვან ნისტელროის** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. დღევანდელი ხელშეკრულება ივნისში იწურება. ! ივლისს ჰოლანდიელ თავდამსხმელს შეუძლია, ნებისმიერ დაინტერესებულ კლუბს უკომპენსაციოდ მიაშუროს, მაგრამ ის სამსახურის შეცვლას არ აპირებს. თუკი მასთან თანამშრომლობა კლუბსაც უნდა, მხარეები უპრობლემოდ შეთანხმდებიან. საკითხავია, რა ხანგრძლივობის ხელშეკრულებას მოეწერება ხელი. "რეალს" თანამშრომლობის გაგრძელება ერთი წლით სურს. რუუდს კი კონტრაქტის 2010 წლამდე გაფორმების იმედი აქვს. ვან ნისტელროი კარიერის დასრულებას "რეალში" აპირებს. თუ მხარეები საერთო ენას ვერ გამონახავენ, თავდამსხმელს სხვა კლუბთან წინასწარი კონტრაქტის გაფორმება 1 იანვარსვე შეუძლია.

ამაური ეტოოს ადგილზე

"ბარსელონა" პალერმოელი თავდამსხმელით **ამაურით** დაინტერესდა. კატალონიელებს ბრაზილიელი ლეგიონერის შეძენა იანვრის ბაზარზე სურთ. ამაურის სამუელ ეტოოს შემცვლელად განიხილავენ. ეს უკანასკნელი აფრიკის თასზე მიემგზავრება. კამერუნის ნაკრების წარმატების შემთხვევაში, ეტოო "ბარსას" ერთი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება. ამაურიზე "ლივერპული", "მანჩესტერ სიტი" და "მილანი" აცხადებენ პრეტენზიას. გასულ უქმეებზე კატალონიელი სკაუტები "ჯენოასა" და "პალერმოს" მატჩს (3:3) დაესწრნენ. თამაშის მიწურულს ამაურიმ მასპინძლებს ერთი ქულა გამოგლიჯა. უფრო ადრე კი ყვითელი ბარათი მიიღო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ "ბარსა" უახლოეს დღეებში გაუგრძელებს კონტრაქტებს **ვიქტორ ვალდესსა** და **ანდრეს ინიესტას** იმის მიუხედავად, რომ მათი ხელშეკრულებები 2010 წლის ივნისამდეა ძალაში.

კოული დენ ჰაიმს გასამრჯელოს პირდება

ჯო კოული თანაგუნდელ **ტალ ბენ ჰაიმს** დაუვიწყარ საზაფხულო არდადეგებს ჰპირდება. ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ებრაელი ლეგიონერის ყველაზე საოცნებო შეებულებას დააფინანსებს, თუ 17 ოქტომბერს რუსეთი ისრაელთან დამარცხდება. ამ თამაშს, რუსების გარდა, ინგლისელებისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იმის მიუხედავად, თუ როგორ დასრულდება ინგლისი-ხორვატიის ბოლო ტურის მატჩი, ბრიტანელების ბედი რუსეთის ნაკრებზე ჰკიდია. თუ **გუუს ჰიდინკის** შეგირდები დარჩენილ ორ შეხვედრაში ექვს ქულას აიღებენ, ევროპის ჩემპიონატზე ისინი გაემგზავრებიან. ასე რომ, ბენ ჰაიმს შეუძლია აირჩიოს.



ფრანჩესკო გვიდოლინი

სერია A. სამწვრთნელო ამბები

ლაციო: გვიდოლინი როსის ნაცვლად?

დი კარლო პარმაში რჩება

"ლაციოს" პრობლემები აქვს. ბოლო ტურში რომაელებმა შინ "ფიორენტინასთან" მინიმალურად წააგეს. გუნდი, რომელმაც გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, 11 ტურის შემდეგ მე-15 საფეხურზეა. მას გასაავარდნი ზონისგან მხოლოდ ერთი ქულა აშორებს. იტალიელი მიმომხილველები იუწყებიან, რომ მთავარი მწვრთნელის **დელიო როსის** პოზიციები დღითიდღე სუსტდება. და აი, მისი სავარაუდო შემცვლელის გვარმაც გაიჟღერა: **ფრანჩესკო გვიდოლინი**. ეს უკანასკნელი "ქუინზ პარკ რეინჯერსში" აპირებდა წასვლას, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა და ისევ უმუშევარია. პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** რადიკალური ზომების მიღებას არ ჩქარობს. გასულ კვირაში, რომაული დერბის წაგების შემდეგ "ლაციოს" დირექტორებმა საგანგებო სხდომა გამართეს. სხდომის დეტალები არ გახმაურებულა.

გადავინაცვლოთ პარმაში. იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ემილიელებმა "სიენასთან" ვერაფერი გაანყვეს, 2:2. გუნდმა 11 ტურში მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა და 11 ქულა დააგროვა. პარმელთა პრეზიდენტი **ტომაზო გირარდი** მთავარ მწვრთნელ **მიმო დი კარლოს** მხარდაჭერას უცხადებს. ის ირწმუნება, რომ დამრიგებელს გათავისუფლება არ ემუქრება: *"დი კარლოს, შეუძლია, მშვიდად გააგრძელოს მუშაობა. მართალია, სასურველ შედეგებს ვერ ვაღწევთ, მაგრამ მომავლის იმედი არ დაგვიკარგავს. გუნდი ცოცხალია და ის კიდევ დაამტკიცებს, რა შეუძლია. აქვე მინდა აღვნიშნოთ, რომ უილბლობაზე საუბარი გაუმართლებლად მიმაჩნია. სამწუხარო იყო, რომ დღეს ორი ქულა დავკარგეთ."*

მოსალოდნელი ტრანსფერი

ბიანკის იტალიაში ეძახიან

როლანდო ბიანკის იტალიაში დაბრუნებაზე საუბრები არ წყდება. "რეჯინის" ახალგაზრდა ექსფორვარდი, რომელმაც გასულ სეზონში 18 გოლი გაიტანა, უცხოური კლუბების ინტერესთა სფეროში მოხვდა. **სვენ გორან ერიქსონამ** მას "მანჩესტერ სიტიში" უხმო, თუმცა 24 წლის ფეხბურთელის ინგლისური კარიერა ვერა და ვერ აეწყო. ერთ-ერთ ინტერვიუში ერიქსონმა განაცხადა - ბიანკის სისწრაფე აკლიაო. უცნაურია, რომ გამოცდილმა მწვრთნელმა ეს ადრევე ვერ შენიშნა. სხვათა შორის, მან სადებიუტო შეხვედრაშივე გოლით გამოიჩინა თავი, თუმცა...

ბიანკი არ მალავს, რომ იანვრიდან იტალიაში დაბრუნებას გეგმავს. მისი აგენტი ამ საკითხზე უკვე მუშაობს და "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობასთან ინტენსიურ მოლაპარაკებებსაც მართავს. პრემიერლიგურმა კლუბმა მასში 8.8 მილიონი გირვანქა გადაიხადა. "გარდიანის" ინფორმაციით, ბიანკით "მილანი" და "პალერმო" არიან დაინტერესებულნი. **კარლო ანჩელოტის** თავდასხმაში მართლაც უჭირს, მაგრამ დღე-დღეზე **რონალდო** დაბრუნდება, იანვრიდან კი გუნდს ბრაზილიელი ვუნდერკინდი **ალეშანდრე პატოც** დაეხმარება. ასე რომ, "მილანის" ვარიანტი ნაკლებად სავარაუდოა. "პალერმოს" რაც შეეხება, ეს უფრო რეალურია, რადგან იანვრიდან, ან მაქსიმუმ ზაფხულში, ბრაზილიელი ფორვარდი **კარვალიო ამაური** რომელიმე დიდ კლუბში გადავა.

როლანდო ბიანკი



ნილს ლიდჰოლმი

ლეგენდა

მშვიდობით, ბარონ!

ნილს ლიდჰოლმი აღარ არის

85 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული ფეხბურთელი და მწვრთნელი **ნილს ლიდჰოლმი**, გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი შვედი საფეხბურთო მოღვაწე, ნაწილი იმ სახელგანთქმული ტრიოსი (გრე-ნო-ლი), რომელშიც მასთან ერთად **გუნარ ნორდალი** და **გუნარ გრენი** შედიოდნენ. ლიდჰოლმს, რომელმაც სახელი იტალიაში გაითქვა (და იქვე გარდაიცვალა), ამ ქვეყანაში "ბარონი" შეარქვეს. ფეხბურთელობის ჟამს ამპლუით ნახევარმცველი იყო. შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში გახდა 1948 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროსმედალოსანი, ხოლო 1958 წელს მუნდიალის ვიცე-ჩემპიონი.

1946-დან 1958 წლამდე თამაშობდა "მილანში" (359 მატჩი, 81 გოლი). საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, იმავე "მილანის" მეორე მწვრთნელი გახდა. ორწლიან ასისტენტობას, 1963 წელს უკვე მთავარი მწვრთნელის პოსტი მოჰყვა. შემდეგ იმუშავა "ვერონაში", "მონცაში", "ვარეზეში", "ფიორენტინაში"... სხვადასხვა დროს ოთხჯერ თავკაცობდა "რომას", 1977 წელს კი დაბრუნდა "მილანში", რომელსაც ორ წელიწადში სკუდეტო მოაგებინა. მერე იყო კვლავ "რომა", რომელიც 1984 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა (მარცხი "ლივერპულთან", პენალტების სერიაში), პლუს ამას, სამჯერ მოაპოვებინა იტალიის თასი.

1984 წლის ივნისიდან "ბარონი" კვლავ "მილანის" მწვრთნელი ხდება. ამ პერიოდში მან იტალიური ფეხბურთისთვის უცხო, ზონური დაცვის მოდელი დანერგა. ლიდჰოლმის ბოლო კლუბი იყო "რომა", საიდანაც 1997 წელს წავიდა და მუშაობასაც შეეშვა. სიცოცხლის ბოლო დღემდე ალესანდრიის პროვინციის დაბა კუკარო მონფერატოში ცხოვრობდა...

ლივერპული

მზადება საიანვროდ

"ლივერპულმა" ბეტისელი ნახევარმცველი **ხუანდე** ამოიღო მიზანში. 21 წლის ფეხბურთელს ანდალუსიელებთან კონტრაქტი 2010 წელს ეწურება. მერსისაიდელები 12 მილიონ ევროს ამზადებენ. **რაფა ბენიტესს** იმედი აქვს, რომ ხუანდეს იანვრის ტრანსფერებისას გაუფორმებს ხელშეკრულებას. ლივერპულელებს კრიზისი აქვთ. ისინი ვერც ჩემპიონთა ლიგაში და ვერც პრემიერლიგაში სასურველ შედეგებს ვერ აღწევენ. ლიგაში ჩატარებული სამი ტურის შემდეგ, "ეშმაკებს" მხოლოდ ერთი ქულა აქვთ. შარშანდელი ფინალისტები შეიძლება პლეიოფის მიღმა დარჩნენ. ამ შემთხვევაშიც კი ბენიტესი შემადგენლობის გასაძლიერებლად დაახლოებით 40 მილიონ ევროს მიიღებს. ხუანდეს ტრანსფერის დაფინანსება ამ თანხიდან იგეგმება.

ინგლისელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ იანვარში "ლივერპულს" სამი ფეხბურთელი დატოვებს. წასვლის კანდიდატები არიან **ჯონ არნე რიისე, მომო სისოკო** და **პიტერ კრაუჩი**. ბენიტესმა "გრემიოს" ყოფილ ნახევარმცველ **კარლოს ედუარდოს** დაადგა თვალი. გასულ ზაფხულს ამ ბიჭმა მოულოდნელად გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე "ჰოფენჰაიმს" მიაშურა. 20 წლის კარლოსი ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. "ლივერპულის" გარდა, მას "მილანი" და "ბარსელონა" აკვირდებიან.

კრაუჩს გაყიდვით ემუქრებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

როცა მსაჯი კატალონიელია...

შუსტერმა ბოდიში უნდა მოიხადოს, ფედერაციამ კი სადამსჯელო ღონისძიებები გაატაროს...

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ბერნდ შუსტერისაგან ბოდიშს ელოდება

გასულ შაბათს მადრიდის "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმა** "სანჩეს პისხუანზე" "სევილასთან" განცდილი მარცხი მთავარი არბიტრის არაობიექტურობას დააბრალა. ეს ჩვეულებრივი ბრალდება რომ ყოფილიყო, საზოგადოებაში არანაირ დაძაბულობას არ გამოიწვევდა. საქმე ის არის, რომ შუსტერმა ეთნიკური ნიშნით გამოხატულ მიკერძოებულობაზე ისაუბრა. მისი აზრით, **ალვარეს ისკიერდომ დიარას** წაქცევისთვის პენალტი მიზანიმართულად არ დანიშნა, **სერხიო რამოსიც** მიზანმიმართულად გააძევა და ამ მიზანმიმართულობის მიზეზი ის არის, რომ სენიორ ისკიერდო კატალონიელია. სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად შუსტერის სკანდალური განცხადების ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: *"ჩვენ მსაჯის არაობიექტურობის გამო წავაგეთ. ეს დღესავით ნათელია. თამაში ყველამ იხილეთ და დაინახეთ, რომ არბიტრმა არაობიექტური გადაწყვეტილებებით ჩიხში მოგვაქცია. ალვარეს ისკიერდო კატალონიელია. ამით აბსოლუტურად ყველაფერია ნათქვამი და არაფრის დამატებას არ საჭიროებს."*

მოკლედ, ბერნდ შუსტერმა ხმამაღლა განაცხადა, რომ კატალონიელმა მსაჯმა კატალონიელთათვის საძულველი მადრიდის "რეალი" მიზანმიმართულად დაჩაგრა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დედაქალაქელები შინ ნული ქულით დაბრუნებულიყვნენ. გერმანელ სპეციალისტს უმცირესი თვითკრიტიკულობაც კი არ გამოუმჟღავნებია. სამეფო კლუბის დამრიგებლის ბრალდებამ კატალონიაში უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვია. ფართო საზოგადოების წინაშე თავდაპირველად "ბარსას" გენერალური დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** წარდგა, შემდეგ კი ასპარეზზე კატალონიელ არბიტრთა ჯგუფი გამოვიდა. რა თქმა უნდა, ლოგიკური იქნება, თუ თქვენს სამსჯავროზე ჯერ ბეგირისტაინის განცხადებას გამოვიტანთ: *"დაგვჩაგრეს იმიტომ, რომ მსაჯი კატალონიელი იყო - რას ნიშნავს ეს სიტყვები? ხომ არ გეჩვენებათ, რომ განცხადება ქსენოფობიის აშკარა ელემენტებს შეიცავს? როგორც "ბარსელონის" გენერალური დირექტორი ოფიციალურად მოვითხოვ, რომ პროფესიონალმა ადამიანებმა შუსტერის პრესკონფერენციაზე რეაგირება მოახდინონ, კვლევა დაიწყონ და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღონ. არ ვიცი, ვინ მოკიდებს ამ საქმეს ხელს. ფეხბურთის სამეფო ფედერაცია, თუ პროფესიული ლიგა, მაგრამ მთავარია, ძიება დაიწყოს და ღირსებაშელახული პატიოსანი მსაჯების რეაბილიტაცია მოხდეს. ჩემი აზრით, "რეალის" პრეზიდენტმა სულ მცირე ბოდიში უნდა მოიხადოს. დანარჩენზე კი კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა იმსჯელონ."*

როგორც მოგახსენეთ, ჰერ ბერნდის გამოხდომამ არა მარტო ბეგირისტაინი, არამედ კატალონიელ არბიტრთა მთელი კორპუსი განარისხა. გუშინ მათ ერთობლივად შემუშავებული ტექსტი გამოაქვეყნეს. აი, რას ვკითხულობთ ხსენებულ წერილში: *"ჩვენ კატალონიელი მსაჯები უკიდურესი შეშფოთებითა და განრისხებით ვაცხადებთ, რომ მადრიდის "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა გაუგონარი შეურაცხყოფა მოგვაყენა. შეცდომისგან არც ერთი ადამიანი არ არის დაზღვეული. ყოველთვის მზად ვართ, ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე პასუხი ვაგოთ, მაგრამ არასოდეს შევეგუებით, ეთნიკური ნიშნით განპირობებულ მიზანმიმართულ მავნებლობაში დაგვადანაშაულონ. განა თავად შუსტერს არ დაუშვია შეცდომა? და ამას იმიტომ ჩადიოდა, რომ გერმანელია? ვფიქრობთ, აღნიშნული ინციდენტი სერიოზულად უნდა იქნას შესწავლილი. სადისციპლინო კომიტეტმა უკომპრომისო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ჩვენი უფლებების დაცვისა და შელახული რეპუტაციის აღდგენისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. კარგი იქნება, თუ საკითხის განხილვაში ძალადობის საწინააღმდეგო კომიტეტიც ჩაერთვება. რატომ ისინი? იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შუსტერმა ქსენოფობიური განცხადება გააკეთა. ასეთ გამოხდომას კი ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება ძალადობა მოჰყვეს. მოკლედ, სამეფო კლუბის დამრიგებელმა პირველ რიგში ბოდიში უნდა მოიხადოს, ხოლო შემდეგ ძალიან მკარი სასჯელით დაისაჯოს."*

აღსანიშნავია, რომ აგორებულ სკანდალს "რეალის" ბანაკიდან არავინ გამოხმაურებია. თუმცა მოარული ხმების თანახმად **რამონ კალდერონი** მთავარ მწვრთნელს შეხვდა და თამამი განცხადების გამო უსაყვედურა. ამბობენ, პრეზიდენტი კატალონიური საფეხბურთო (და არა მარტო) საზოგადოების განრისხებამ ძალიან შეაშფოთაო. კალდერონს არ უნდა, რომ მისმა გუნდმა რაიმე სახით სკანდალში გაყოს თავი. გამორიცხული არ არის, ჰერ ბერნდს ბოდიშის მოხდა უშუალოდ მისი გუნდის მაღალჩინოსნებმა მოსთხოვონ. მიმმხილველები დარწმუნებულები არიან, რომ ამგვარი გადაწყვეტილება შუსტერის რეაბილიტაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ილია ნიკოლაიშვილი

რონალდ კუმანმა ესპანური კარიერა გამარჯვებით დაიწყო

ვალენსია

კუმანი საქმეს შეუდგა

მთავარი მწვრთნელის ასისტენტად ბაკერო დაინიშნა

გასულ შაბათს, "ვალენსიამ" "რეალთან" გაცამტვერებით გამოწვეული შოკიდან გამოსვლა და გასვლით შეხვედრაში "მალიორკის" დამარცხება შეძლო. **რონალდ კუმანს** ანდო. ყველას ეგონა, რომ კუმანი შაბათს გუნდს გაუძღვებოდა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ ყველა საჭირო დოკუმენტის შედგენა ვერ მოასწრო და ბალეარებზე "ღამურებს" **ოსკარ ფერნანდესმა** უხელმძღვანელა. მომდევნო დღეს კი პრეზიდენტმა ბაუტისტა სოლერმა რონალდ კუმანი საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგინა. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა არსებულ რთულ სიტუაციასა და დიდ პერსპექტივებზე ისაუბრა: *"მოგესალმებით. მე რონალდ კუმანი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "ვალენსიაში" კონტრაქტით გათვალისწინებულ დღემდე დავრჩე, ანუ არ მინდა, რომ ნაადრევად გამაგდონ. პირველ ყოვლისა, ხელმძღვანელობას თქვენს გასაგონად მადლობა მინდა გადავუხადო. დიდი ნდობა გამომიცხადეს და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ნდობა გავამართლო. მიხარია, რომ ბიჭებმა "მალიორკას" მოუგეს, თუმცა მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ გუნდში არცთუ იოლი სიტუაციაა. ვფიქრობ, ძალიან ბევრი სამუშაო გვექნება. რა გაეწყობა, ეს ჩვენი ბედისწერაა. დარწმუნებული გახლავართ, "ვალენსიას" უდიდესი პერსპექტივა აქვს. წელსვე შეგვიძლია, რომელიმე პრესტიჟულ ტიტულს დავეუფლოთ. მთავარია, მუშაობისთვის მშვიდი ატმოსფერო შეგვექმნას."*

პრესკონფერენციის შემდეგ ბაუტისტა სოლერმა კუმანი ბაზაზე ნაიყვანა და პირდაპირ ვარჯიშით გათანგული ფეხბურთელების გასახდელში შეიყვანა. პრეზიდენტმა ბიჭებს ახალი დამრიგებელი სწორედ ასეთი უჩვეულო ხერხით გააცნო. გუშინ კუმანმა პირველი გადაწყვეტილებაც მიიღო. მისი მოთხოვნით, მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობაზე ლეგენდარული **ხოსე მარია ბაკერო** დაინიშნა. გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, რომ ბაკერო და კუმანი დაუვიწყარი "დრიმ თიმის" ლიდერები იყვნენ. ასე რომ, მათ დღემდე დიდი მეგობრობა აკავშირებთ. "ბარსელონის" ყოფილი კაპიტანი ჰოლანდიელის შეთავაზებას უყოყმანოდ დათანხმდა. არადა, მას "ხერესის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობის დაწყების რეალური შანსი ჰქონდა. ბაკერომ გადაწყვეტილება ასე ახსნა: *"რა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელის სტატუსი სულ სხვაა, მაგრამ არ შემეძლო, რონალდს არ დავხმარებოდი. დიახ, მან დახმარება მთხოვა და "ვალენსიაში" დაუფიქრებლად წამოვედი. შევეცდები, ჩემს ახალ გუნდსა და დიდი ხნის მეგობარ კუმანს, მაქსიმალურად დავეხმარო. წლებმა სერიოზული გამოცდილება შემძინა. ახლა მისი რეალიზების დროა. მჯერა, ერთობლივი ძალისხმევით "ვალენსიას" ძველ დიდებას დავუბრუნებთ."*

გუშინ კუმანმა და ბაკერომ ვალენსიელი ბიჭების გარემოცვაში პირველი სამუშაო დღე გაატარეს. მიმომხილველების ცნობით, ჰოლანდიელმა და ბასკმა ძალიან ნაყოფიერი ვარჯიში ჩაატარეს. მათ მუშაობის ახლებური მეთოდები თვალთახედვის არეალიდან არ გამოპარვიათ. ყველას სჯერა, რომ რონალდ კუმანი "ვალენსიას" მართლაც დაუბრუნებს იმ დიდებას, რომელსაც გუნდი **რაფა ბენიტესის** ხანაში ფლობდა. მაშინ მისი მართლაც ყველას ეშინოდა...

ამასობაში, "ღამურებს" სერიოზული პრობლემა შეექმნათ. "მალიორკასთან" მოგებულ შეხვედრაში **ალექსისმა** იმდენად მძიმე ტრავმა მიიღო, რომ მინიმუმ ოთხი თვის განმავლობაში თამაშს ვერ შეძლებს. ბალეარელ **გუისასთან** შეჯახებისას მას მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა.

ბარსელონა

რიიკაარდის მეასე გამარჯვება

გასულ კვირას "ბარსელონამ" "ბეტისზე" შური იძია. კატალონიელებმა ანდალუსიელებს დიდი ანგარიშით, 3:0 მოუგეს. ალბათ ხვდებით, შურისძიება რაში მდგომარეობს. გასული სეზონის მიწურულს, სევილიელებმა "ბარსას" "კამპ ნოუზე" საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე გოლი გაუტანეს და ორი ქულა დააკარგვინეს. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ **ფრანკ რიიკაარდის** ბიჭებს ჩემპიონობისთვის სწორედ ეს ორი ქულა დააკლდათ. ბუნებრივია, წელს ამ გუნდების შეხვედრას ასეთივე ფასი არ ჰქონდა, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ის ჩვეულებრივი, რიგითი კალენდარული დაპირისპირება იყო. საქმე ის არის, რომ კვირას, "ბეტისის" დამარცხებით კატალონიური გიგანტის მთავარმა მწვრთნელმა, "ბარსელონაში" მოღვაწეობის განმავლობაში მეასე გამარჯვება მოიპოვა.

ჰოლანდიელმა სპეციალისტმა "კამპ ნოუზე" მუშაობა 2003/04 წლების სეზონში დაიწყო. მას შემდეგ ის "ბარსას" 164 პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებაში გაუძღვა. 2005 წლის 4 ნოემბერს კატალონიელებმა "ვილიარეალს" 2:0 მოუგეს, თუმცა მაშინ რიიკაარდი ავად იყო, საკუთარ სავარძელში მოკალათება ვერ მოახერხა და ამიტომ აღნიშნული თამაში ზემოთ ხსენებულ 164 დაპირისპირებაში არ შესულა. მოკლედ, რიიკაარდმა "კამპ ნოუზე" ჩატარებული 82 შეხვედრიდან 59 მოიგო, ხოლო სტუმრად ნაჩვენები შედეგი 81 მატჩში 41 გამარჯვებაა. აღსანიშნავია, რომ გასული ოთხი წლის განმავლობაში რიიკაარდი პრიმერა დივიზიონში მოასპარეზე 27 სხვადასხვა გუნდს დაუპირისპირდა. მისგან დაუმარცხებელი არც ერთი კლუბი არ ყოფილა. ჰოლანდიელმა აბსოლუტურად ყველას კარს მოუნახა გასაღები, თუმცა კატალონიელთათვის ყველაზე იოლი მეტოქე "მალიორკაა". ბატონი ფრანკის "ბარსა" კუნძულებს მთლიანობაში რვაჯერ გადაეყარა და რვაჯერვე დაამარცხა. შესანიშნავი შედეგია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მთავარი მწვრთნელისთვის "რეალის" სამჯერ დამარცხება ბევრად უფრო სასიამოვნო მოგონება იქნება. განსაკუთრებით, 2005 წლის 19 ნოემბერს "კამპ ნოუზე" გამართული მატჩი, რომელიც "ბარსელონამ" ფანტასტიკურად ჩაატარა და დიდი ანგარიშით, 3:0 მოიგო.

ეჩებერია ისტორიაში შელის

კვირას **ხოსება ეჩებერიას** ხანგრძლივი და ბრნყინვალე კარიერის ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღე ჰქონდა. საქმე ის არის, რომ "ბილბაოს" ლეგენდარულმა გარემარბმა "რეკრეატივოსთან" მატჩში დუბლი შეასრულა. ახლა მას ბასკური კოლექტივის მაისურით 101 გოლი აქვს შეგდებული. და ეს ყველაფერი ეჩებერიას მიერ "ბილბაოში" ჩატარებულ მეოთხასე შეხვედრას დაემთხვა. ბუნებრივია, ვეტერანი ხოსება ძალიან გახარებული იყო: *"ვერც კი წარმომიდგენია, ცხოვრებისგან და ღმერთისგან ამაზე მეტი რა უნდა ითხოვო. ბასკი ვარ და ბასკეთის საყვარელ, საამაყო "ბილბაოში" წლების განმავლობაში ვთამაშობ. პრიმერა დივიზიონში აგერ უკვე მეოთხასე შეხვედრა ჩავატარე. ფანტასტიკური რიცხვია. მართლაც სიმბოლურია, რომ მაინც და მაინც ამ საღამოს ორი ბურთის გატანა შევძელი და ეგრეთ წოდებულ ასიანთა კლუბში გავწევრიანდი. დიდი მადლობა ყველას ვინც ამდენი ხნის განმავლობაში მხარში მედგა. ბრძოლას უნინდებური შემართებით გავაგრძელებ. მჯერა, ნინ კიდევ არაერთი წარმატება მელის."*

როსი ლაზარეთში მოხვდა

"ვილიარეალის" მთავარი ექიმის **ხუან ალბორსის** ინფორმაციით, **მანუელ პელეგრინიმ** გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი **ჯუზეპე როსი** სულ მცირე ექვსი კვირით დაკარგა. იტალიელ თავდამსხმელს პრიმერა დივიზიონის წინა ტურის შეხვედრაში მარჯვენა მუხლის მენისკი დაუშავდა. საგულდაგულო სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ როსის სასწრაფო მკურნალობა სჭირდება. მისთვის არათუ ვარჯიში, სიარულიც კი სახიფათოა. ექიმების რეკომენდაციით, პირველი დღეების განმავლობაში ჯუზეპე ხეიბრების სავარძლით იმოძრავებს. გამორიცხული არ არის, აპენინელს ოპერაციაც დასჭირდეს.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ლეგიონი. კვირის მიმოხილვა

კითხვა ლიტველი ქართველებით დაიწყეთ

აᲨᲗ

გასულ კვირას დაიწყო NBA-ს მორიგი სეზონი. **ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ“ „დალასი“ ქართველის გარეშე დაამარცხა. მკითხველს მოეხსენება, რომ ზაზა „შარლოტთან“ მიღებული მუხლის ტრავმის შემდეგ გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობდა. გუშინ მიღებული ინფორმაციის თანახმად, მან ვარჯიში უკვე განაახლა და, სავარაუდოდ, ხუთშაბათს, „ფინიქს სანზის“ წინააღმდეგ ითამაშებს.

რუსეთი-იტალია

ᲐᲛᲡᲚᲝᲑᲐᲨᲘ ევროპაში **ნიკა ცქიტიშვილმა** და **ვლადიმერ ბოისამ** მდგომარეობა გაცვალეს - თუ ცქიტოს „ტერამო“ აქამდე თამაშს თამაშზე იგებდა, კვირას ღამით შინ საშუალო დონის „სკაფატისთან“ საკუთარ მოედანზე წააგო - 73:75. სამაგიეროდ ბოისას „სპარტაკ-პრიმორიემ“ გაიხსენა გამარჯვებების გამო - „ენისეის“ 88:78 აჯობა.

ახლა უფრო კონკრეტულად ნიკასა და ვოვას თამაშის შესახებ. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ „ტერამო“-“სკაფატის“ დაპირისპირებაში ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. მე-40 წუთი ნიკა ცქიტიშვილის შეტევითი მოხსნით დაიწყო. მან მეტოქის ფარქვეშ ბევრი იტრიალა და მოწინააღმდეგეებს ჯარიმაც მიაღებინა. საჯარიმოს ხაზიდან ცქიტომ ორიდან ერთი ტყორცნა გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა - 71:71. დარჩენილ დროში ორივე მხარის შეტევა შედეგიანად დაგვირგვინდა და ბოლო შეტევის განვითარების უფლება სტუმრებს დარჩათ. სკაფატელ რომეროს უკანასკნელ წამზე ორქულიანის ტყორცნით ხელი არ აკანკალებია და ასე წააგო „ტერამომ“ სეზონში პირველი საშინაო მატჩი (73:75). თუმცა, სატურნირო ცხრილში ცქიტიშვილის თანაგუნდელები კვლავ ინარჩუნებენ მესამე პოზიციას.

შეიძლება იფიქროთ, რადგან ნიკამ გადამწყვეტ მომენტში იაქტიურა, მანამდეც უხვად უნდა მოეგროვებინა ქულები, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მას „სკაფატისთან“ თამაში ისე არ წაუვიდა, როგორც წინა შეხვედრებში. ცქიტომ 10-დან მხოლოდ 3 ორქულიანი, 2-დან ერთი საჯარიმო გამოიყენა, ერთი სამქულიანი ტყორცნაც გააცუდა და 7 ქულას დასჯერდა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 5 მოხსნა და 1 ჩაჭრაა.

ვერც ვლადიმერ ბოისამ ითამაშა ჩვეულად. „ენისეისთან“ 88:78 მოგებულ მატჩში მან 13 წუთში ერთადერთი სამქულიანი სტყორცნა და ისიც მიზანს ააცილა. თუმცა, დროის ასეთ მცირე მონაკვეთში 3-3 პასი-მოხსნა-ჩაჭრა ცუდი შედეგი არ არის. მწვრთნელმა სერგეი ბაბკოვმა პოსტმატჩური კომენტარისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვლადიმერ ბოისასა და მილკევიჩისგან თამაშის გაუმჯობესებას ელის.

„ენისეის“ ძლევის შემდეგ, „სპარტაკ-პრიმორიეს“ 8 ქულა (2 მოგება, 4 წაგება) დაუგროვდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა სატურნირო ცხრილში მეათედან მე-8 პოზიციაზე გადასასვლელად.

ვლადიმერ ბოისა



მანუჩარ მარკოიშვილი

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ჩემპიონატში მეხუთე შეხვედრა წააგო ცქიტიშვილის ყოფილმა და **ტაირონ ელისის** ამჟამინდელმა კლუბმა „კახასოლმა“, სევილიელები ბასკეთს ესტუმრნენ და „ბილბაოს“ ვერაფერი დაუპირისპირეს - 66:81. მასპინძლები მეორე მეოთხედში 10 ქულით დაწინაურდნენ და შეხვედრა მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

სამწუხაროდ, ტაირონ ელისზეც იგივე უნდა ვთქვათ, რაც ბოისასა და ცქიტიშვილზე - ეს არ იყო შავკანიანი ქართველის მატჩი: 36 წუთი ითამაშა, შვიდივე სამქულიანი ააცილა და საბოლოოდ 4 ქულა, 6 პასი, 1 მოხსნა, 2 ჩაჭრა მიითვალა.

ასე და ამგვარად, „კახასოლს“ 6 მატჩში 1 მოგება აქვს და მეთოთხმეტე-მეთვრამეტე ადგილებს „ფუენლაბრადასთან“. „მენორკასთან“, „ესტუდიანტესთან“, „ლეონთან“ და „ვალიადოლიდთან“ ინაწილებს.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲛᲐᲠᲙᲝᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ „კიევმა“ უკრაინის ჩემპიონატში მე-5 მატჩი მოიგო და „აზოვმაშთან“ ერთად უდანაკარგოდ ლიდერობს პირველობას. კიეველთა მეტოქე იყო იუჟნის „ხიმიკი“, რომელიც დედაქალაქელებმა შინ 74:68 დაამარცხეს.

მანუმ მოედანზე 23 წუთი გაატარა, 6 ქულა და 1 მოხსნა მიითვალა.

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ

ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ მიყოლებით ორი განსხვავებული მატჩი ჩაატარა **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა“. „როკერებმა“ ესტონეთის ჩემპიონატში „კრაფტი“ 110:68 გაანადგურეს. მწვრთნელმა ამ შეხვედრაში ნამყვანი კალათბურთელები დაასვენა - ბალტიის თასზე ლატვიაში პრინციპული მატჩი გველისო, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საკალათბურთო საქმეში ლატვია ესტონეთზე წინაა - „ვენტსპილსმა“ „როკი“ 81:55 გაანადგურა.

ასეთ ქულამწირობაში თანაგუნდელთა შორის ვერც გიორგი ცინცაძე გამოირჩა. მან 26 წუთში 3-3 ქულა-პასი და 2 მოხსნა ჩაინერა. „როკერთა“ სნაიპერობა მძიმე ფორვარდმა ბრაიან კუსვორსმა იკისრა - 15 ქულა ჩააგდო.

დღესვე შეიძლება ითქვას, რომ ცინცაძის „ტარტუს“ ბალტიის ლიგის ფლეიოფში გასვლა ძალიან გაუჭირდება. ესტონეთის ჩემპიონებს 6 მატჩიდან მხოლოდ ორი აქვთ მოგებული და 10-გუნდიან ტურნირში მე-7 პოზიციაზე არიან.

ᲚᲘᲢᲕᲐ

ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡ თასის მეორე ეშელონში **სერგო ათუაშვილის** „ალიტუსმა“ ცინცაძის თანაგუნდელებს უჩვენა როგორ უნდა ლატვიელთა დარბევა - „ბუმერანგსი“ 102:73 დაამარცხა.

ჯერჯერობით სერგოს ლიტვაში იმის დამტკიცება უნევს, რომ იმაზე მეტ სათამაშო დროს იმსახურებს, ვიდრე მას მწვრთნელი აძლევს. „ბუმერანგსთან“ 223 სმ. სიმაღლის ქართველმა ცენტრმა 6 წუთი ითამაშა, 4-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, ზედ 5 მოხსნა მიაყოლა. მისი „ალიტუსი“ ბალტიის თასის მეორე ლიგაში ლიდერთა შორისაა - 5-დან 3 მატჩი აქვს მოგებული და ცხრილში მეოთხე პოზიციაზეა.

„ბუმერანგსთან“ დაპირისპირებამდე ორი დღით ადრე სერგო ათუაშვილმა ლიტვის ჩემპიონატში ითამაშა. მისი „ალიტუსის“ მეტოქე ევროგრანდი „ჟალგირისი“ იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, კაუნასელებმა „ალიტუსი“ დიდი სხვაობით, 122:76 დაამარცხეს. მაგრამ ჩვენთვის მოულოდნელად, მწვრთნელი სერგოს ჯერჯერობით სარეკორდო დროით, 14 წუთით ენდო და შეგირდისგან საჩუქრად 4-4 ქულა-მოხსნა და 1 ჩაჭრა მიიღო. ეს იყო სერგოს საუკეთესო მატჩი „ალიტუსის“ შემადგენლობაში. გასულ სეზონში ათუაშვილის ყველა რეკორდი მეორე გრანდის, „რიტასის“ წინააღმდეგ დაფიქსირდა - 24 წუთში 12 ქულა მოაგროვა.

ᲚᲘᲢᲕᲘᲡ მეორე ლიგაში ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად იბრძვიან **ნოდარ შენგელია** და **ბექა წივნივაძე**. ნოდარმა „ჟანოვასთან“ 79:92 წაგებულ შეხვედრაში მოედანზე 20 წუთი გაატარა, 4 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. ბექა წივნივაძემ კი არა მხოლოდ ლიტვაში, არამედ პროფესიულ კარიერაში საუკეთესო მატჩი „მაჟეიკისთან“ ჩაატარა. იგი შეხვედრაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, 31 წუთი ითამაშა, 16 ქულა, 12 პასი (!), 5 მოხსნა და 3 ჩაჭრა მიითვალა. ბექას იმ დღეს ყველაფერი გამოუვიდა, მათ შორის ყველა დისტანციიდან ტყორცნა: 6-დან 5 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 3-დან 3 საჯარიმო გამოიყენა. წივნივაძის „ატლეტასმა“ „მაჟეიკაი“ დაამარცხა - 102:80.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ევროთასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

მხოლოდ მოვალეობა არ მოვიხადოთ

ᲒᲣᲨᲘᲜ, დილის 6 საათზე საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „აზოტი“ ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში გაფრინდა, სადაც დღეს ევროთასის საპასუხო მატჩს გამართავს. მატჩი თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყება.

„აზოტი“-“ამსტერდამის“ პირველი დაპირისპირება, თბილისში, 30 ოქტომბერს გაიმართა და სტუმართა გამარჯვებით (87:77) დასრულდა. აქედან გამომდინარე, მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი „ამსტერდამს“ აქვს, მაგრამ ქართველთა მწვრთნელი, **დავით უსტიაშვილი** დაგვპირდა, რომ მისი გუნდი მეტოქეს გამრაჯვებას იოლად არ დაუთმობს. „აზოტის“ ახალწვეულმა **ბელტონ რივერსმა** კი დაგვამშვიდა - მონინაალმდეგის მოედანზე 20 ქულის სხვაობით ბევრს მოუგიაო.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

რუსთაველებს დღეს საპასუხო მატჩი აქვთ ამსტერდამში

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჭადრაკი | ევროპის გუნდური ჩემპიონატი

ვერცხლი, ბრინჯაო თუ...

ქალები

VIII ტური. საქართველო-უნგრეთი 2.5:1.5	
ლელა ჯავახიშვილი (2474)-თრანგ თჰან ჰოანგი (2466)	1:0
სიდონია ვაიდა (2407)-ნინო ხურციძე (2450)	0.5:0.5
ნანა ძაგნიძე (2416)-ილდიკო მადლი (2381)	0.5:0.5
ანიტა გარა (2315)-მაია ლომინეიშვილი (2409)	0.5:0.5

გოლო ტურის წინ: **რუსეთი 14 (23.0), პოლონეთი 12 (21.5), სომხეთი 12 (19.0), საქართველო 11 (20.5), უკრაინა 11 (20.5)**

გოლო ტურში: **უკრაინა-რუსეთი, სომხეთი-საქართველო, რუმინეთი-პოლონეთი**

კაცები

VIII ტური. საქართველო-ინგლისი 1.5:2.5	
გაადურ ჯობავა (2544)-მაიკლ ადამსი (2729)	0:1
გევეინ ჯონუნზი (2567)-თამაზ გელაშვილი (2623)	1:0
ლევან ფანცულაია (2617)-მარკ ჰებდენი (2542)	1:0.
სტიუარტ კონკვესტი (2540)-მერაბ გაგუნაშვილი (2584)	0.5:0.5

გოლო ტურის წინ: **რუსეთი - 15, ისრაელი - 12, სომხეთი - 12; 17. საქართველო - 8**

საქართველო-უნგრეთი. მარცხნივ ლელა ჯავახიშვილი

ბოლოსწინა, მერვე ტურმა ქართველ ქალთა ნაკრებისთვის საკმაოდ მომგებიანი პერსპექტივა გამოაჩინა: უშუალო მატჩში უნგრელები დავამარცხეთ, ხოლო ერთ-ერთმა უმთავრესმა კონკურენტმა მარცხი განიცადა - პოლონელებმა სომხებთან დაყარეს ფარხმალი - 1.5:2.5 დამარცხდნენ. ცხადია, ჩემპიონობის შანსი აღარ შეგვრჩა და ამ პრივილეგიით რუსებმა ისარგებლეს - მათ, ფაქტობრივად, გაინაღდეს ჩემპიონობა. მთავარი ბრძოლა დღეს მეორე-მესამე ადგილისთვის წარიმართება. საქართველოს ნაკრები ერთ-ეთრ უშუალო კონკურენტს, სომხეთის გუნდს ხვდება.

მერვე ტურში ჩვენები უნგრელებს შეხვდნენ; შემადგენლობა ასეთი იყო: **ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი;** დაისვენა **მაია ჩიბურდანიძემ**. უნგრელები: **თჰან თრანგ ჰოანგი, სიდონია ვაიდა, ილდიკო მადლი, ანიტა გარა.**

შეხვედრა ძალიან დაძაბული იყო და ბოლო წუთამდე გაურკვეველი რჩებოდა საბოლოო შედეგი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დღეისთვის ქართველები უკეთესად იყვნენ მომზადებულნი და გამარჯვებაც შეძლეს: ლელა ჯავახიშვილმა თრანგ ჰოანგს აჯობა და გუნდი დააწინაურა; დანარჩენ სამ დაფაზე კი უშელავათო ბრძოლები გაჩაღდა, სადაც საბოლოო შედეგის გამოცნობა ძალიან რთული იყო. დასასრული ყველაფერს აქვს და ეს ბრძოლაც დასრულდა: სამივე დაფაზე ყაიმი დაფიქსირდა, რაც საერთო ჯამში ქართველთა გამარჯვებას ნიშნავდა - 2.5:1.5. 2 ქულის შემატებამ დიდწილად არგო ქართველებს და თუკი დღეს გაიმარჯვებენ, ვერცხლის ან ბრინჯაოს მედლის მოპოვების დიდი შანსი ექნებათ.

დარწმუნებით იმიტომ ვერ ვლაპარაკობთ, რომ წაგების მიუხედავად, პოლონელები ქართველების წინ დარჩნენ; სლავების დამმარცხებელმა სომხებმა კი ჩვენზე ერთქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს. ქართველები მეოთხე ადგილზე არიან და პოლონელებსა და სომხებს ერთი ქულით ჩამორჩებიან. დღეს მოგებაა აუცილებელი, რათა საპრიზო ადგილზე გასვლა შევძლოთ.

ვაუებმა კვლავ ცუდად ითამაშეს: ინგლისის ნაკრებთან 1.5:2.5 დამარცხდნენ და თუკი ბოლო ტურში გამარჯვებას ვერ მიაღწევენ, დიდი სირცხვილით დაასრულებენ ჩემპიონატს. ინგლისთან ქართული შემადგენლობა ასეთი იყო: **ბაადურ ჯობავა, თამაზ გელაშვილი, ლევან ფანცულაია, მერაბ გაგუნაშვილი**. ინგლისელების შემადგენლობა ასეთი გახლდათ: **მაიკლ ადამსი, გევეინ ჯონუნზი, მარკ ჰებდენი, სტიუარტ კონკვესტი**. ჯობავამ და გელაშვილმა წააგეს, ფანცულაიამ მოიგო, გაგუნაშვილმა კი ყაიმით დაასრულა შეხვედრა.

ბოლო ტურში ჩვენებურები იტალიელებს ხვდებიანდა ლოგიკურად უნდა მოიგონ, თუმცა ეს მოგებაც მხოლოდ ფასადის „შელამაზებას" თუ წაადგება - მეჩვიდმეტედან რამდენიმე ადგილით წინ წავიწევთ.

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

თინათინ ყავლაშვილი

ყავლაშვილის ნახევარი ასეული

ერთ დროს მსოფლიოს 42-ე ჩოგანი **ირაკლი ლაბაძე** გუშინ კლასიფიკაციის მოწინავე ათასეულიდანაც გავარდა. ირაკლის შარშან მოპოვებული 6 სარეიტინგო ქულა ჩამოაკლდა, მხოლოდ სამი დარჩა, რის გამოც ერთბაშად 333 ადგილი დათმო და 1272-ე ადგილზე გადავიდა. ლაბაძეს **ნოდარ ითონიშვილმაც** გადაასწრო. საქართველოს პირველი ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** 94 ქულით მსოფლიოს 357-ე ადგილზეა, რაც გასული კვირის შედეგს 4 საფეხურით ჩამორჩება. ნოდარ ითონიშვილი 1245-ე ადგილზეა (-9). **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** თითო ქულით რეიტინგში (1456) სიმბოლურად არიან.

ქალთა რეიტინგში კვლავ ათი ქართველი ჩოგბურთელია. ჩვენმა პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (189,50 ქულა) ორი საფეხურით წინ წაიწია და ის 165-ე ადგილზე დამკვიდრდა. წყვილებში ჩახნაშვილი 191-ე ადგილზეა, წლის რბოლაში - 177-ეზე. **ანა ტატიშვილმა** (88 ქულა) ხუთი საფეხური დათმო და 278-ე პოზიციაზეა. უკან დაიხია **სოფიო შაფათავამაც** (43 ქულა) - 427-ე (-7). სტამბოლის ტურნირის მერვედფინალში გასვლისთვის **თინათინ ყავლაშვილი** (26 ქულა) ერთბაშად 50 ადგილით ნავიდა წინ და მსოფლიოს 558-ე ჩოგანი გახდა. ეს მისი კარიერის მიღწევაა. სხვები: 561 (-4) **სალომე დევიძე** - 25,50 ქულა; 631 (-6) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 19,50; 639 (-8) **მანანა შაფაქიძე** - 19; 745 (-3) **სოფიო ქვაცაბაია** - 13; 818 (-5) **ეკა გორგოძე** - 10; 830 (-102) **სოფიო მელიქიშვილი** - 10. წყვილთა თანრიგში ოქსანა კალაშნიკოვამ 72 ადგილით წაიწია წინ და 478-ე ჩოგანი გახდა.

ხელბურთი

ნაკრების გეგმებს იმედო ფხაკაძე ჩამოაყალიბებს

საქართველოს ხელბურთის ფედერაციაში გუშინ პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა. პრეზიდიუმმა ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრესა და ეროვნული ნაკრების სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. სხდომის დეტალების შესახებ გვესაუბრება ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე.

- საქართველოს ჩემპიონატის მესამე წრის გამართვა გვინდოდა ქუთაისის ახალ სპორტის სასახლეში. პრეზიდიუმმა ამ საკითხის მოგვარება დაავალა ჩვენი ფედერაციის გენერალურ მდივანს, თუმცა როგორც დღის განმავლობაში შევიტყვე, ქუთაისის ვარიანტი გამოირიცხა. საქმე ის არის, რომ სპორტის სასახლეს ჯერ არ ჰყავს დირექტორი და მომსახურე პერსონალი, რომლებიც ოფიციალურად იქნებიან პასუხისმგებლები შეჯიბრების დროს. შესაბამისად, გადაწყდა, რომ მესამე წრეს ჩავატარებთ ისევ თბილისში - ან არმიის სპორტულ კომპლექსში, ანდა გლდანის დარბაზში.

ამას გარდა, ვიმსჯელეთ ეროვნული ნაკრების საკითხზეც. როგორც იცით, გუნდი 19-21 დეკემბერს, თურქეთში ჩატარებს შეკრებასა და საკონტროლო მატჩებს. გაისად, იანვარში, ჩელენჯ ტროფი გვაქვს, შემოდგომით კი ევროპის 2010 წლის საკვალიფიკაციო ეტაპი გვეწყება. ნაკრების სამწვრთნელო შტაბს მადლობა გადავუხადეთ და „ჩელენჯ ტროფის" თბილისური ეტაპისთვის მისი გაწეული სამუშაო დამაკმაყოფილებლად შევაფასეთ. გუნდის კონსულტანტ იმედო ფხაკაძეს კი ორი კვირის ვადაში, დაევალა ნაკრების მომავალი წლის მოსამზადებელი გეგმის ჩამოყალიბება.

კობა ხატისაშვილი

საქართველოს ნაკრები. შუაში იმედო ფხაკაძე

პიტსბურგი, მინსკი, ენტალი

ამერიკის ქალაქ პიტსბურგში ჰარდის საფარის კორტებზე დაიწყო 75 ათასი დოლარის საპრიზო ფონდის საერთაშორისო ტურნირი. ტურნირში ქართველი **ანა ტატიშვილი** (278) მონაწილეობს, რომელსაც რეიტინგმა ძირითად ბადეში თამაშის საშუალება არ მისცა, ანა საკვალიფიკაციო ბადეში მესამე ნომრად განთესეს. პირველ წრეში ტატიშვილი ამერიკელ **ჟაკლინ ჰიუზს** ხვდებოდა, ქართველის უპირატესობა აშკარა იყო - 6:1, 6:0. მეორე წრეში ჩვენებურის მეტოქე ცაცია არგენტინელი **კლარისა ფერნანდესია** (542), რომელიც ერთ დროს მსოფლიოს 26-ე ჩოგანი იყო.

მინსკში ქალ ჩოგბურთელთა 50-ათასიანი ტურნირი იმართება. ტურნირის ორგანიზატორებმა „უაილდ ქარდი" 17 წლის ქართველ **ოქსანა კალაშნიკოვას** მისცეს. კიდევ ორი ჩვენებური საკვალიფიკაციო ბადეში მონაწილეობს. **სოფიო შაფათავა** მეექვსე ნომრად არის განთესილი, პირველ საკვალიფიკაციო წრეში მისი მეტოქე **მაია პიტენინა** (რუსეთი, 1058) იყო, რომელსაც ორ სეტში მოუგო - 6:3, 6:1. **თინათინ ყავლაშვილი** მე-7 ნომრად განთესილ რუს **ვარვარა გალანინას** (467) ხვდებოდა. მოულოდნელად, ქართველმა იმარჯვა - 7:5, 6:4. ყავლაშვილის შემდეგი მეტოქე რუსი **ტატიანა კოტელნიკოვაა** (724). ხოლო **სოფიო შაფათავა** რუს **ვასილისა დავიდოვას** (616) შეხვდება.

საქართველოს პირველი ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** კვლავ ძალზე წარუმატებლად ასპარეზობს, ლადო გერმანიაში ენტალის ტურნირის (25 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში მე-6 ნომრად განთესეს. თუმცა მან პირველივე წრეში წააგო „უაილდ ქარდით" მინვეულ მასპინძელ **ანდრეას ტატერმუშთან** - 3:6, 4:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გზა დიალოგისკენ

სპორტსმენების ხმა

საქართველოს პარლამენტის წინ, 2 ნოემბერს დაწყებული ხალხმრავალი აქცია გაერთიანებული ოპოზიციის მონაწილეობით გრძელდება. მოთხოვნების განხილვასთან დაკავშირებით, ხელისუფლებასა და მომიტინგეებს შორის ჯერ ვერ შედგა დიალოგი.

გუშინ, პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** თხოვნით, სახელმწიფო კანცელარიაში საკონსულტაციოდ ცალ-ცალკე შეიკრიბნენ შოუბიზნესისა და სპორტის წარმომადგენლები. სპორტის სფეროს წარმოადგენდნენ ცნობილი სპორტსმენები, მწვრთნელები, ფედერაციის ხელმძღვანელები და ფუნქციონერები. როგორც შოუბიზნესის, ისე სპორტის წარმომადგენლებმა შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადეს, რომ ქვეყანაში სიმშვიდისა და სტაბილურობისთვის საჭიროა დიალოგი ხელისუფლებასა და აქციის მონაწილეთა სახელით, ოპოზიციას შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაბღი

BTA Silk Road Bank
ქვიარციტი QUARTZITE
LOYALCAPITAL group

ლეგიონერები

კოპალიანი დაწინაურდა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტარულ, პირველ დივიზიონში მეორე ტური გაიმართა. აქ მოასპარეზე გუნდების უმრავლესობაში მსოფლიო თასზე მოასპარეზე მორაგბეები ახლახანს დაბრუნდნენ და ჯერ კიდევ არ არიან სასურველ კონდიციებში. სწორედ ამას შეიძლება მივაწეროთ ის უცნაური ფაქტი, რომ სატურნირო ცხრილს სათავეში საქართველოს ნაკრების ბურჯის, **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონი“ მოექცა, ცხრილის მეორე ნახევარში კი ფრანგული რაგბის გრანდები „სტად ფრანსე“ და „პერპინიანი“.

„ბაიონმა“ მეორე ტურში შინ **ირაკლი გიორგაძის** „დაქსი“ მიიღო და მშრალი ანგარიშით 27:0 დაამარცხა, ამასთან მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა და პრემიალური ქულაც მიითვალა. კოპალიანი განაცხადში არ იყო. გიორგაძემ კი თავიდან ბოლომდე ითამაშა.

პირველი გამარჯვება მითვალა **დავით ზირაქაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „კლერმონმა“. ვულკანებმა შინ **მამუკა გორგოძის** „მონპელიე“ დაამარცხეს 33:20. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე **გოდერძი შველიძემ** შეცვალა. ძირითადში იყო მამუკა გორგოძეც, რომელიც 38- წუთზე მატჩის არბიტრმა გაასინჯინა, რის შემდეგაც თამაშში აღარ დაბრუნებულა.

სტუმრად „მონტობანთან“ დამარცხდა **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი“ 15:12. „გლობუსა“ თამაშში 66-ე წუთიდან ჩაერთო. საკუთარ მოედანზე დამარცხდა „ბურგუენთან“ **მამუკა მაგრაქველიძის** „ოში“ 16:18. მაგრაქველიძე განაცხადში არ იყო. ასევე საკუთარ მოედანზე ვერაფერი გააწყო **გიორგი ჟღენტის** „ბიარიცთან“ **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა“ 7:12. ქართველ ბურჯებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საფრანგეთი. I დივიზიონი. II ტური. ტულუზი-სტად ფრანსე 28:9, კლერმონი-მონპელიე 33:20, მონტობანი-კასტრი 15:12, ალბი-პერპინიანი 21:16, ოში-ბურგუენი 16:18, ბაიონი-დაქსი 27:0, ბრივი-ბიარიცი 7:12.

სატურნირო მდგომარეობა. 1.ბაიონი-9 ქულა, 2.ტულუზი-9, 3.ბურგუენი-8, 4.ალბი-6, 5.ბიარიცი-6, 6.კასტრი-5, 7.კლერმონი-5, 8.მონტობანი-5, 9.მონპელიე-4, 10.სტად ფრანსე-4, 11.ბრივი-2, 12.პერპინიანი-2, 13.ოში-1, 14.დაქსი-1

II დივიზიონში პირველისგან განსხვავებით მოულოდნელ იარაფერი ხდება. მოვლენები ლოგიკის მიხედვით ვითარდება. ლიდერები გია ლაბაძის ტულონი, ირაკლი მაჩხანელის „მონ დე მარსანი“ და ანტონ ფეიქრიშვილის „აჟენი“ არიან.

მეორე ტურში „ტარბის“ შემადგენლობაში პირველხაზელ **იგორ ბარბაქაძის** დებიუტი შედგა. იგორი საქართველოს ნაკრების წმყვანი მოთამაშეების, ძმები გიორგაძეების მამიდაშვილია. სამწუხაროდ „ტარბმა“ ეს სეხვედრა შინ დათმო „მეტრო რასინგთან“ 17:22. ბარბაქაძე თამაშში მე-40 წუთიდან ჩაერთო.

საკუთარ მოედანზე გაიმარჯვა „ლა როშელთან“ შეხვედრაში **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანმა“ 19:6. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

შინ დამარცხდა **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ორიაკთან“ მატჩში **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი“ 6:17. ურჯუკაშვილი ტრავმირებულია, კუთარაშვილი თამაშში 75-ე წუთიდან ჩაერთო.

სტუმრად გაიმარჯვა დივიზიონის დებიუტანტ „ბლანიაკთან“ **გია ლაბაძის** ვარსკვლავურმა გუნდმა „ტულონმა“ 16:5. „ლაბო“ განაცხადში არ იყო. გასვლითი მატჩი წაგო „ოიონაქსთან“ **მერაბ კვირიკაშვილის** „პომ“ 13:28. კვირიკაშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

ასევე სტუმრად დამარცხდა „ბეზიესთან“ **ლევან ღვაბერიძის** „გრენობლი“ 5:39. ღვაბერიძე ჯერაც ტრავმას იშუშებს.

II დივიზიონი. II ტური. ნარბონი-ორიაკი 6:17, ბეზიე-გრენობლი 29:5, ლიონი-ლიმოჟი 39:5, ოიონაქსი-პო 28:13, ბორდო-აჟენი 15:22, ბლანიაკი-ტულონი 5:16, ტარბი-მეტრო რასინგი 17:22, მონ დე მარსანი-ლა როშელი 19:6.

სატურნირო მდგომარეობა: 1.ტულონი-9 ქულა, 2.მონ დე მარსანი-8, 3.აჟენი-8, 4.მეტრო რასინგი-8, 5.ლიონი-5, 6.ოიონაქსი-5, 7.პო-5, 8.ბეზიე-5, 9.ორიაკი-4, 10.ნარბონი-4, 11.ლა როშელი-4, 12.გრენობლი-4, 13.ტარბი-2, 14.ბორდო-1, 15.ლიმოჟი-1, 16.ბლანიაკი-0.

ბესიკ ჯანგავაძე

კლერმონის პირველი ხაზი. მარცხნივ - დავით ზირაქაშვილი

საქართველოს სარაგბო თემის განცხადება

საქართველოს სარაგბო თემი იყო, არის და მომავალშიც იქნება აპოლიტიკური, საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანი საქართველოს კეთილდღეობაა.

ჩვენ, ჩვენი ცხოვრების წესით, რომელიც არ შეცვლილა და არც შეიცვლება, დავამტკიცეთ, რომ თემის თითოეული წევრი ყოველთვის იდგა და დღესაც დგას სამშობლოს ინტერესების დამცველთა შორის, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ.

ქვეყნის უახლოეს ისტორიაში მორაგბეები ყოველთვის იყვნენ მოწინავეთა შორის: ეს იყო დედა ენის, 9 აპრილის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოვლენები.

საქართველოს სარაგბო თემი, საქართველოს მოსახლეობის განუყოფელი ნაწილი, ყველას მოგმართავთ თხოვნით, თავი შეიკავოთ ვინმეს მხარდასაჭერ პოლიტიკურ პროცესში ჩვენი ჩართვისგან.

ჩვენ გვინდა წესრიგი, სტაბილურობა, ქვეყნის კეთილდღეობა, მისი მთლიანობა. ყოველივე ამისთვის საქართველოს სარაგბო თემი, დღესაც და მომავალშიც თავისი თავდადებით იქნება სრულიად საქართველოს ინტერესების დამცველი, მისთვის სიხარულის მიმნიჭებელი, სამშობლოსათვის ჯანსაღი თაობის აღმზრდელი და მოამაგე. ჩვენი დევიზიც ხომ ესაა:

ერთი ყველასათვის, ყველა საქართველოსათვის.

ტაეკვონდო



ბადრი მაისურაძე, ვახტანგ ჯაფარიძე, ავთანდილ მიქაძე

პირველი მედალი ევროპის ჩემპიონატიდან

აზიური საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სახეობა - ტაეკვონდო თანამედროვე კორეაში იშვა გასული საუკუნის 50-იან წლებში. „ტაეკვონდო“ კორეული სიტყვაა - „ტაე“ - ფეხით დარტყმა, „კვონ“ - მუშტი და „დო“ - ხელოვნება, გზა. სამშობლოდან სპორტის ეს სახეობა ჯერ მეზობელ აზიის ქვეყნებში, შემდეგ კი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელდა. შეიქმნა ოლიმპიურ სახეობად მისი აღიარების წინაპირობა. მართლაც, აღიარეს და ჯერ 1988 წელს, შემდეგ კი 1992 წელს სოკ-მა საჩვენებელ სახეობად ჩართო, შესაბამისად, სეულის და ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში. 2000 წლიდან კი ოლიმპიადების პროგრამაშია შეტანილი. ამჟამად მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაშია გავრცელებული.

საქართველოში ტაეკვონდოს დანერგვა 1991 წლიდან დაიწყო, მაშინ ცნობილი კარატისტის **ავთანდილ მიქაძის** თაოსნობით. დაფუძნდა ეროვნული ფედერაცია, რომელსაც დღემდე თავად ა. მიქაძე უდგას სათავეში. ჩვენი სპორტსმენები სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში სისტემატურად მონაწილეობენ. პირველი მაღალი ხარისხის ჯილდო - ვერცხლის მედალი საქართველოს ევროპის სარბიელზე, ამ დღეებში, ბაქოში მოუპოვა, 17 წლის თბილისელმა **ვახტანგ ჯაფარიძემ** კონტინენტის იუნიორთა (18 წლამდელები) პირველობაზე (ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბადრი მაისურაძე**, მწვრთნელი - **გიორგი ივანიშვილი**). საქართველოდან ბაქოში 8 სპორტსმენი გამოდიოდა. სულ კი 3000-ზე მეტი ათლეტი გამოდიოდა ევროპის 38 ქვეყნიდან.

„ნლეულს კიდევ ორ მნიშვნელოვან ასპარეზობაში მივიღებთ მონაწილეობას. ესაა „ა“ კლასის ტურნირი საფრანგეთში და საერთაშორისო ტურნირი პოლონეთში“, - გვითხრა ბადრი მაისურაძემ.

სამბო

მსოფლიო ჩემპიონატი

ბოლო ვაკანსიაც შეივსო

8-9 ნოემბერს. პრაღაში გაიმართება სამბისტთა მსოფლიო პირველობა, რომლშიც ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: **უშანგი კუზანაშვილი** (52), **გელა ბარათაშვილი** (57), **დავით სვიმონიშვილი** (62), **ნოდარ მჭედლიშვილი** (68), **კახა მამულაშვილი** (74), **ლევან ნიკლაური** (82), **მინდია ბოდაველი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100) და **ზვიად ჩინჩალაძე** (მძიმე).

ამათგან ნაკრებში ყველაზე ბოლოს ნიკლაური შევიდა, რომელსაც სეიროზული კონკურენტი ჰყავდა - **ნიკოლოზ კუცია**. მათი დავა საკონტროლო შეხვედრამ გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ ლევან ნიკლაური ბოლო ხანებში ძიუდოშიც არანაკლები წარმატებით გამოდის და აგვისტოში გერმანული ბრაუნშვაიგის ტურნირი მოიგო.

პირველ დღეს კუზანაშვილი, სვიმონიშვილი, მამულაშვილი, ბოდაველი და ჩინჩალაძე იჭიდავებენ, სხვები კი მეორე დღეს. ნაკრები პრაღაში ხვალ დილით გაემგზავრება, მისი თავკაცი **ოლეგ იაძე** კი 5-6 მედლის, მათ შორის - 2 ოქროს მოპოვებას გეგმავს.



ლევან ნიკლაური ძალას სამბოშიც ცდის



ჯეისონ კიდი (5)

კალათბურთი

უეიდი დაბრუნებას არ ჩქარობს

"მაიამი ჰიტის" ლიდერი **დუეინ უეიდი** გამოჯანმრთელდა. ექიმებმა კალათბურთელს ვარჯიშისა და თამაშის ნება დართეს, მაგრამ უეიდი არ ჩქარობს აქტიურ სპორტში დაბრუნებას. ის აცხადებს, რომ 100 პროცენტით დარწმუნებული უნდა იყოს თავის თავში და მხოლოდ ამის შემდეგ განაახლებს კარიერას.

"მოედანზე მხოლოდ თამაშზე ვიფიქრო და არა საკუთარ მხარზე. ჯერ არ ვიცი, რამდენი ვარჯიში დამჭირდება იმისთვის, რომ სრულად აღვიდგინო კონდიციები. მინდა მალე შევუერთდე პარტნიორებს და დავუბრუნდე იმ თამაშს, რომელიც ასე ძალიან მიყვარს", - განუცხადა სააგენტო "როიტერს" უეიდმა.

იგუოდალას საკითხი ზაფხულისთვის გადაიდო

"ფილადელფია სიქსერზის" მცველმა **ანდრე იგუოდალამ** ვერ მოასწრო თავის კლუბთან კონტრაქტის გაფორმება. ახლა, კალათბურთელსა და კლუბს შორის ახალი ხელშეკრულების დადება მომავალი წლის ზაფხულისთვის გადაიდო.

მხარეებმა ვერ მოასწრეს ახალი კონტრაქტის დეტალების 31 ოქტომბრამდე განხილვა და ახლა, NBA-ის წესების თანახმად, იგუოდალა "ფილადელფიასთან" მოლაპარაკებებს 1 ივლისს გააგრძელებს.

"კონტრაქტი თითქმის გაფორმებული იყო, მაგრამ ჩვენ ვერ მოვასწარით უკანასკნელი დეტალების განხილვა. გუნდის მთავარი მიზანი იგუოდალასთან ხელშეკრულების გაფორმებაა და ამას ზაფხულში აუცილებლად გავაკეთებთ", - აცხადებს "სიქსერზის" პრეზიდენტი **ბილი კინგი**.

პეჩეროვი ექვსი კვირა დაისვენებს

"ვაშინგტონ უიზარდსის" ახალწვეულმა **ალექსეი პეჩეროვმა** ფეხი მოიტეხა და ამის გამო, დაახლოებით ექვსი კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

დედაქალაქურმა კლუბმა უკრაინელი ფორვარდი 2006 წლის დრაფტზე მე-18 ნომრად აირჩია. 21 წლის კალათბურთელმა გასული სეზონი "კიევში" გაატარა, წლეულს კი, წინასასეზონო მატჩებში, "უიზარდსის" შემადგენლობაში საშუალოდ 8 ქულასა და 5 მოხსნას აგროვებდა.

კიდმა ნეტს 50-ე სამმაგი დუბლი აჩუქა

გასულ უიკ ენდზე, ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა "ნიუ ჯერსი ნეტსის" გამთამაშებლის, **ჯეისონ კიდის** კარიერაში. "ფილადელფიასთან" გასვლით შეხვედრაში (88:93), ვეტერანმა კალათბურთელმა 16 ქულა, 14 მოხსნა და 10 შედეგიანი პასი დააგროვა, რისი წყალობითაც, "ნიუ ჯერსიში" გამოსვლის პერიოდში 50-ე სამმაგი დუბლი შეასრულა. სულ კი, ამ ბრწყინვალე მოთამაშის ანგარიშზე 88 ტრიპლ-დაბლი მოდის.

ამ მაჩვენებლით კიდი მოქმედ კალათბურთელებს შორის დიდი უპირატესობით ლიდერობს, NBA-ის ყველა დროის სიაში კი, მესამე ადგილზე იმყოფება. მასზე წინ არიან **ოსკარ რობერტსონი** (181 სამმაგი დუბლი) და **მეჯიქ ჯონსონი** (138).

ოლიმპიზმი

ვანკუვერში დოპინგს მკაცრად შეებრძოლებიან

2010 წელს, ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე ერთნახევარჯერ მეტი დოპინგ-ტესტი ჩატარდება, ვიდრე ოთხი წლით ადრე, ტურინის თეთრი ოლიმპიადის დროს. სპორტსმენების შემოწმება მოხდება არამარტო შეჯიბრებების შემდეგ, არამედ სანვრთნელ ცენტრებში და ოლიმპიელების საცხოვრებელ ადგილებში.

"ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს ავიღებთ დოპინგ-სინჯებს. შევეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ თამაშები მაქსიმალურად "სუფთად" ჩატარდეს", - განაცხადა "ვანკუვერი 2010"-ის ანტისადოპინგო კომიტეტის დირექტორმა **ჯერემი ლუქსმა**.

სულ ვანკუვერის ოლიმპიადაზე 2000 დოპინგ-ტესტს ჩაატარებენ.

FIDE ოლიმპიურ კომიტეტს უჩივის

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს, სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. ამ ორგანიზაციას მიზეზად მოჰყავს ის, რომ სპორტის ეს სახეობა დღემდე არ არის შეტანილი ოლიმპიურ პროგრამაში.

"ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია 1924 წელს დაარსდა და მისი შექმნის დღიდან, ეს ორგანიზაცია ოლიმპიურ ოჯახში შესვლას ლამობს. სამწუხაროდ, ათწლეულების განმავლობაში ვერ მოხერხდა ოლიმპიური კომიტეტის ჩინოვნიკთა სტერეოტიპების დამსხვრევა. მათ არ მოსწონთ სპორტის ინტელექტუალური სახეობები! არადა, საერთო აზრით, სპორტი არამარტო სპორტსმენის სხეულს, არამედ ტვინსაც ტვირთავს. საბოლოო ჯამში, ჩვენ განვიხილავთ ისეთ ვარიანტს, რომ კომიტეტს სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში ვუჩივლებთ, რადგან ის ჩვენი სახეობის დისკრიმინაციას ეწევა", - განაცხადა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **კირსან ილუმჟინოვმა**.

რაგბი

უაიტი ინგლისს მიაუხლოვდა

რუგორც უკვე ვიუწყებოდით, მსოფლიო თასის ტრიუმფატორის, სამხრეთ აფრიკის მთავარი მწვრთნელი **ჯეიკ უაიტი** არ აპირებს ქვეყნის რაგბის კავშირთან კონტრაქტის გაგრძელებას და წლის ბოლოს თანამდებობას დატოვებს.

თუ ბრიტანულ სპორტულ პრესას დავუჯერებთ, ინგლისური რაგბის ხელმძღვანელებმა უკვე გამოთქვეს დაინტერესება ცნობილი სპეციალისტის მიმართ. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასზე ინგლისის ნაკრებმა ფინალამდე მიაღწია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ გუნდის დამრიგებელმა **ბრაიან ეშტონმა** გვარიანი კრიტიკა მიიღო გულშემატკივრებისა და ექსპერტების მხრიდან.

სხვათა შორის, იმავე მსოფლიო თასის მსვლელობისას, უაიტმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ თუ ინგლისელებისგან შესაბამის შეთავაზებას მიიღებს, უარს არ იტყვის იქაური ნაკრების გაწვრთნაზე.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ლარი ბერდის აჩრდილი

"სელტიქსის" მდიდარ ისტორიაში მრავლად მოიძიება ისეთი მოთამაშე, ვისაც ბოლო წამზე გუნდისთვის ბევრი გამარჯვება მოუპოვებია. **ლარი ბერდი, ჯონ ჰავლიჩეკი, ბობ კოუზი, დენი ეინჯი** და ბოლო წლებში, **პოლ პირსი**, "მკვლელის" რეპუტაციით სარგებლობდნენ (პირსი დღესაც ჯანზეა), წლევანდელი რეგულარული დაწყებამდე კი ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა **კევინ გარნეტი** და **რეი ალენიც** დაიმატა.

გარნეტი "ვულვზში" ბოლო წამებზე გადამწყვეტი ტყორცნების დიდოსტატად არასოდეს ითვლებოდა, ალენი კი სულ სხვაა - "მილუოკიშიცა" და "სიეტლშიც", მას ბოლო წამებზე არაერთი ბურთი ჩაუგდია და იგივე, მან "ტორონტოსთან" ურთულეს გასვლით შეხვედრაში გააკეთა.

მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩენილმა "სელტიქსმა" (**დოკ რივერსს** მამა დაეღუპა) მატჩი მძიმედ დაიწყო. ქულათა დიდი ნაწილი, გარნეტის აქტიური მონაწილეობის გარეშე მოგროვდა. "რეპტორზმა" კევინს ორმაგი მეურვეობა მიუწინა - **კრის ბოში** მაგრად დაიხარჯა, **ანდრეა ბარნიანიც** შეეშველა კანადელთა კაპიტანსა და გარნეტს 48 წუთში მხოლოდ 13 ქულა ჰქონდა მოხვეჭილი.

დაიწყო დამატებით დრო და მასპინძელთა თავკაცმა, **სემ მიტჩელმა** რატომღაც ერთი-ერთზე დაცვა ამჯობინა და კევინს იტალიელი მიამაგრა. გარნეტმა ბარნიანის გამოცდილებისა და კიდევ ბევრი სხვა კომპონენტის ხარჯზე გადაუარა და ოვერტაიმში, თავისი გუნდის 20 ქულის ზუსტად ნახევარი გააკეთა.

გარნეტი გარნეტად, თუმცა "სელტიქსის" გამარჯვება არა მან, არამედ ზემოთ ნახსენებმა ალენმა განაპირობა.

ძირითადის დასრულებამდე 4.4 წამით ადრე, **ტი. ჯეი. ფორდმა** ალენის პოზიციური შეცდომით ისარგებლა და უმეთვალყურეოდ დატოვებულმა, სამიანით ანგარიში გაათანაბრა (95:95), რასაც "სელტიქსის" წუთშესვენება მოჰყვა.

ბურთი თამაშში პირსმა შეიტანა, ალენმა კი გარნეტის ჭკვიანური ბლოკით ისარგებლა და მარჯვენა კუთხიდან დააქუხა სამიანი. სტუმრებმა შეხვედრა მოიგეს და ამჯერადაც, მათი ტრიუმფი მეტწილად "დიდმა სამეულმა" განაპირობა.

"ამ გუნდში ყველაფერს ორი და სამი მოთამაშე ვერ წყვეტს. არიან ძლიერი გუნდები, სადაც დაცვა იმდენად მაგრად მუშაობს, რომ ჩვენმა მთავარმა დამრტყმელმა ძალამ, იქნებ ჯამში 40 ქულაც კი ვერ გააკეთოს, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა. სხვებს კი ხელფეხი ეხსნებათ და დღეს ედი ჰაუზმა და ჯეიმს პოუსიმ რამდენიმე მნიშვნელოვანი სროლა გამოიყენეს. მათ გარდა გაგვიჭირდებოდა "რეპტორზის" დამარცხება, რომელსაც აღმოსავლეთში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს", - ამბობდა ნამატჩევს ალენი, რომელმაც დამატებით დროში ორი სამიანი გამოიყენა, სულ კი შეხვედრა 11-დან 7 ზუსტი შორეული ტყორცნით დაასრულა. ოვერტაიმში პირველი ზუსტი ტყორცნით, მან კარიერის მონაგარი 17 000 ქულას გაუტოლა.

■ ■ ■

რეგულარულში პირველი მოგების შემდეგ, **კარმელო ენტონიმ** თავისი გუნდისთვის პროგნოზი გააკეთა - კიდევ 59 შეხვედრას და მერე მთლიანად პლეიოფს მოვიგებთო.

კარგი შემადგენლობისა და ერთ-ერთი საუკეთესო ტანდემის (**კარმელო-ალენ აივერსონი**) მიუხედავად, კოლორადოელებს ამდენი შეხვედრისა თუ სერიის მოგება გაუჭირდებათ. ვერც მოიგებენ.

ჯერ ერთი, "დენვერს" ყოველ სეზონში ხან ვინ აკლდება, ხან ვინ. აივერსონიც, **მარკუს კემბიც, კენიონ მარტინიცა** და **ნენეც** უფრო ხშირად დაშავებულთა სიაში იყვნენ, ვიდრე მოედანზე, ხოლო ენტონის ეული გაბრწყინება კი საკმარისი არ იქნება.

"ნაგეტსის" ეიფორია "ჰორნეტსთან" საშინაო მარცხმა გაანელა. ამ მატჩამდე ორივე გუნდს ორ-ორი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული და ამბიციამომძლავრებულ "კრაზანებთან" მასპინძლებს გაცილებით მეტი კონცენტრაცია მართებდათ.

"ნიუ ორლეანის" ორმა მთავარმა მექულემ, **პეჯა სტოიაკოვიჩმა** და **დევიდ უესტმა** მატჩი კატასტროფულად დაიწყო და სერბმა ზედიზედ 7, ხოლო უესტმა კი 8 სროლა გააფუჭა. თუ სტოიაკოვიჩმა სამიზნე ვერც მერე გაისწორა (10-დან ერთადერთი ზუსტი სროლა), უესტი აბობოქრდა და დარჩენილი სროლების ზუსტად ნახევარი (14-დან 7) ჩააგდო და დაცვაშიც მაგრად დადგა.

აივერსონმა და ენტონიმ კი ჯამში 49 "ცოცხალი" სროლიდან ოდენ 16 გამოიყენეს, სიტუაცია კი ვერც კემბის ზედიზედ მეორე არაჩვეულებრივმა თამაშმა გამოასწორა. მარკუსი გახდა მეორე მოთამაშე "დენვერის" ისტორიაში, რომელმაც ზედიზედ მეორე შეხვედრაში 20 და მეტი მოხსნა გააკეთა. პირველად მსგავსი შედეგი **დიკემბე მუტომბომ** დააფიქსირა.

ისიც საგულისხმოა, რომ სადღაც ორი კვირის განმავლობაში "დენვერს" ერთბაშად ორი სათადარიგო გამთამაშებელი არ ეყოლება. **ენტონი კარტერიცა** და **ჩაკი ეტკინსიც** დაშავდნენ და ალენ აივერსონს დასვენების მინიმალური შანსი მიეცემა.

რეი ალენი მატჩის გმირი იყო

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ - "ნაგეტსი" შემადგენლობით იქნებ მხოლოდ "სან ანტონიოს", "დალასსა" და "ჰიუსტონს" ჩამოუვარდებოდეს, მაგრამ გუნდური თამაში თუ არ დაიხვეწა, გახვრეტილი გროშია ამ ვარსკვლავების ფასი. ყოველ შემთხვევაში, ფლეი ოფში ნამდვილად ასე იქნება.

■ ■ ■

ბოლო რამდენიმე დღეა, ჩუმადაა **კობი ბრაიანტი**, დუმს "ჩიკაგოს" მთავარი მწვრთნელი **სკოტ სქაილზიც** და ამ ეტაპზე არანაირ ტრეიდზე საუბარი არ მიმდინარეობს. სამაგიეროდ, აგრძელებს სენსაციების დაფიქსირებას "ლეიკერსი", რომელმაც გასვლაზე "ფინიქსის" განადგურების მერე, შინ არც "იუტა ჯაზი" დაინდო და ფავორიტი მეტოქე ძალიან გაამწარა.

კობიმ უჩვეულოდ აკურატულად შეასრულა სროლები და 19 მცდელობიდან მხოლოდ 3 ვერ გამოიყენა, ხოლო "ლეიკერსში" სნორედ "ჯაზიდან" გადასულმა **დერეკ ფიშერმა** კი, 14 საჯარიმოთი კარიერის რეკორდი დაამყარა.

ძანდრეი კირილენკო ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დამფარებელია, თუმცა აღნიშნულ შეხვედრაში მან ერთი ბლოკიც ვერ გააკეთა, კობიმ და **ენდი ბინუმმა** კი, რუსს ორჯერ დაუფარეს. მოკლედ, ეს "ლეიკერსის" დღე იყო და კალიფორნიელებმაც დამსახურებულად იმარჯვეს.

ზურაბ თალაკვაძე

დენვერი-ნიუ ორლეანი 88:93

21:14, 28:34, 20:25, 19:20

დენვერი: აივერსონი (23 ქ. 8 პ. 5 მ), ენტონი (20 ქ), ნენე (12 ქ. 6 მ), კემბი (8 ქ. 21 მ. 5 პ. 2 დ).

ნიუ ორლეანი: დევიდ უესტი (17 ქ. 13 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ), პოლი (15 ქ. 11 პ. 8 მ. 4 ჩ), ბ. ჯექსონი (13 ქ), ჩენდლერი (12 ქ. 17 მ. 2 დ), პიტერსონი (12 ქ), რ. ბატლერი (11 ქ).

დეტროიტი-ატლანტა 92:91

24:19, 21:29, 15:21, 32:22

დეტროიტი: ბილაპსი (22 ქ. 5 პ. 4 ჩ. 2 დ), რ. ჰამილტონი (21 ქ. 5 პ. 4 მ), მაქსიელი (15 ქ. 8 მ).

ატლანტა: ჯო ჯონსონი (23 ქ. 5 მ. 4 პ), მერვინ უილიამი (22 ქ. 6 მ), ჯოშ სმიტი (13 ქ. 10 მ. 5 დ. 2 ჩ. 2 პ), ლო (11 ქ), ჰორფორდი (3 ქ. 11 მ).

ტორონტო-ბოსტონი 95:98 ო.ტ.

14:23, 17:15, 24:28, 23:12, 17:20

ტორონტო: ტი. ჯეი. ფორდი (32 ქ. 5 პ), ბოში (19 ქ. 10 მ. 5 დ. 2 პ), კაპონო (10 ქ. 5 მ), ბარნიანი (9 ქ. 8 მ).

ბოსტონი: რ. ალენი (33 ქ. 4 მ), გარნეტი (23 ქ. 13 მ. 6 პ. 3 ჩ), პირსი (13 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), პოუსი (11 ქ), ე. ჰაუსი (10 ქ. 4 მ. 3 პ).

ლეიკერსი-იუტა 119:109

25:21, 21:30, 35:31, 38:27

იუტა: ბუზერი (23 ქ. 12 მ. 6 პ. 2 ჩ), ბრიუერი (15 ქ. 2 ჩ), კირილენკო (14 ქ), ოქური (13 ქ. 7 მ. 5 პ), მილსეპი (10 ქ).

ლეიკერსი: ბრაიანტი (33 ქ. 3 ჩ. 2 დ), ფიშერი (19 ქ. 5 პ), ბინუმე (15 ქ. 9 მ), ფარმარი (12 ქ), უოლტონი (10 ქ. 6 მ. 6 პ), ტურიაფი (10 ქ).

ფინიქსი-კლივლენდი 103:92

21:22, 17:23, 31:19, 34:28

ფინიქსი: ნეში (30 ქ. 10 პ. 4 მ), მერიონი (23 ქ. 12 მ. 2 ჩ. 2 დ), დიაო (16 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ), ბარბოსა (14 ქ).

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (27 ქ. 8 პ. 5 მ. 4 დ. 2 ჩ), გუდენი (22 ქ. 14 მ), ილგაუსკასი (22 ქ. 13 მ. 2 დ).

კლიპერსი-სიეტლი 115:101

25:21, 27:31, 26:24, 37:25

კლიპერსი: მაგეტი (27 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ), ტიმ ტომასი (20 ქ. 5 მ), მობლი (17 ქ), პატერსონი (13 ქ. 6 ჩ), კასელი (11 ქ. 5 მ. 5 პ), კამანი (10 ქ. 15 მ. 3 დ).

სიეტლი: დიურანი (24 ქ. 8 მ. 5 პ), უილკინსი (22 ქ. 6 მ. 5 პ), უილკოქსი (17 ქ. 9 მ), ჯ. გრინი (14 ქ. 7 მ), შერბიაკი (13 ქ), კოლისონი (უქულოდ, 10 მ).

ნიუ იორკი-მინესოტა 97:93

21:28, 33:22, 21:23, 22:20

ნიუ იორკი: ჯ. კროუფორდი (24 ქ. 7 პ), მარბერი (17 ქ. 7 პ), ზ. რენდოლფი (15 ქ. 10 მ), კარი (14 ქ. 7 მ), ლი (14 ქ. 7 მ), ნ. რობინსონი (10 ქ).

მინესოტა: გომესი (19 ქ. 7 მ), ელ ჯეფერსონი (16 ქ. 12 მ), ჩ. სმიტი (14 ქ), ბაკნერი (13 ქ. 6 მ), მაკკენტსი (13 ქ).

მაიამი-შარლოტი 88:90

27:27, 21:28, 15:20, 25:15

მაიამი: ჰასლემი (18 ქ. 10 მ), შ. ონილი (17 ქ. 9 მ. 2 დ), რ. დევისი (12 ქ), დ. რაიტი (11 ქ. 6 მ).

შარლოტი: ჯ. რიჩარდსონი (29 ქ. 5 მ), ფელტონი (19 ქ. 7 პ. 4 მ), ოკაფორი (16 ქ. 13 მ. 3 ჩ), ჯ. უოლასი (13 ქ. 6 მ).

ტურნირები

დავენპორტი კვებეკის ჩემპიონია

ამერიკელი **ლინდსი დავენპორტის** გამარჯვებით დასრულდა WTA-ს სეზონის ბოლოსწინა ტურნირი - ბელ ჩელენჯი, რომელიც კანადის ქალაქ კვებეკში ჩატარდა. ტურნირის ფინალში ის იოლად გაუსწორდა მესამე ნომრად განთესილ უკრაინელ **იულია ვაკულენკოს** და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნების შემდეგ ნათამაშები სამი ტურნირიდან მეორის ტიტულს დაეუფლა.

დავეპორტს ივნისში ბიჭი, სახელად **ჯაგერი** შეეძინა, სამი თვის შემდეგ კი, პრაქტიკულად მოუმზადებელი დაბრუნდა და ჯერ ბალის (მალაიზია) ტურნირის ჩემპიონი გახდა, შემდეგ კი ჩინეთის ღიას ნახევარფინალში ითამაშა, სადაც სერბ **ელენა იანკოვიჩთან** წააგო.

ამერიკელმა პირველი ბრეიკი მეათე გეიმში მოიპოვა და მისი მეშვეობით, პირველი სეტი თვის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტში კი მას წინააღმდეგობა პრაქტიკულად არ შეხვედრია - ის სულ რაღაც 22 წუთში გაუსწორდა მეტოქეს.

"ჩემი სათამაშო გეგმა ძლიერ მოწოდებასა და საკუთარი სერვის-გეიმების მოგებაზე ავაგე. მერე კი, როცა მისი მოწოდების აღება შევძელი, ვიგრძენი, რომ შეტევაზე გადასვლაც შემეძლო. თუმცა აქცენტი კვლავაც საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაზე გავაკეთე. საბოლოო ჯამში, ტურნირის მოგება შევძელი. ზოგი თამაშის მოგება გამიჭირდა, ზოგისა კი - პირიქით. მთავარი კი ისაა, რომ ტურნირზე კარგად ვითამაშე, ისე, როგორც ვისურვებდი", - განაცხადა ამერიკელმა, ვინც შეხვედრაში 12 ეისი მოაწოდა.

დავენპორტი, ვისაც თავის დროზე უიმბლდონი, აშშ-ის და ავსტრალიის ღია ტურნირები აქვს მოგებული, კარიერაში 53-ე ტურნირის ჩემპიონი გახდა, რითაც თანამემამულე (ყოფილი ხორვატი) **მონიკა სელეშს** გაუტოლდა, რრიგე ერთად კი ამ მაჩვენებლით მერვე ადგილს იყოფს.

კითხვაზე, რა მიზანს ისახავს მომავალ სეზონში და კონკრეტულად, მის პირველ სადიდსლემო ტურნირზე (ავსტრალიის ღია), დავენპორტი პასუხობს: *"ჯერ არ ვიცი. რა თქმა უნდა, მელბურნში ყველაფერი უფრო რთულად იქნება. იქ ხომ პოტენციურ მეტოქეთა შორის ჟუსტინი (ანენი), ვენუსი და სერენა (უილიამსები) იქნებიან. თუმცა როცა კორტზე გავალ, ჩემი მიზანი ყოველთვის გამარჯვება იქნება".*

WTA

ბელ ჩელენჯი

კვებეკ სიტი (კანადა). ☐ერძვეშა ჰარდი
საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი

ნახევარფინალი

ლინდსი დავენპორტი (აშშ)-ვერა ზვონარევა (რუს, 2) 6:2, 6:7(3), 6:3; **იულია ვაკულენკო (უკრ, 3)**-ჯული დიტი (აშშ) 6:1, 4:6, 7:5

ფინალი

ლინდსი დავენპორტი (აშშ)-იულია ვაკულენკო (უკრ, 3) 6:4, 6:1

ლინდსი დავენპორტი

მარტინა ჰინგისი ჩოგბურთიდან კი წავიდა, მაგრამ როგორც ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის შეფი **ლარი სკოტი** ირწმუნება, ის მაინც აპირებს თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას. სკოტის თქმით, მასთან პირად საუბრებში, ჰინგისიც და მისი წარმომადგენლები ამბობენ, რომ შვეიცარიელ ჩოგბურთელს არასოდეს გამოუყენებია აკრძალული პრეპარატები.

ჰინგისი ბრძოლას აპირებს

სპორტიდან თავისი წასვლის შესახებ განცხადების პარალელურად, ჰინგისმა ისიც თქვა, რომ უიმბლდონის დროს მისგან აღებულ სინჯში ტესტმა კოკაინის შემცველობა დაადგინა. მას შეეძლო, ამის შესახებ არაფერი ეთქვა და საჩოგბურთო წესების შესაბამისად, ამის შესახებ ვერც ვერავინ გაიგებდა (რამდენადაც ჩოგბურთელმა თავისი სპორტული კარიერა დაასრულა), მაგრამ ჰინგისმა მომხდარის დაფარვა არ ისურვა და ეს თავისი უდანაშაულობით ახსნა.

უფრო მეტიც, ჰინგისი აცხადებს, რომ სპეციალურად ჩაატარებინა თმის ტესტი, რომელიც უტყუარად უჩვენებს, თუ როდის და რა დოზით მიიღო ადამიანმა ისეთი ნარკოტიკული ნივთიერება, როგორიც კოკაინია.

ბიბისის რადიოსთან საუბრისას, სკოტი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, უიმბლდონის დროს შემოწმებული სინჯი ჰინგისს არ ეკუთვნოდა. ყოველ შემთხვევაში, თმის ტესტი უფრო უტყუარად ითვლება, ვიდრე შარდის სინჯისა. თუმცა, მისი თქმით, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ძალიან გაუჭირდება თავისი უდანაშაულობის დამტკიცება.

რეიტინგები

ATP-ის რეიტინგი

1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	6530
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	5535
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	4470
4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	2725
5(5). ენდი როდიკი (აშშ)	2330
6(6). დავიდ ფერერი (ესპ)	2250
7(9). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	1905
8(13). რიშარ გასკე (საფ)	1830
9(21). დავიდ ნალბანდიანი (არგ)	1775
10(8). ტომი რობრედო (ესპ)	1765
11(12). ენდი მიურეი (ბრიტ)	1755
12(14). გილერმო კანიასი (არგ)	1723
13(10). ტომი ჰაასი (გერ)	1720
14(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	1710
15(11). ტომას ბერდიჩი (ჩეხ)	1685
16(22). მარკოს ბაღდატისი (კვიპ)	1600
17(16). კარლოს მოია (ესპ)	1585
18(15). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	1580
19(18). მიხაილ იუჟნი (რუს)	1570
20(17). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	1425

WTA-ს რეიტინგი

1(1). ჟუსტინ ანენი (ბელ)	5930
2(2). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	3750
3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ)	3475
4(4). ანა ივანოვიჩი (სერ)	3161
5(5). სერენა უილიამსი (აშშ)	2767
6(6). მარია შარაპოვა (რუს)	2666
7(7). ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2660
8(8). ვენუს უილიამსი (აშშ)	2470
9(9). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	2242
10(10). მარიონ ბარტოლი (საფ)	2101
11(11). ელენა დემენტიევა (რუს)	2022
12(12). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1942
13(13). ამელი მორესმო (საფ)	1906
14(14). ნადია პეტროვა (რუს)	1899
15(15). ტატიანა გოლოვინი (საფ)	1882
16(16). დინარა საფინა (რუს)	1830
17(17). პატი შნიდერი (შვეიც)	1806
18(18). შაარ პეერი (ისრ)	1675
19(19). მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1502
20(20). აგნეს შავეი (უნგრეთი)	1332

ATP-ის საჩემპიონო რბოლა

1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	1306
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	1107
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	894
4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	545
5(5). ენდი როდიკი (აშშ)	466
6(6). დავიდ ფერერი (ესპ)	450
7(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	381
8(13). რიშარ გასკე (საფ)	366
9(25). დავიდ ნალბანდიანი (არგ)	355
10(9). ტომი რობრედო (ესპ)	353
11(11). ენდი მიურეი (ბრიტ)	351
12(8). ტომი ჰაასი (გერ)	344
13(10). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	342
14(12). ტომას ბერდიჩი (ჩეხ)	337
15(19). მარკოს ბაღდატისი (კვიპ)	320
16(14). კარლოს მოია (ესპ)	317
17(15). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	316
18(16). გილერმო კანიასი (არგ)	314
18(17). მიხაილ იუჟნი (რუს)	315
20(18). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	285

WTA-ს საჩემპიონო რბოლა

1. ჟუსტინ ანენი (ბელ)	5405
2. ელენა იანკოვიჩი (სერ)	4097
3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	3691
4. ანა ივანოვიჩი (სერ)	3163
5. სერენა უილიამსი (აშშ)	2767
6. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	2698
7. ვენუს უილიამსი (აშშ)	2470
8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)	2431
8. მარია შარაპოვა (რუს)	2431
10. მარიონ ბარტოლი (საფ)	2224
11. ელენა დემენტიევა (რუს)	2023
12. დინარა საფინა (რუს)	1973
13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	1942
14. პატი შნიდერი (შვეიც)	1936
15. ტატიანა გოლოვინი (საფ)	1919
16. ნადია პეტროვა (რუს)	1864
17. შაარ პეერი (ისრ)	1699
18. ამელი მორესმო (საფ)	1538
19. სიბილ ბამერი (ავსტრია)	1497
20. მარტინა ჰინგისი (შვეიც)	1372

ფულადი მონაგარი

1. როჯერ ფედერერი (შვეიც)	7 430 620
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	4 596 935
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	3 327 700
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	1 601 775
5. დავიდ ნალბანდიანი (არგ)	1 230 465
6. ენდი როდიკი (აშშ)	1 224 120
7. ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	1 219 330
8. დავიდ ფერერი (ესპ)	1 206 252
9. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ)	1 126 070
10. მიხაილ იუჟნი (რუს)	1 028 900
11. რიშარ გასკე (საფ)	984 790
12. ტომი ჰაასი (გერ)	974 350
13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	966 585
14. ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	963 445
15. ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	937 765
16. ტომი რობრედო (ესპ)	928 147
17. გილერმო კანიასი (არგ)	913 215
18. მაიკ ბრაიანი (აშშ)	894 035
19. ბობ ბრაიანი (აშშ)	890 210
20. ენდი მიურეი (ბრიტ)	853 315

ფულადი მონაგარი

1. ჟუსტინ ანენი (ბელ)	4 367 086
2. სერენა უილიამსი (აშშ)	2 066 641
3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	1 962 487
4. ვენუს უილიამსი (აშშ)	1 843 187
5. ელენა იანკოვიჩი (სერ)	1 685 387
6. ანა ივანოვიჩი (სერ)	1 660 354
7. მარია შარაპოვა (რუს)	1 258 550
8. ანა ჩაკვეტაძე (რუს)	1 147 266
9. მარიონ ბარტოლი (საფ)	1 136 740
10. დან. პანტუხოვა (სლოვაკ)	1 036 112
11. დინარა საფინა (რუს)	879 767
12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)	875 623
13. შაარ პეერი (ისრ)	782 765
14. პატი შნიდერი (შვეიც)	718 625
15. ელენა დემენტიევა (რუს)	694 491
16. ლიზელ უუგერი (აშშ)	693 099
17. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ)	679 107
18. მარა სანტანგელო (იტა)	677 877
19. კარა ბლეკი (ზიმ)	670 907
20. ნადია პეტროვა (რუს)	655 962

6 ნოემბერი. სამშაბათი

რუსთავი 2

23:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოლიმპიაკოსი-რეალი (LIVE).
02:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
03:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლივერპული-ბეშიქთაში.

1 არხი

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:30 ინგლისის ჩემპიონატი. ბლეკბერნი-ლივერპული.
20:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 საფეხბურთო კლუბი.
21:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლივერპული-ბეშიქთაში.

SPORT 1 (უკრაინა)

09:02 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:55 სპორტკლუბი.
10:43 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:39 ფეხბურთი. Barca TV.
11:46 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი.
13:34 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:02 სპორტული ტანვარჯიში. Swiss Cup Grand Prix. ციურიხი. შვეიცარია.
16:33 ფეხბურთი. Barca TV.
17:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვილიარეალი.
18:48 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:41 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:22 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სელტიკი-ბენფიკა (LIVE).
01:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. პორტუ-მანჩესტერ.
03:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-რეინჯერსი (LIVE).
06:37 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
07:08 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი.

EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
13:45 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
15:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ირანი. ბრაზილია (LIVE).
16:30 მულტისპორტი.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-რუსეთი. ბრაზილია (LIVE).
18:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. II დღე. ბელფასტი.
18:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. III დღე. ბელფასტი (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ჩოგბურთის. WTA-ს ტური. ნლის შემაჯამებელი ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
02:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. III დღე. ბელფასტი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული ჩემპიონატი.
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვალენსიას გრან პრი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური.
18:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ნიგერია. ბრაზილია.
18:30 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-პორტუგალია. ბრაზილია (LIVE).
19:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
20:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ჯგუფური ეტაპი. სოლომონის კუნძულები-მექსიკა. ბრაზილია (LIVE).
21:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული ჩემპიონატი (LIVE).
22:45 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული ჩემპიონატი (LIVE).
00:45 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. III დღე. ბელფასტი (LIVE).
02:30 ახალი ამბები.
02:45 რესტლინგი.
03:45 ახალი ამბები.

მთის თხილამურები

ლევიში ეტაპი არ იქნება

გაუქმდა მსოფლიო თასის წლევანდელი გათამაშების მეორე ეტაპი, რომელიც ფინეთის კურორტ ლევიში უნდა გამართულიყო. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ამის მიზეზად თოვლის არასაკმარისი რაოდენობა დაასახელეს.

10-11 ნოემბერს, ლევიში ქალებსა და მამაკაცებს შორის სლალომში უნდა გამოვლენილიყო სეზონის პირველი ლაურეატები. ამინდის პროგნოზმა ორგანიზატორებს არანაირი იმედი არ დაუტოვა და ეს ეტაპი ავსტრიაში გადაიტანეს.

ჩოგბურთი

პეერი მწვრთნელს იცვლის

მსოფლიო კლასიფიკაციის მე-18 ნომერი, ისრაელის წარმომადგენელი **შაარ პეერი** მომავალი სეზონიდან მწვრთნელის შეცვლას აპირებს.

პეერის უკმაყოფილების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მისი ამჟამინდელი დამრიგებელი **ოდედ ტაიგი** ვერ ახერხებს რეგულარულად იმოგზაუროს თავის შეგირდთან ერთად WTA-ს ტურის შეჯიბრებებზე. პეერს კი უნდა, რომ მას მთელი წლის განმავლობაში მწვრთნელი გვერდით ჰყავდეს.

ასეთი ერთგული ადამიანი შეიძლება გახდეს **გაბრიელ ურპი**, რომელიც ამჟამად იტალიელ **ფლავია პენეტას** ავარჯიშებს. პეერი ამ სპეციალისტთან რამდენიმე დღე იმუშავებს და შემდეგ მიიღებს მასთან კონტრაქტის გაფორმებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას.

ფეხბურთი

ინგლისი

მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი	1:0

ჩემპიონები

ბარსელონა-ბლეკბერნი	2:1

იტალია

სერია C1/B

ლუკეზე-პრეზეო	3:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

ბორუსია (მ)-კარლ ცაისი	2:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

ბელფორი-ნანტი	4:0

პორტუგალია

მარიტიმუ-ბიგარეინი	0:1

დანია

ვიბორგი-ოდენსე	0:2

ჩეხეთი

იაბლონეცი-ლიბერეცი	1:2

სლოვაკეთი

სლოვანი-არგამედია	1:2

უნგრეთი

ფეიერვარი-დებრეცენი	0:0

კალათბურთი

ULEB-ის თასი

ასკ რიგა-ლუკოილი	77:58

ჰოკეი

ფინეთი

ბაპარა-ჟერკენი	2:2 მ.ბ. 2:3

შვედეთი

ლინგოკინგი-აიკ	3:2

მარტინ ლელი და პოლა რედკლიფი

ნიუ იორკის მარათონი

რედკლიფი გამარჯვებით დაბრუნდა

ვინ წარმოიდგენდა, რომ მშობიარობის შემდეგ დაბრუნებული **პოლა რედკლიფი** პირველივე მარათონს გამარჯვებით დაასრულებდა? შესაძლოა, არავინ, მაგრამ ფაქტია, რომ მან მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, ნიუ იორკის მარათონი დაბრუნებისთანავე მოიგო.

რედკლიფისთვის ეს ბოლო ორ სეზონში პირველი მარათონი იყო. შეგახსენებთ, რომ მას ცხრა თვის წინათ გოგონა, სახელად აილა (Isla) შეეძინა. პარალელურად, მან ტერფის ტრავმაც ბოლომდე მოირჩინა და შედეგად, ლონდონის მარათონის ჩემპიონთან, ეთიოპელ **გეტე ვამისთან** უშელავათო პაექრობაში მოიპოვა გამარჯვება.

"ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვებით დავბრუნდი, ამაყი ვარ, რომ მშობიარობის შემდეგ, ისევ შევძელი მარათონულ დისტანციაზე გამოსვლა", - განაცხადა რედკლიფმა, ვისაც გეტე ვამისთან 15-წლიანი მეტოქეობა აქვს. ამ დროის განმავლობაში, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდენ სარბენ ბილიკზე, გრუნტზე სირბილსა და მარათონებში.

მათი პაექრობა ნიუ იორკშიც, მარათონის დაწყებიდან სამი კილომეტრის შემდეგ გაგრძელდა. ორივემ კარგა მანძილზე ჩამოიტოვა დანარჩენები და აქედან მოყოლებული, ფინიშამდე მათ ერთად ირბინეს. თითქმის მთელი გზა წინ ბრიტანელი იყო, შემდეგ კი, როცა ფინიში მოახლოვდა, ვამიმ ტემპი გაზარდა და მეტოქე უკან ჩამოიტოვა, მაგრამ ლიდერის რანგში ოდენ ათი წამი გაატარა, რადგან რედკლიფი კიდევ უფრო აჩქარდა და ბოლო რამდენიმე ასეული მეტრი ისე ირბინა, ვერ იფიქრებდით, რომ 40 კილომეტრი უკვე გარბენილი ჰქონდა.

ვამი მეორე ადგილს დასჯერდა, თუმცა საბოლოო ჯამში, მაინც მოგებული დარჩა. ეს იმიტომ, რომ ის დიდი მარათონების მსოფლიო სერიის გამარჯვებულად გამოცხადდა. შეგახსენებთ, რომ ეს სერია ორი სეზონი გრძელდება და მისი ჩემპიონი ხდება ის მორბენალი, ვინც მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ხუთ მარათონში დაგროვებული ქულებით, ყველაზე წინ იქნება. მოკლედ, ვამიმ სერიის მოგებისთვის ნახევარი მილიონი დოლარი მიიღო.

რედკლიფისგან განსხვავებით, ვამიმ ბოლო 35 დღეში მეორედ ირბინა მარათონულ დისტანციაზე. ნიუ იორკამდე, მან ბერლინის მარათონი მოიგო, რითაც სერიაში უკან მოიტოვა მანამდელი ლიდერი, ლატვიელი **ელენა პროკოპჩუკა**, ვისაც ნიუ იორკის მარათონი ორჯერ აქვს მოგებული.

"35 დღეში ორი მარათონი შეიძლება ძალიან ბევრია, მაგრამ პირველი მოვიგე, მეორეში კი მეორე ადგილი დავიკავე და მერწმუნეთ, ეს დიდი მიღწევაა. როცა პოლამ ბოლო შეტევა წამოიწყო, მისი აყოლა ვერ შევძელი. ცოტა დაღლა ვიგრძენი და თანაც, მუცელიც მტკიოდა", - განაცხადა ვამიმ.

პროკოპჩუკას შანსი ჰქონდა, ზედიზედ მესამედაც მოეგო ნიუ იორკის მარათონი, რითაც ის ვამის მარათონების სერიაშიც უკან ჩამოიტოვებდა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. ლატვიელს მიზნამდე ორწუთნახევარი დააკლდა. ცნობისთვის, ნიუ იორკის მარათონი ცხრაჯერ აქვს მოგებული მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, ლოს ანჯელესის ოლიმპიადის (1984 წელი) ვერცხლის მედალოსანს, ნორვეგიელ **გრეტე ვაიტცს**, ვინც დიდი ვაშლის ქუჩებში ბოლო გამარჯვება 1986 წელს მოიპოვა.

კაცების ასპარეზობა კი კენიელი **მარტინ ლელის** გამარჯვებით დასრულდა, ვინც ფინიშთან მხოლოდ 12 წამით მიასწრო მარკოელ **აბდერრაჰიმ გუმრის**. აქაც გამარვჯებულის ვინაობა ბოლო რამდენიმე ასეულ მეტრზე გაირკვა. აღსანიშნავია, რომ ლელმა, ვისაც ნიუ იორკის მარათონი 2003 წელსაც აქვს მოგებული, გუმრის ლონდონის მარათონზე სულ სამი წამით აჯობა.

აქაც გუმრი და ლელი კარგა ხანს გვერდიგვერდ მირბოდნენ, მაგრამ შემდეგ კენიელმა ფეხს აუჩქარა, მაროკოელმა კი ბოლო მეტრებზე ტემპს ვეღარ გაუძლო. მესამე ადგილს დასჯერდა ნიუ იორკის მარათონის კიდევ ერთი ყოფილი (2004 წლის) ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი **ჰენდრიკ რამაალა**.

დიდი მარათონების მსოფლიოს სერიის გამარჯვებული კი კენიელი **რობერტ ჩერუიოტი** გახდა, ვინც ამ ორ სეზონში ორჯერ მოიგო ბოსტონის მარათონი, შარშან კი ჩიკაგოს მარათონის ჩემპიონი გახდა. ვამის მსგავსად, მანაც ამისთვის ჯილდოს სახით 500 000 დოლარი მიიღო.

კაცები

1. მარტინ ლელი (კენია) 2:09:04; 2. აბდერრაჰიმ გუმრი (მაროკო) 2:09:16 ; 3. ჰენდრიკ რამაალა (სამხ. აფრიკა) 2:11:25; 4. სტეფანო ბალდინი (იტალია) 2:11:58; 5. ჯეიმს კვამბაი (კენია) 2:12:25; 6. რუჯერო პერტილე (იტალია) 2:13:01; 7. სტივენ კიოგორა (კენია) 2:13:41; 8. მერილსონ გომეშ დუშ სანტუში (ბრაზილია) 2:13:47...

ქალები

1. პოლა რედკლიფი (ბრიტანეთი) 2:23:09; 2. გეტე ვამი (ეთიოპია) 2:23:32; 3. ელენა პროკოპჩუკა (ლატვია) 2:26:13; 4. ლიდია გრიგორიევა (რუსეთი) 2:28:37; 5. კატერინ ნდერება (კენია) 2:29:08; 6. ელვა დრაიერი (აშშ) 2:35:15; 7. რობინ ფრიდმანი (აშშ) 2:39:19; 8. ტეგლა ლორუპი (კენია) 2:41:58...

ეროვნული სპორტული გაზეთი
სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ინიციატივითა და
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თეიგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ
ბალახაძე, მერაბ გრძელიძე,
მამუკა ქანთარია,
ირაკლი დარცმელიძე,
ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია
ელიზბარაშვილი, ხათუნა
სამხარაძე, დავით გეგეჭკორი,
დავით შალუტაშვილი,
კოტა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე

ლევან გიგილაშვილი

ბავშვებისა სამსახური და
ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა
1934 წლის 13 აპრილს
თბილისში, სახელწოდებით
"საქართველოს
ფიზკულტურელი".
1936-39 წლებში ერქვა
"ფიზკულტურელი",
"ლელომდე" დაიბეჭდა
362 ნომერი. 1949 წლის
10 ივლისს გაზეთი აღადგინა
მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა
გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თეიგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს
ოლიმპიური
ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10¹,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია,
პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე,
გარდა კვირისა

ავტოსპორტი

პაკინენი საბოლოოდ წავიდა

ფორმულა 1-ის ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა **მიკა ჰაკინენმა** ავტოსპორტიდან საბოლოოდ წასვლა გადაწყვიტა.

39 წლის ფინელმა ავტომრბოლმა ფორმულა 2001 წელს დატოვა, ავტოსპორტს კი, 2005 წელს დაუბრუნდა და ორი სეზონი DTM-ის სერიის გერმანიის ჩემპიონატში ასპარეზობდა.

ჰაკინენმა საზოგადოებას თავისი გადაწყვეტილება კვირას, შტუტგარტში "მერსედესის" მიერ ორგანიზებულ ტრადიციულ წარმოდგენაზე (Stars & Cars) გააცნო.

"ამ ნაბიჯის გადადგმა იოლი არ ყოფილა. მაგრამ 39 წელი ის ასაკია, როცა პროფესიონალმა ავტომრბოლმა უნდა თქვას - "მშვიდობით"! - განაცხადა ფინელმა პილოტმა.

თუმცა ამავდროულად, ჰაკინენმა ისიც დაამატა, რომ "მერსედესთან" თანამშრომლობის შეწყვეტას არ აპირებს.

ფერარის პარკი საემიროებში

ბრაზილიის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში "ფერარისადმი" მიძღვნილ თემატურ პარკს გააშენებენ.

ამ პარკში განთავსებული იქნება საგამოფენო პავილიონები, ატრაქციონები და რაც მთავარია, ტრასა, რომელზეც ფორმულა 1-ის ეტაპის გამართვა იქნება შესაძლებელი.

პარკის საერთო ფართობი 250 კვადრატული მეტრი იქნება. მის ასაშენებლად, სავარაუდოდ 150 მილიონი დოლარი დაიხარჯება და ის მწყობრში 2009 წლის ბოლოსთვის ჩადგება.

უილიამსმა პრეზენტაცია დაიჩქარა

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის, ბრიტანულმა საჯინიბომ "უილიამსმა", პირველმა გამოაცხადა თავისი ახალი ბოლიდის პრეზენტაციის მიახლოებითი თარიღი.

ცნობილი იყო, რომ მანქანა სახელწოდებით - FW30, მომავალი წლის თებერვალში, ახალი სეზონის სტარტამდე რამდენიმე კვირით ადრე ჩადგებოდა მწყობრში. მაგრამ ახლა, გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ახალ მანქანას საზოგადოებას არა გაისად, არამედ 2007 წელს წარუდგენს.

FW30-ის დაჩქარებულ ვადებში შექმნა იმით არის გამოწვეული, რომ მანქანამ რაც შეიძლება მეტი ტესტი უნდა გაიაროს, რათა მისი საიმედოობის ხარისხი მაღალი იყოს.

შუმი მოტოციკლზე გადაჯდება

მომავალ კვირას, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** ახალ ამპლუაში წარსდგება თავისი თაყვანისმცემლების წინაშე. გერმანელი ავტომრბოლი ვალენსიას ტრასაზე "დუკატის" იმ მოტოციკლზე დაჯდება, რომლითაც წლეულს, მოტოგრან-პრის კლასში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 22 წლის ავსტრალიელმა **კეისი სტოუნერმა**.

ამ აქციის ორგანიზატორია კომპანია Marlboro, რომელიც ფორმულა 1-ში "ფერარის", ხოლო მოტოსპორტში "დუკატის" სპონსორია.

სხვათა შორის, ამ აქციაში მონაწილეობის მიღებას აპირებს წარსულში ცნობილი კიდევ ერთი ავტომრბოლი, ავსტრიელი **გერჰარდ ბერგერი**. ფორმულა 1-ის გუნდის, "ტორო როსოს" თანამფლობელი, ერთ-ერთი გერმანული ჟურნალის დაკვეთით მოტოგრან-პრის მოტოციკლებს ჩაუტარებს ტესტირებას.

"კავასაკის", "ჰონდასა" და "დუკატის" საჭეს მივუჯდები. მე საინტერესო გამოცდილება, ხოლო ხალხს კარგი შოუ ელის", - აცხადებს ბერგერი.

ᲮᲝᲙᲔᲘ

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

კოლამბუსი-სენტ ლუისი 3:0

1:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 მალორტა-2 (ფუტი-1, ფიოდოროვი-4), 2:0 ნეში-10 (ჟერდიოვი-6, ფუტი-2), 3:0 ჩიმერა-4 (მალორტა-5, ჰეიდა-3).

ჩიკაგო-ნეშვილი 2:5

1:3, 1:0, 0:2

გოლები: 0:1 ლეგვანდი-6 (რადულოვი-6, ფიდლერი-4), 0:2 რადულოვი-3 (სატერი-4, ჟიდლიცკი-6), 1:2 ლანგი-6 (კეინი-12, ტეუზი-6), 1:3 ერატი-2 (დუმონი-5, არნოტი-7), 2:3 ი. პერო-1 (ბოლანდი-2), 2:4 ტუტუ-3, 2:5 არნოტი-6.

ბოსტონი-ოტავა 1:2 (ბ)

1:0, 0:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 კობესიუ-6 (კესელი-3, შტურმი-5), 1:1 ვერმეტი-3 (კ. კელი-4, ვოლჩენკოვი-3).

ბულიტები გაიტანეს: ალფრედსონი (ოტავა), ვერმეტი (ოტავა).

ᲑᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

- "კოლამბუსის" მეკარემ **პასკალ ლეკლერმა** სეზონში მეცხრე მატჩი ჩაატარა და მეხუთე შათაუტი შეასრულა. ამ გოლკიპერმა "ბლუზმენების" 21-ივე დარტყმა მოიგერია. ამ სეზონამდე ლიგაში ჩატარებულ 59 მატჩში, ლეკლერის ანგარიშზე მხოლოდ ერთი "მშრალი" მატჩი იყო.

- "კოლამბუსმა" შვიდწლიანი არსებობის განმავლობაში საუკეთესო სტარტი აიღო - 8 მოგება, 3 წაგება და 2 ოვერტაიმში მარცხი. სხვათა შორის, "ბლუ ჯეკეტსი" ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან ერთადერთია, რომელსაც პლეიოფში არასოდეს უთამაშია. ამჟამად, ეს გუნდი დასავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზე იმყოფება.

- ლეკლერის თანაგუნდელი **სერგეი ფიოდოროვი** ზედიზედ ოთხ მატჩში აგროვებს მინიმუმ ერთ ქულას. ამ მატჩამდე ასეთივე სერია ჰქონდათ "სენტ ლუისის" ფორვარდებს - **პოლ კარიასა** და **კეიტ ტკაჩუკს**.

- "სენტ ლუისმა" ამ სეზონში პირველად წააგო ზედიზედ ორი მატჩი.

■ ■ ■

- "ნეშვილის" გოლკიპერმა **კრის მეისონმა** 30 დარტყმა მოიგერია და შეწყვიტა თავისი შვიდმატჩიანი წაგებათა სერია.

- "ნეშვილმა" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო (სამივე სტუმრად), ბოლო ექვს შეხვედრაში კი, მეხუთედ გაიმარჯვა. ამ სერიამდე, გუნდს ზედიზედ ექვსი წაგება ჰქონდა.

- "პრედატორზმა" ამ სეზონში ექვსიდან ექვსი შეხვედრა მოიგო იმ დროს, როცა მატჩში ანგარიშს ხსნიდა.

- "ჩიკაგოს" მეკარემ **ნიკოლაი ხაბიბულინმა** პირველ პერიოდში ექვსი დარტყმიდან სამი შაიბა გაუშვა და მეორე 20-წუთიანში ის **პატრიკ ლალიმით** შეცვალეს.

■ ■ ■

- "ოტავამ" სეზონში მე-13 მატჩი ჩაატარა და მე-12 გამარჯვებას მიაღწია. დაახლოებით ანალოგიური სტარტი ჰქონდა ამ გუნდს 2005-06 წლების სეზონში, როცა 15 შეხვედრიდან 13 მოიგო, 22 მატჩის შემდეგ კი, 19 გამარჯვება ჰქონდა.

ლეკლერმა არც ამჯერად გაუშვა